# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 27 ოქტომბერი 1999 №206 (979) | ფასი 50 თეთრი

## 4 რატომ ზის შოთა სკამზე?

„აიაქსის“ თავდამსხმელი შოთა არველაძე თადარიგში ყოფნას უჩივის



## 7 ჩარლტონს საფიქრალი მისძალებია

## 13 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



მირიან ცალქალამანიძე

## 14 აი, მიზეზი!



ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ „ფერარი“ და ფერარელები იმიტომ გაამართლა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი ხელით გამოიჭრიდა ყელს

# სამშაბათის რვიდან ხუთი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**V ტური**

| | |
|---|---|
| E ჯგუფი | |
| პორტუ | 3 |
| მოლდე | 1 |
| რეალი | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 0 |
| F ჯგუფი | |
| პსვ | 2 |
| ბაიერნი | 1 |
| რეინჯერსი | 1 |
| ვალენსია | 2 |
| G ჯგუფი | |
| სპარტაკი | 1 |
| ტილბურგი | 1 |
| ბორდო | 0 |
| სპარტა | 0 |
| H ჯგუფი | |
| მილანი | 1 |
| ჩელსი | 1 |
| ჰერტა | 1 |
| გალათასარაი | 4 |

ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავიდნენ:

## რეალი პორტუ ვალენსია ბორდო სპარტა

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ფოტოქრონიკა

პსვ — ბაიერნი 2:1. მიუნხენელი პაოლო სერჟიო (მარცხნივ) და ეინდჰოვენელი ლუკ ნილისი



REUTERS ფოტოქრონიკა

ჰერტა — გალათასარაი 1:4. ბერლინელი ალი დაეი (№9) სტამბოლელების სუათ კაიას (№8) და ჰაქან შუქურის გარემოცვაში

# სამშაბათის რვიდან ხუთი

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური

### E ჯგუფი

#### პორტუ 3:1 მოლდე

1:0, 2:0 დეკო სოუზა (1, 27), 3:0 ჟარდელი (57), 3:1 ჰესტადი (82)

პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ალოიზიო ალვეში, ესკერდინია, დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო, ჩაინიო (რიკარდო სოუზა 69), პეიშე, დეკო სოუზა (ალესანდრო ოლივეირა 28), ჟარდელი (დომინგუშ ოლივეირა 75)

მოლდე: ბაკე, დოს სანტოსი, გინგსასი, ლიდერსენი, სტრანდი, ოლსენი (სანდგოტი 83), ფიორტოფტი, ჰესტადი, ტესემი (ლინდბეკი 60), ლუნდი, ჰოსეტი (მორკი 84)

მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)

#### რეალი 3:0 ოლიმპიაკოსი

1:0 რაული (20), 2:0 მორიენტესი (63), 3:0 რობერტო კარლოსი (82)

რეალი: ბისარი, ნიიტაპი (სალგადო 61), იერო (კამპო 41), ხულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ელგერა, გუტი (მაკმანამანი 70), რედონდო, ზეედორფი, მორიენტესი, რაული

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, პურსანიდისი, ამპონსა (ჯანაკოპულოსი 61), ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი (ნინიადისი 75), პასალისი, ზაჰოვიჩი, ანატოლაკისი, გოგიჩი

მსაჯი: მ. მერკი (გერმანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:7 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | 4 |
| მოლდე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | 3 |

*3 ნოემბერი. VI ტური. ოლიმპიაკოსი — პორტუ, მოლდე — რეალი*

### F ჯგუფი

#### პსვ 2:1 ბაიერნი

1:0 ვან ნისტელროოი (40), 1:1 სანტა კრუზი (51), 2:1 ნილისი (57)

პსვ: ვატერეუსი, დირქსი, ფაბერი, ჰაინცე, ადო, კოლკა (ივანი 88), ფოგელი, ვან ბომელი, სტინგა, ნილისი (ბრუგინკი 71), ვან ნისტელროოი

ბაიერნი: ვესელსი, ანდერსონი, ლინკე, მათეუსი, ბაბელი (სალიჰამიჯიჩი 68), ლიზარაზუ, ეფენბერგი, იერემისი, ციკლერი (იანკერი 74), პაულო სერჟიო (სანტა კრუზი 26), ელბერი

მსაჯი: პ. დარკინი (ინგლისი)

#### რეინჯერსი 1:2 ვალენსია

0:1 მენდიეტა (35), 0:2 კლაუდიო ლოპესი (45), 1:2 მური (60)

რეინჯერსი: კლოსი, პორინი, ლ. ამორუზო, მური, ვიდმარი (ალბერტცი 61), ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მაკკინესი (კანჩელსკისი 37), მაკკენი, მოლსი, უოლესი (იოჰანსონი 75)

ვალენსია: პალოპი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგულო, კილი გონსალესი (ფარინოსი 67), ხერარდი, ალბელდა, მენდიეტა (სორია 81), კლაუდიო ლოპესი, ილიე (სანჩესი 61)

მსაჯი: გ. ბენკო (ავსტრია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 9 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| პსვ | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |

*3 ნოემბერი. VI ტური. ბაიერნი — რეინჯერსი, ვალენსია — პსვ*


რეინჯერსი — ვალენსია 1:2. რეინჯერსელი მიხაელ მოლსი (მარცხნივ) და ვალენსიელი მაურიციო პელეგრინო


რეალი — ოლიმპიაკოსი 3:0. მადრიდელი გუტი (მარჯვნივ) და პირეოსელი გიორგიოს ანატოლაკისი

 იმ ოთხი ჯგუფიდან წუხელ რომ ითამაშა, შემდეგ ეტაპზე გასული — ერთი მაინც — მხოლოდ H-მა ვერ გაარკვია. ამაში დამნაშავე ბერლინის „ჰერტა“ გახლავთ, რომელმაც სტამბოლის „გალათასარაისთან“ შინ 1:4-ის წაგება მოახრეხა, რითაც „მილანს“ ასიამოვნა. ბერლინელებს რომ მოეგოთ 11 ქულით თავი ქუდში ექნებოდათ, „მილანს“ კი 3 ნოემბერს, სტამბოლში, თამაშის დროს ყური სტადიონის დინამიკებისკენაც უნდა ჰქონოდა და ეცადა გამოეცნო, რას იტყობინება თურქი ინფორმატორი ლონდონიდან, სადაც „ჩელსი“ „ჰერტას“ უმასპინძლებს. ახლა კი, სრული გაურკვევლობაა და თუ „ჰერტა“ ლონდონში დამარცხდება, ხოლო „მილანი“ „გალათასარაის“ მოუგებს, ბერლინელებს სრული უფლება ექნებათ ხმამაღლა ამოიგმინონ — ახია ჩვენზე!

როგორც ჩანს, „ჰერტას“ მეტოქის უპატივცემულობა შეყროდა და ამისათვის დაისაჯა კიდეც. მერე რა, რომ „გალათასარაიმ“ წინა ტურში, შინ, „ჩელსისთან“ 0:5 წააგო. ჯერ ერთი ლიგა ლიგაა და აქ ყველა მატჩში უშელავათო ბრძოლა იმართება, მეორეც, სამარცხვინო წაგების შემდეგ სტამბოლელები შელახული თურქული თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას რომ შეეცდებოდნენ, დიდი ამოცნობა არ სჭირდებოდა და მესამეც, მათ 5:0 ვინმემ კი არა, „ჩელსიმ“ მოუგო.

„სან სიროზე“, ამ დროს, „მილანსა“ და „ჩელსის“ შორის დიდი მატჩი გაიმართა, სადაც გოლები სამწუთიან მონაკვეთში გავიდა. აღსანიშნავია, რომ ლონდონელთა გოლის დროს დენის უაიზს ჩინებული პასით ასისტენტობა მოედანზე ახალშესულმა იტალიელმა, როებრტო დი მატეომ გაუწია. ეს დი მატეოსთვის ტრავმისა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ საოცნებო დაბრუნება გახლდათ.

E ჯგუფიდან გასულების ვინაობა ცნობილია: „პორტუ“ და „რეალი“. პორტუგალიელებმა „მიოლდე“ დაამარცხეს 3:1, ხოლო ესპანელებმა „ოლიმპიაკოსი“ — 3:0. ბოლო ტურში მადრიდელები „მოლდეს“ ჩააკითხავენ, პორტუელები კი „ოლიმპიაკოსს“. ვინაიდან გასულთათვის ამ შეხვედრებს მნიშვნელობა არ აქვს, სავარაუდოა, რომ ისინი თავიანთ საუკეთესო მოთამაშეებს არათუ მოედანზე არ გაიყვანენ, მგზავრობითაც კი არ გადაღლიან. ეს მითუფრო „რეალს“ ეხება, რომელსაც 3 ნოემბერს თოვლიან ნორვეგიაში უწევს ბურთაობა.

F ჯგუფში ესპანური პრიმერადივიზიონის მე-14 გუნდმა, „ვალენსიამ“ გაინაღდა ადგილი 16 უძლიერესს შორის. გუნდმა, რომელსაც ლიგის ბზინვასთან შედარებით შინაური ამბები, როგორც ჩანს, ჩირადაც არ ულირს, ამჯერად ნაქები დიკ ადვოკაატის ნაქები „რეინჯერსი“ დაამარცხა მისსავე მინდორზე და ვინაიდან ბოლო ტურში გლაზგოელები მიუნხენში, „ბაიერნთან“ სათამაშოდ მიდიან, ყველაფერი ნათელია. 3 ნოემბერს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ სამი შესაძლო შედეგიდან რაც უნდა მოხდეს, ესპანელებს მეორე ადგილზე ქვევით ჩავარდნა არ ემუქრებათ. ამ ჯგუფში „ბაიერნს“ შეუძლია თქვას, ახია ჩემზე თავი ასეთი დღეში რომ ჩავიგდეო — გასული გათამაშების თითქმის გამარჯვებულმა ფინალისტმა ეინდჰოვენში პსვ-სთან 1:2 წააგო და ზედაც კინაღამ მათეუსი გაულახეს — პსვს მწვრთნელი ერიკ გერეტსი ლამობდა.

დაბოლოს, ჯგუფი G, რომელმაც ორივე გამარჯვებული დაასახელა: „ბორდო“ და „სპარტა“. რაც შეეხება მოსკოვის „სპარტაკს“, მან შინ საბედისწერო ფრე ითამაშა „ტილბურგთან“, რომელსაც ოდესმე ხომ უნდა მოეპოვებინა პირველი ქულა...

**მიხეილ სურგულაძე**


მილანი — ჩელსი 1:1. მილანელი ანდრეი შევჩენკო (მარცხნივ) და ლონდონელი ფრანკ ლებეფი

### G ჯგუფი

#### სპარტაკი 1:1 ტილბურგი

1:0 ბეზროდნი (25), 1:1 სანუ (69)

სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, პარფიონოვი, ბარანოვი (ევსეევი 46), ბულატოვი (კეჩინოვი 58), ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო, ბეზროდნი

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, ჰილი, ჯენტილე, ვიქტორია, ვან ნიუსტადტი, შუკოვი (ჰერმესი 77), ლანდზაატი (ფალკი 83), შენინგი, კესაი, სანუ (შულპი 87)

გაძევება: კოვტუნი (89)

მსაჯი: ლ. ბატისტა (პორტუგალია)

#### ბორდო 0:0 სპარტა

ბორდო: რამე, ჟემალი, საველიჩი, ბონისელი, მარტინსი (მიკუ 76), რუვიე, პავონი, დიაბატი (ბატლი 66), ალიკარტე, ლასლანდი, ვილტორდი (ზანოტი 90)

სპარტა: პოსტულკა, ფუკალი, ი. ნოვოტნი, გაბრიელი, ჰორნიაკი, ლაბანტი, ჰაშეკი, ბარანეკი (სვობოდა 89), როსიკი (იაროსიკი 90), სონკო, ლოკვენცი (სიეგლი 81)

მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| სპარტა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| ტილბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:15 | 1 |

*3 ნოემბერი. VI ტური. სპარტა — სპარტაკი, ტილბურგი — ბორდო*

### H ჯგუფი

#### მილანი 1:1 ჩელსი

1:0 ბირჰოფი (74), 1:1 უაიზი (77)

მილანი: აბიატი, მალდინი, კოსტაკურტა, აიალა, ამბროზინი, გულიელმინმიეტრო, გატუზო, სერჟინიო (ორლანდინი 86), ლეონარდო (ბობანი 57), შევჩენკო, ბირჰოფი

ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი, უაიზი, პოიეტი (დი მატეო 75), პეტრესკუ (მორისი 46), ფერერი, ფლო, ძოლა (ამბროზეტი 81)

მსაჯი: მ. ლევნიკოვი (რუსეთი)

#### ჰერტა 1:4 გალათასარაი

1:0 რეკდალი (35პ), 1:1, 1:2 ჰაქან შუქური (48, 66), 1:3 თუგაი (81), 1:4 ოქანი (90)

ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, სვერისონი, ვოში, რეკდალი, პრეეტცი (არაჩიჩი 75), მიხალკე, დაისლერი, ჰელმერი (ჰერცოგი 14), შმიდტი, დაეი

გალათასარაი: ტაფარელი, ჯიკა პოპესკუ, აჰმეთი, ბურუკი, ბელოზოღლუ, კაია, არიფი (ერმა 86), ჰაქან შუქური, ჰასან სასი (თუგაი 71), აკიელი (ერგუნი 46), კაპონე

მსაჯი: კ. ნილსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |

*3 ნოემბერი. VI ტური. ჩელსი — ჰერტა, გალათასარაი — მილანი*

# თემურისა და კახის თვალწინ დამტვრეული ჯანაშია მოტეხილობას გადაურჩა


СПОРТ ЭКСПРЕСС ФУТБОЛ

ზაზა ჯანაშია

ის იყო, ზაზა ჯანაშიამ გატეხილი თავი მოირჩინა და... ისევ დაშავდა. უეფას თასის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში ინგლისურ „ლიდსთან“ „ლოკომოტივის“ ქართველ ფორვარდს ალბიონელთა სამხრეთაფრიკელმა ლეგიონერმა რადებემ უკნიდან წიხლი ჩაარტყა.

მოსკოველთა კლუბის ექიმები მოტეხილობას ვარაუდობდნენ და რუსეთის დედაქალაქში დაბრუნებულებმა ზაზა სურათის გადასაღებად სასწრაფოდ საავადმყოფოში მიიყვანეს.

— ერთი საათის განმავლობაში ოთხი ექიმი თავს დამტრიალებდა, მისინჯავდნენ ძვალს და ჯვარედინ იოგებს — განაცხადა ჯანაშიამ.

საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ მას არაფერი მოსტეხია. უკნიდან მიყენებული ძლიერი დარტყმის შედეგად ჩვენებურს ჯვარედინი იოგები ჰქონდა დაზიანებული და მისი მოედანზე გასვლა ერთი კვირით გადაიდო. როგორც თვითონ ამბობს, იგი 30 ოქტომბერს აუცილებლად ეწვევა ვოლგოგრადს და „როტორის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

იმედია, ჯანაშია კიდევ რაიმე ფათერაკს არ გადაეყრება და მომავალი კვირის ხუთშაბათს უეფას თასის საპასუხო შეხვედრაში ინგლისურ „ლიდსსაც“ დაუპირისპირდება.

ცნობისთვის ერთსაც გეტყვით. ბრიტანეთში გამართულ მატჩს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მონაწილეობით ორი ქართველი ფეხბურთელი ესწრებოდა — ნიუკასლელი თემურ ქეცბაია და „მანჩესტერ სიტის“ კუთვნილება კახი ცხადაძე. ბუნებრივია, ჩვენებურები 1998-99 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო მოთამაშეს, ზაზა ჯანაშიას გულშემატკივრობდნენ და მისი ტრავმითა და რკინიგზელთა დიდი ანგარიშით დამარცხებით გაწბილებულნი დარჩნენ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# აიაქსმა ქინქლაძე 500 000 გირვანქით გააძვირა

## ამსტერდამელები ყურადღებით ადევნებენ თვალს შეფილდის სატრანსფერო პოლიტიკას

ამსტერდამის „აიაქსმა“ ორშაბათს მეტად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — 500 000 გირვანქით გააძვირა გიორგი ქინქლაძე და ახლა „შეფილდ იუნაიტედს“ 3 მილიონ გირვანქას სთხოვს.

„აიაქსმა“ ეს მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „შეფილდმა“ სწორედ ამ თანხად (3 მილიონად) გაყიდა ლი მორისი „დერბი ქაუნთიში“.

ბრიტანელ მიმომხილველთა აზრით, „აიაქსის“ გადაწყვეტილება იმაზე მიუთითებს, რომ ამსტერდამული კლუბი „შეფილდ იუნაიტედს“ უკვე რეალურ მყიდველად აღიქვამს. კვირას „შეფილდის“ მწვრთნელმა ადრიან ჰითმა განაცხადა კიდეც, რომ მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

მიუხედავად იმისა, რომ „შეფილდს“ ნამდვილად შემოუვიდა 3 მილიონი გირვანქა, იგი გიორგი ქინქლაძის ყიდვას ისევ კომპანია „ტექსას გრუპ ჰოლდინგსის“ მეშვეობით აპირებს. კომპანიისა და „შეფილდის“ პრეზიდენტის, მაიკ მაკდონალდის თქმით, ისინი მზად არიან, გადაიხადონ „აიაქსის“ მოთხოვნილი თანხა და შემდეგ იჯარით მისცენ ქინქლაძე „შეფილდს“.

დღეს „შეფილდის“ მწვრთნელი ადრიან ჰითი კვლავ აპირებს ამსტერდამში ჩასვლას იქაურებთან შესახვედრად. მან ასევე განაცხადა, რომ მოგვარებულია კიდევ ორი ტრანსფერი. ბრაზილიელი მარსელო 500 000 გირვანქად „უოტფორდის“ ნაცვლად „ბირმინგემს“ მიჰყავს, ხოლო ჯოდი კრადოკი იჯარით „სანდერლენდში“ მიდის.

ინგლისის პირველი დივიზიონის მე-13 ტურში „შეფილდი“ აუტსაიდერ „ტრანმერთან“ მარცხს გადაურჩა. 21-ე წუთისთვის კლუბი 0:2-ს აგებდა, თუმცა საბოლოოდ სმიტის (ისევ სმიტი!) დუბლით შეხვედრა 2:2 დასრულდა. ახლა „სამართებლებს“ 16 ქულა აქვთ და ბოლოდან მე-9 ადგილზე არიან.

**სიმონ მენაბდე**



გიორგი ქინქლაძე

## რეგიონალური ლიგა

### დასავლეთი

#### „ა“ ზონა

II ტურის გამოტოვებული მატჩი

13 ოქტომბერი

**ინტერი 6:0 მეშახტე**

VII ტური

23 ოქტომბერი

**ოკეანე 1:0 რწმენა**

1:0 გოგავა (79)
გაფრთხილება: მუშკუდიანი, ქორიძე, დიდავა, ფოფხაძე (რწმენა), მაღლაკელიძე (ოკეანე)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**რაჭა 2:0 გურია**

1:0 მიქიაშვილი (9), 2:0 მურუსიძე (85)
გაფრთხილება: პატარაია (გურია)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

24 ოქტომბერი

**გაგრა 2:2 მარგვეთი**

0:1 ენდელაძე (16პ), 1:1 ტ. მანაგაძე (22), 2:1 გორდაძე (54), 2:2 ბარდაველიძე (72)
გაფრთხილება: თ. მანაგაძე (გაგრა), მუმლაძე, გეწაძე (მარგვეთი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**მეშახტე 3:3 სულორი**

25 ოქტომბერი

**მაღაროელი 2:2 იბერია 2**

0:1 ხურციძე (33), 0:2 ოდიკაძე (58), 1:2 ლოლაძე (68), 2:2 კავთელაძე (74პ)
გაფრთხილება: ყურაშვილი, ლომინაშვილი (იბერია 2)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**ინტერი 1:1 მეტალურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 23:5 | 19 |
| ინტერი | 7 | 3 | 4 | 0 | 11:3 | 13 |
| მეტალურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 12 |
| ოკეანე | 7 | 3 | 1 | 3 | 11:11 | 10 |
| იბერია 2 | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 10 |
| გაგრა | 7 | 2 | 4 | 1 | 12:10 | 10 |
| სულორი | 7 | 2 | 4 | 1 | 8:11 | 10 |
| რაჭა | 7 | 1 | 4 | 2 | 6:6 | 7 |
| მაღაროელი | 7 | 1 | 3 | 3 | 13:15 | 6 |
| მეშახტე | 7 | 1 | 3 | 3 | 11:19 | 6 |
| რწმენა | 7 | 1 | 2 | 4 | 2:10 | 5 |
| გურია | 7 | 0 | 1 | 6 | 2:15 | 1 |

#### „ბ“ ზონა

VII ტური

23 ოქტომბერი

**შუქურა 3:1 მეგრი**

1:0, 2:0 ყულეჯიშვილი (5, 12), 2:1 კუტალია (85), 3:1 ყულეჯიშვილი (87)
გაფრთხილება: მეავანაძე, გაბუნია (შუქურა), აკობია (მეგრი)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**ლაზიკა 2:0 ზუგდიდი**

1:0 სიჭინავა (17), 2:0 საჯაია (87)
გაფრთხილება: ცაცუა (ლაზიკა), ლემონჯარია, ჩიქობავა (ზუგდიდი)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**ფაზისი 1:1 ბათუმი 2**

24 ოქტომბერი

**ბახმარო 1:1 მერცხალი**

0:1 წივწივაძე (18), 1:1 ბ. გიორგაძე (33)
გაფრთხილება: ბ. გიორგაძე, რ. მახარაძე, კალანდარიშვილი (ბახმარო), ა. გიორგაძე (მერცხალი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სამეგრელო 1:0 სქური**

1:0 პ. კვარაცხელია (44)
გაფრთხილება: ჯოლოხავა (სქური), ლ. ჯალაღონია (სამეგრელო)
მსაჯი: დ. სანაია

**ჩელა 0:1 კოლხეთი 2**

0:1 კვირკველია (86)
გაფრთხილება: ღვინჯილია, ბურჭულაძე (კოლხეთი 2), ჯანაშია, შამათავა, კორკელია (ჩელა)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 7 | 6 | 1 | 0 | 24:6 | 19 |
| ლაზიკა | 7 | 6 | 1 | 0 | 21:7 | 19 |
| მეგრი | 7 | 6 | 0 | 1 | 13:7 | 18 |
| კოლხეთი 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:8 | 11 |
| ზუგდიდი | 7 | 3 | 1 | 3 | 17:9 | 10 |
| ფაზისი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:14 | 9 |
| სამეგრელო | 7 | 2 | 1 | 4 | 9:8 | 7 |
| სქური | 7 | 2 | 1 | 4 | 11:16 | 7 |
| ჩელა | 7 | 1 | 1 | 5 | 4:20 | 4 |
| ბახმარო | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| მერცხალი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:8 | 4 |
| ბათუმი 2 | 7 | 0 | 4 | 3 | 7:12 | 4 |

### აღმოსავლეთი

#### „ა“ ზონა

VII ტური

23 ოქტომბერი

**საუ 0:1 ცხინვალი**

0:1 ტილკავაშვილი (10)
გაფრთხილება: ბეტაშვილი (საუ), ეჯოშვილი (ცხინვალი)
გაძევება: ბეტაშვილი (81)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**მესხეთი 4:3 არაგვი**

0:1 მოსიაშვილი (43), 0:2 ქეთელაური (50), 1:2 ბერძენიშვილი (53), 1:3 ქეთელაური (58), 2:3 გოგოლაძე (60), 3:3 სუდაძე (62), 4:3 მოდებაძე (65)
გაფრთხილება: მოსიაშვილი (არაგვი)
მსაჯი: ზ. ჯვარიძე (თბილისი)

24 ოქტომბერი

**თორი 1:3 ივერია**

1:0 თალაკვაძე (50), 1:1 ტოკლიკიშვილი (60), 1:2 ბაბულაიძე (80), 1:3 ხმალაძე (86)
გაფრთხილება: ხმალაძე, მეკერიშვილი, ხვედელიძე (ივერია), წიქარიშვილი (თორი)
გაძევება: წიკლაური (55, ივერია), გლუნჩაძე (55), ელისაშვილი (82), ციცქიშვილი (82, ყველა თორი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

82-ე წუთზე მატჩი ჩაიშალა

**განთიადი 4:1 მრეტები**

1:0 მაქაცარია (38), 2:0 ხაჩირაშვილი (44პ), 2:1 ჩახვაძე (67), 3:1 მაქაცარია (69), 4:1 ფეიქრიშვილი (89)
გაფრთხილება: მაქაცარია (განთიადი), ბალავაძე (მრეტები)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**იბერია 3:0 ვარძია**

1:0 ჯულელი (64), 2:0 ლვინცაძე (66), 3:0 კოჩაძე (79)
გაფრთხილება: ბეგოიძე (ვარძია), ლვინცაძე (იბერია)
გაძევება: ბეგოიძე (39)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განთიადი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:3 | 16 |
| ცხინვალი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 16 |
| თორი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:6 | 13 |
| ივერია | 6 | 4 | 0 | 2 | 14:7 | 12 |
| ცხუმი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| საუ | 7 | 3 | 1 | 3 | 9:7 | 10 |
| მესხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:15 | 7 |
| მრეტები | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| იბერია | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| ვარძია | 7 | 1 | 1 | 5 | 3:20 | 4 |
| არაგვი | 7 | 0 | 1 | 6 | 7:19 | 1 |

#### „ბ“ ზონა

VII ტური

24 ოქტომბერი

**ენერგეტიკოსი 1:2 ლოკომოტივი 2**

0:1 ხურცილავა (40), 0:2 ჯანელიძე (54), 1:2 კიკნაველიძე (72)
გაფრთხილება: ჯანელიძე, სიამაშვილი, გოგნაძე (ლოკომოტივი 2), ისკანდეროვი (ენერგეტიკოსი)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**აკადემია 0:2 ალაზანი**

0:1 ვარამაშვილი (29), 0:2 ყალაბეგაშვილი (53)
გაფრთხილება: კობაიძე (ალაზანი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ზოოვეტი 1:6 ამირანი**

1:0 გუგუშვილი (24), 2:0 მახარობლიშვილი (38), 3:0 შედანია (50), 3:1 ჩილვინაძე (67), 4:1 ზაკუტაშვილი (77), 5:1 ლ. კვარაცხელია (85), 6:1 ზაკუტაშვილი (88)
გაფრთხილება: კახნიაშვილი, სამნიაშვილი (ზოოვეტი)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

**თბილისი 2 2:6 არსენალი 2**

0:1 თვალაბეიშვილი (10), 0:2 პაპუაშვილი (50), 0:3 თვალაბეიშვილი (65), 0:4 გოლეთიანი (86), 0:5 პაპუაშვილი (87), 1:5, 2:5 ქუხილავა (88, 89), 2:6 თვალაბეიშვილი (90)
გაფრთხილება: კოდალაევი, ჩხაიძე (თბილისი 2), ჭაფოძე (არსენალი 2)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

25 ოქტომბერი

**ხალიბი 1:0 ჭაბუკიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი 2 | 7 | 6 | 1 | 0 | 21:6 | 19 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:7 | 15 |
| ამირანი | 7 | 4 | 1 | 2 | 18:11 | 13 |
| ალაზანი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| ზოოვეტი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:13 | 10 |
| ჭაბუკიანი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:6 | 9 |
| აკადემია | 6 | 1 | 3 | 2 | 3:5 | 6 |
| თბილისი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:13 | 5 |
| ხალიბი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |
| ყვარელი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ენერგეტიკოსი | 7 | 1 | 0 | 6 | 10:23 | 3 |

# ვის გინდათ უცხოელი მწვრთნელი?

თუ სადმე სამართალია, ეს განცხადება „სარბიელში“ არა და რომელიმე სარეკლამო გაზეთში (ვთქვათ „სიტყვა და საქმე“-ში) უნდა გამოქვეყნებულიყო. მავანი ასაკით და დოსიეთიც (თვითონ ასე ამბობს) ღრმად პატივცემული უნგრელი მწვრთნელი, სახელითა და გვარით ლასლო ზალაი სფფ-ში აგზავნის ფაქსს, სადაც იუწყება, რომ თავისი კავშირებით გაიგო, თუ როგორც უჭირთ ჩვენში (ანუ საქართველოში) კვალიფიციური მწვრთნელები და ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებისა არ იყოს, დაუნანებლად სთავაზობს თავის თავს ქართულ ფეხბურთს.ერთი სიტყვით, აგერ ვარ და მიმსახურეთ, ბატონოო.

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგება, თუ რაში მდგომარეობს ღრმად პატივცემული ლასლო ზალაის „ღრმად პატივცემულობა“. ჯერ ერთი, ბატონი ლასლო 1929 წელს ყოფილა დაბადებული და შვიდი ათეული წელი თავისთავად იმსახურებს ღრმად პატივისცემას. მეორეც — ახლა მის საფეხბურთო-სამწვრთნელო დოსიესაც ჩამოგიწიკწიკებთ და მერე თავად განსაჯეთ, ვისთან გვაქვს საქმე.

ლასლო ზალაის თავის დროზე უთამაშია უნგრეთის ეროვნულ ნაკრებში (თუ მის ასაკთან გარკვეულ პარალელს გავავლებთ, „დიდ გუნდზეა“ საუბარი), მერე უსწავლია გერმანიაში სპორტის უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (დიპლომის ფერზე არაფერს იუწყება), 14 წელი უმუშავია ჰოლანდიის პირველ დივიზიონში „ჰეერენვენის“, „უტრეხტისა“ და „ზვოლეს“ მწვრთნელად. ნიდერლანდიდან სამშობლოში დაბრუნებულ ზალაის აულია და უნგრულ „სპარტაკთან“ ერთად უნგრეთის თასი მოუპოვებია. ამ წარმატების შემდეგ ამბიცია მოჭარბებულ მწვრთნელს შინ რა გააჩერებდა და მისი ბედის ბორბალი ზედ ფილიპინების ეროვნული ნაკრების ზღურბლზე შეჩერებულა. არც კუნძულელებისთვის დაუკლია თავისი მარიფათი და მადლი ბატონ ზალაის და იქ ერთხანს ყოფნის მერე მატერიკმონატრებულს აფრიკის უგანვითარებულესი და უცივილიზირებულესი ქვეყნისთვის, მაროკოსთვის დაუკრავს თავი. იღბლის ვარსკვლავს ორი ჯილდოც შეუმატებია ბატონ ზალაისთვის — მწვრთნელი ორჯერ მაროკოს ჩემპიონი გამხდარა კლუბების — „კენიტისა“ და კას-ის თავკაცობისას (რა თქმა უნდა, თითოჯერ თითო გუნდში).

სანამ უნგრელი სპეციალისტის სამწვრთნელო ჰორიზონტზე აწ და მალე გასაბრწყინებელი ივერია გაჩნდებოდა, ერთი ქვეყანაც მიდამოიარა ლასლო ზალაიმ და წინა სეზონი ინდონეზიურ კლუბ „გრესიკში“ გაატარა.

სხვათა შორის ინდონეზიის საფეხბურთო ჩემპიონატის დასავლეთ დივიზიონის „ბ“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასულმა „გრესიკმა“ ფინალურ ეტაპზე კი გააღწია, მაგრამ იქ ერთ-ერთ ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა და ეტყობა, ამიტომაც დაიფრინეს ბატონი ზალაი ინდონეზიიდან (ეს ინფორმაცია „სარბიელმა“ მოიძია). ახლა კი საქართველო ამოუჩრია გულში ღრმად პატივცემულ უნგრელს და მის მარკო პოლოსეულ მიდრეკილებებსაც თუ გავითვალისწინებთ (ხეტიალზეა საუბარი), სამგზავრო თვითმფრინავი „ბუდაპეშტი-თბილისი“ მალე გვაწვევს მის თავს აქ, ჩვენთან, თბილისში...

ამ გაგანია ბოსკამპანიისა და ანტიბოსკამპანიის ფონზე, უცხოელი სპეციალისტის ჩამოსვლა ეჭვგარეშეა, უამრავ კრიტიკოსს დაულესავს კბილებს, მაგრამ...

ღრმად პატივცემული ლასლო ზალაის ხნის ხალხი საფეხბურთო ნაკრებს და კლუბს კი არა, ქვეყანას მართავს და ასაკს ერთი უპირატესობაც გააჩნია — ეგებ ევროთასების შემდგომ ეტაპზე ვერა, მაგრამ თავს ნამდვილად გასულმა ქართველმა ფეხბურთელებმა მის ჭაღარას მაინც სცენ პატივი.

ეს ყველაფერი კი მართლაც ხუმრობით, მაგრამ ლასლო ზალაი ამასაც იქადნება, ჩემი სამწვრთნელო მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვეთაგანიაო და ეტყობა, გული ერჩის კაცს (დაბერდა, თორემ გული ახალგაზრდული აქვსო — ასე ამბობენ ჩვენში მისი ასაკის ბაბუებზე). იქნებ გვეცადა, ა?

ფეხბურთს თუ არა, ჩარდაშს მაინც ასწავლის ჩვენს ბიჭებს, უნგრელია და ჩარდაში ნამდვილად ეცოდინება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# რატომ ზის შოთა სკამზე?

*დღევანდელი „სარბიელის“ მეხუთე გვერდზე იხილავთ სიახლეს, ინფორმაციას იმ ქართველ ლეგიონერთა უმრავლესობაზე, რომლებიც ევროპული ქვეყნების უმაღლეს, ანაც პრესტიჟული საფეხბურთო ქვეყნების პირველ დივიზიონებში თამაშობენ.*



*წინა კვირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე რუსეთის „ალანიას“ თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე გამოდგა და პირველ რესპონდენტადაც ის გვყავდა შეგულებული, მაგრამ, ვიფიქრეთ, მასთან ინტერვიუ მაშინ უფრო იქნება უპრიანი, როცა ჩვენებური ოფიციალურად გაიფორმებს რუსეთის ბომბარდირობას. აქამდე ხომ დემეტრაძეს ბევრი არაფერი დარჩენია, უახლოეს მდევარ ტიხონოვს სამი გოლით უსწრებს და „ალანიასაც“ მოსკოვის „სპარტაკზე“ ერთით მეტი მატჩი აქვს სათამაშო. ძნელი წარმოსადგენია, ტიხონოვმა ერთ მატჩში ოთხი ბურთი შეაგდოს.*

*ერთი სიტყვით, გიორგის რუსეთში გაბომბარდირება დროის ამბავია და ჩვენც ერთი კვირა მოვიცადოთ, მასთან ინტერვიუც დღეის სწორს იყოს.*

*დღეს კი, ამსტერდამის „აიაქსის“ ქართველი შოთა არველაძეა ჩვენი მოსაუბრე. იგი ხომ უკვე კარგა ხანია, მისთვის უჩვეულო სათადარიგოთა სკამზეა, ხან რამდენიმე წუთს ითამაშებს, ხანაც საერთოდ არ ენდობა მწვრთნელი ვოუტერსი.*

*მთავარი თემაც სწორედ ეს იყო — რატომ ვერ თამაშობს შოთა არველაძე „აიაქსის“ ძირითად შემადგენლობაში?*

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს — გვითხრა აიაქსელმა მეგოლემ — ჯერ ტრავმებმა გამაწამეს და იძულებით მომიხდა დასვენება, მერე ნაკრებში ვიყავი გამოძახებული, ათი დღით მოვწყდი კლუბს, რამაც მწვრთნელი ცოტა გააღიზიანა, შემდეგ აქილევსის მყესიც დავიზიანე და კვლავ მკურნალობამ მომიწია. და კიდევ, არის ერთი ფაქტორიც: „აიაქსი“ ზედიზედ იგებს მატჩებს.

**— გინდა თქვა, რომ მწვრთნელი მომგებ შემადგენლობას არ ცვლის?**

— არა, მაგრამ როცა გუნდი 6:1 მოიგებს, ცხადია, ყველა თავდამსხმელი კარგად თამაშობს. გოლი-გოლზე გააქვთ მე კი, სწორედ ფორვარდი ვარ და ნახევარდაცვაში ვერ ვითამაშებ.

**— ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?**

— რა ვიცი? დიდი იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ისევ ძირითადში ვიქნები. ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

**— მწვრთნელთან არ გილაპარაკია?**

— არა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ვკითხავ, რას მერჩის, გავარკვევ, რატომ არ მათამაშებს. სწორად გამიგე, სათადარიგოებში ყოფნას მიჩვეული არ ვარ. ვჭირდები ვჭირდები, თუ არადა...

**— არადა...**

— სხვაგან წავალ.

**— კარგ ფორმაში ხარ?**

— ძალიან. როცა „აიაქსს“ გაუჭირდება ხოლმე, შემცვლელად მეორე ტაიმში ვთამაშობ და თითქმის ყოველთვის ან გოლი გამაქვს ან საგოლე პასს ვაკეთებ. ახლაც, ბოლო ტურში პენალტი ავიკიდე.

**— როცა ვოუტერსი სამატჩო შემადგენლობას ასახელებს, შენ რას გეუბნება?**

— შეცვლაზე შეგიყვანო. ხან საერთოდ უსიტყვოდ მტოვებს. მე კი სათამაშოდ ყოველთვის მზად ვარ.

**— მახლასზე რას იტყვი? ცენტრალურ თავდამსხმელად მწვრთნელი სწორედ მას გამჯობინებს. კონკურენცია მოგიგო?**

— მის სანაცვლოდ „აიაქსმა“ დიდი თანხა გადაიხადა და მწვრთნელსაც ეშინია, იგივე არ განმეორდეს, რაც ქინქლაძისას. გიოში გადახდილი ფული ხომ, ფაქტობრივად, წყალში გადაყრილი გამოვიდა. არ ათამაშებს და იმიტომ. ახლა მახლასიც რომ ძირითად შემადგენლობას ჩამოაშორონ, კლუბის უფროსობა არ იტყვის, ამდენ ფულს რაღ მახარჯვინებთო? კონკურენტად კი მახლასს არ ვთვლი, ჯერ იმდენი გოლი გაიტანოს, რამდენიც მე „აიაქსში“ და...

**— დაბოლოს, შოთა, რამდენ ხანს უნდა იყო სათადარიგო, ვოუტერსს როდის უნდა დაელაპარაკო?**

— სამ-ოთხ თამაშსაც მოვიცდი.

**კობა ინასარიძე**



სარბიელის არქივიდან

შოთა არველაძემ 88-ე წუთზე პენალტი მოიპოვა

# მეორე პირველის წინააღმდეგ

საქართველოს ჩემპიონატის მეათე ტურის შემდეგ, რომელიც პარასკევს და შაბათს გაიმართება, პირველი ლიგის კლუბები რეგიონალლიგის 16 წარმომადგენელთან ერთად ძველებურად ერთი კვირა ველარ დაისვენებენ. საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებია დაგეგმილი. მანამდე კი, კენჭისყრა შედგება. გუნდები ხვალ, 28 ოქტომბერს დღის პირველი საათისთვის დაწყვილდებიან.

კენჭისყრა განთესვით მოხდება. პირველი ლიგის კლუბები რეგიონალლიგელებს შეხვდებიან. წლევანდელი თასის გათამაშებას ერთი სიახლეც ექნება. ადრე თასის მფლობელს პრივილეგია ენიჭებოდა, იგი მეოთხედფინალიდან ერთვებოდა ბრძოლაში. მოგვიანებით პრივილეგირებული კლუბების რაოდენობა გაიზარდა — თასის მფლობელს ევროტურნირებზე მოასპარეზენიც შეუერთდნენ. ამიერიდან კი ასე აღარ იქნება. ხვალინდელ წილისყრაზე ამ ზაფხულს ევროპაში ქართული ფეხბურთის ოთხივე შემარცხვენელი მიიღებს მონაწილეობას.



გადრი კეთილაძის ფოტო

ხვალ ფედერაციაში მეთექვსმეტედფინალის წილისყრაა

პირველი მატჩები, როგორც თავში აღვნიშნეთ, 2 ან 3 ნოემბერს გაიმართება, საპასუხოები კი 14 ან 15 ნოემბერს შედგება. ზუსტი თარიღი შვეიცარიიდან ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ჩამოსვლის შემდეგ გადაწყდებაო, შევიტყვეთ ფედერაციაში. ვალერი ჩოლარიას ჩამოსვლას კი ამ დღეებში ელიან.

პირველი ლიგის კლუბები, ბუნებრივია გეცოდინებათ, აქვე იმ რეგიონალლიგელთა ვინაობასაც შეგახსენებთ, ვინც პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა და მეთექვსმეტედფინალში გავიდა: ხაშურის „ივერია“, „ჭაბუკიანი“, „ცხინვალი“, თბილისის „იბერია“, „ლოკომოტივი 2“, „ზოოვეტი“ და „აკადემია“, ბორჯომის „თორი“, ქობულეთის „შუქურა“, ლანჩხუთის „გურია“, ზესტაფონის „მარგვეთი“ და „მეტალურგი“, სამტრედიის „ოკეანე“, ზუგდიდის „მეგრი“, „იბერია 2“ და ჩხოროწყუს „სამეგრელო“.

**ვანო ოქროპირიძე**

# არჩევნები ფეხბურთსაც შეეხო

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტურის სამი მატჩი, ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, კალენდრით გათვალისწინებულზე ადრე გაიმართება..

თამაშების გადმოტანის მიზეზი ამჯერად კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნებია, რომელიც, როგორც იცით, მომავალ კვირას, 31 ოქტომბერს ჩატარდება. ამ დღეს მეათე ტურის ორი შეხვედრა იყო დაგეგმილი. თბილისის „არსენალს“ წყალტუბოს „სამგურალისთვის“ უნდა ემასპინძლა „ისანზე“, „მერანი“ კი მცხეთაში, „არმაზზე“ თსუ-ს უნდა სწვეოდა.

ფეხბურთის ფედერაციამ — ამ დღეს საპარლამენტო არჩევნების გამო, შესაბამისი ორგანოები მატჩების სათანადო ორგანიზაციას ვერ შეძლებენო და მათი თარიღები გადმოსწია.

საბოლოოდ გადაწყდა: „თსუ“ — „მერანი“ პარასკევს, 29 ოქტომბერს შედგება, „არსენალი“ — „სამგურალი“ კი შაბათს, 30 ოქტომბერს.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებს არანაირად არ უკავშირდება, ერთი დღით ადრე გაიმართება 30 ოქტომბერს დანიშნული „ა“ ზონის უპრინციპულესი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ბოლნისის „სიონს“ შორის.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივის“ კუთვნილ „მიხეილ მესხის“ სტადიონზე რემონტი მიმდინარეობს, ამიტომ გუნდი „ეროვნულზე“ ატარებს საშინაო შეხვედრებს. 30 ოქტომბერს კი „ეროვნულის“ კიდევ ერთ ბინადარს — „თბილისს“ უწევს მასპინძლობა.

ფედერაციამაც გაითვალისწინა რკინიგზელთა თხოვნა და თამაში გადმოუტანა. ასე რომ, „ლოკომოტივი“ — „სიონი“ დილუბეში პარასკევს შედგება.

მეათე ტურის ყველა მატჩი ძველებურად 16 საათზე დაიწყება.

**ვანო ოქროპირიძე**

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | დერბი ქაუნთი 2:0 | 0 | ტრავმა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | შ | ბლექბერნი 2:0 | 0 | ტრავმა |
| **გერმანია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 0:0 | 76 | შეცვალეს |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 0:0 | 90 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 0:0 | 0 | ტრავმა |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | |
| რევაზ არველაძე | ობერჰაუზენი | შ | ოფენბახი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **ჰოლანდია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | დენ ბოსხი 6:1 | 45 | 88-ე წუთზე პენალტი დაიმსახურა |
| გიორგი ქინქლაძე | აიაქსი | შ | დენ ბოსხი 6:1 | 0 | ტრანსფერზეა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | გოუ ეჰედი 3:2 | 90 | 1 გოლი |
| **ბელგია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | შარლერუა 1:1 | 12 | შეცვლაზე ითამაშა |
| ლაშა ჯაკობია | სტანდარდი | შ | ლომელი 4:1 | 0 | ტრავმა |
| **შვეიცარია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სერვეტი 2:0 | 52 | შეცვალეს |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | სერვეტი 2:0 | 38 | შეცვლაზე ითამაშა |
| **რუსეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | შინიკი 3:1 | 89 | შეცვალეს, 2 გოლი, ვერ გაიტანა პენალტი |
| გიორგი ჩხაიძე | ალანია | შ | შინიკი 3:1 | 90 | 1 საგოლე პასი, გაფრთხილება |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | შინიკი 3:1 | 0 | ტრავმა |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ცსკა 1:0 | 0 | ტრავმა |
| გოჩა გოგრიჭიანი | ნ.ნოვგოროდი | შ | ტორპედო 0:1 | 0 | თადარიგშია |
| დავით გვარამაძე | კრილია სოვეტოვი | შ | ზენიტი 3:2 | 90 | გაფრთხილება |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია სოვეტოვი | შ | ზენიტი 3:2 | 90 | |
| ზურაბ წიკლაური | კრილია სოვეტოვი | შ | ზენიტი 3:2 | 76 | შეცვალეს, 1 გოლი |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ურალანი 1:3 | 90 | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | სოკოლი | შ | ტომი 4:2 | 45 | შეცვალეს, 3 გოლი |
| ზვიად ჯელაძე | სოკოლი | შ | ტომი 4:2 | 90 | |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | შ | ტომი 4:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | ს | კრისტალი 2:0 | 90 | |
| ვასილ სეფაშვილი | ნალჩიკი | ს | ამკარი 0:1 | 90 | |
| გერონტი ფრუიძე | ვოლგარი | ს | ტორპედო ზილ 1:1 | 90 | |
| მამუკა ხუნდაძე | ლოკომოტივი (ს-პ) | | | | გუნდმა ტური გამოტოვა |
| **უკრაინა** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | ნივა 1:0 | 90 | |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | დინამო 0:1 | 90 | |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | დინამო 0:1 | 90 | |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | დინამო 0:1 | 90 | |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | ნივა | შ | დინამო 0:1 | 45 | შეცვალეს |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | დინამო 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | მარიუპოლი 1:1 | 0 | ტრავმა |
| მიხეილ ფოცხვერია | შახტარი | ს | კარპატი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **თურქეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი კიკნაძე | სამსუნსფორი | შ | ანთალიასფორი 0:1 | 20 | შეცვლაზე ითამაშა |
| **საბერძნეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | კალამატა 1:1 | 45 | შეცვალეს |
| **ისრაელი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქვარ სავა) | შ | ბეითარი 1:2 | 90 | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | შ | მ.ფეთაჰ თიქვა 5:1 | 90 | |
| **პოლონეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ამიცა 1:1 | 0 | ტრავმა |
| **ლატვია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | ვალმეირა 3:0 | 56 | შეცვალეს |
| ლევან სილაგაძე | სკონტო | შ | ვალმეირა 3:0 | 90 | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | ვალმეირა 3:0 | 90 | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვალმეირა 3:0 | 34 | შეცვლაზე ითამაშა |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვალმეირა 3:0 | 69 | შეცვლაზე ითამაშა |
| ცეზარ ხუროძე | სკონტო | შ | ვალმეირა 3:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **ლიტვა** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| ირაკლი ზოიძე | ჟალგირისი | შ | ინკარასი 1:0 | 0 | ახალწვეულია |

*დღეიდან ყოველ ოთხშაბათს „სარბიელი" საშუალებას მოგცემთ, მიიღოთ ამომწურავი ინფორმაცია ქართველი ლეგიონერების შესახებ... ჯერჯერობით საშუალება გვაქვს, მხოლოდ ლეგიონერების ნაწილის თამაშს ვადევნოთ თვალი, თუმცა უახლოეს მომავალში ყველა ევროპელი ლეგიონერის შესახებ გვექნება ინფორმაცია.*

# დემეტრაძე: წინა კვირის ყოჩი

**წინა** კვირის საუკეთესო ლეგიონერი სარბიელელთა აზრით, ვლადიკავკაზის „ალანიელი" გიორგი დემეტრაძეა. რუსული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ქართველი ფეხბურთელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობასთან ახლოსაა. გასულ ტურში დემემ უიღბლო პერიოდი ორი გოლითა და ერთი გაფუჭებული პენალტით შეწყვიტა იაროსლავლის „შინიკთან" მატჩში. მედიამ დემეტრაძე შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. ქართველს ახლა 21 გოლი აქვს გატანილი და სპარტაკელ ტიხონოვს 3 ბურთით უსწრებს. თან „ალანიას" „სპარტაკზე" მატჩით ნაკლები აქვს გამართული.

რუსეთის წინა ტურში საუკეთესოდ კიდევ ერთი ქართველი, „კრილია სოვეტოვის" მეკარე დავით გვარამაძე დაასახელეს. „კრილიამ" მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო სამარაში პეტერბურგის „ზენიტის" წინააღმდეგ და თითქმის გაინაღდა უმაღლესში დარჩენა. სამარელები ამას გვარამაძეს უნდა უმადლოდნენ, 3:2-ზე კოშკამ ურთულესი ბურთები აულო რუსული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავ პანოვს. მანამდე კი პენალტიც მოიგერია.

სერიოზულ ევროპულ ლიგებში ქართველებისთვის ეს ტური არცთუ ბედნიერი გამოდგა. შოთა არველაძე მხოლოდ მაშინ შეუშვა ვოუტერსმა მოედანზე, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ქართველმა ფორვარდმა ისლა მოახერხა, რომ 88-ე წუთზე პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა და მახლასს ჰეთ თრიქი შეასრულებინა. ბოლო ტურებია, შოთა აშკარად დაიჩრდილა მახლასის, ლაუდრუპისა და კნოპერის კარგი თამაშის გამო.

ბუნდესლიგაში „კიკერმა" შესაბამისად 3-იანი და 4-იანი დაუწერა კობიაშვილს და იაშვილს. „ფრაიბურგმა" კიევში „დაგლეჯილი" „ლევერკუზენი" მიიღო და ქულა გაატანა. იაშკამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, კობიმ კი ერთხელ საჯარიმოთი შეაწუხა „baიერის" მეკარე მატიშეკი. თუმც ქართველები ქულითაც ალბათ კმაყოფილები უნდა იყვნენ.

შვეიცარიაში ქართველებმა ერთმანეთი ცვალეს. ჯამარაულმა, რომელმაც შეუძლოდ ყოფნის გამო გამოტოვა „ნიუკასლთან" უეფას თასის შეხვედრა, 52-ე წუთზე შეცვალა ყაველაშვილი. ამ დროს მათი „ციურიხი" 2:0-ს უგებდა შარშანდელ ჩემპიონ „სერვეტს".

„ქართული დერბი" შედგა უკრაინაში. კალაძის „დინამო" ტერნოპოლში 5(!) ქართველის წინააღმდეგობას წააწყდა და ძლივს გატეხა უზბეკი შაცკიხის მეორე ტაიმში გატანილი გოლით.

უიღბლო გამოდგა გიორგი კიკნაძის თურქული დებიუტი. „სამსუნსფორმა" შინ 0:1 წააგო „ანთალიასფორთან". კიკნაძემ ბოლო 20 წუთი ითამაშა მასპინძელთა რიგებში.

კვირას ბელგიის ჩემპიონატის ლიდერობა დაკარგა გელა შეყილაძის „ლიერსმა", მან 1:1 ითამაშა სტუმრად „შარლერუასთან" და პირველობა „ანდერლეხტს" გადააბარა.

დემეტრაძის გარდა გასულ კვირას მეორე დივიზიონში მოთამაშე ქართველებსაც გაუმართლდათ. არჩილ არველაძის „ბრედამ" 3:2 მოიგო (ერთი არჩილმა გაიტანა) და პირველ დივიზიონში დაბრუნების რეალური კანდიდატია.

რუსეთის უმაღლეს დივიზიონს კი 4 ქართველი უმიზნებს. მიხეილ ჯიშკარიანისა და ძმები ჯელაძეების „სოკოლმა" ჯიშკარიანის ჰეთ თრიქითა და გიზო ჯელაძის გოლით 4:2 მოუგო „ტომს" და პირველ დივიზიონში მესამე ადგილზეა. ლიდერი კი ალექსანდრე გოგობერიშვილის „ანჟია", მახაჩყალელთა გუნდში წინა ტურში პირველად ძირითადში გოგობერიშვილმაც ითამაშა და დებიუტი წარმატებული გამოდგა.

**სიმონ მენაბდე**




ბაჩო კორინთელის ფოტო

ოსლო. 1999 წლის 30 მაისი. ნორვეგია — საქართველო 1:0
გიორგი დემეტრაძე (№11) და ანდრე ბერგდოლმო

საქართველოს 11 ჩემპიონატი

9 ტური

# ვინ არიან ეს მომხვდურები!

მე რომ მეთერთმეტე ეროვნულის მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრების მასპინძელი გუნდების ადგილზე ვიყო, არც თავს ვიმართლებდი, არც გულს დავიარხეინებდი, არც ჯოყოლასავით დღეს სტუმარია ეგ ჩემიო, ამით დავიმშვიდებდი აფორიაქებულ სისხლს და გონებას, იქვე მინდორზე ჩამოვჯდებოდი და კლდიაშვილის ლენტორიასავით — გაგვათრიეს, გვცემეს და გაგვლახესო, ვიყვირებდი სამივე ხმაში — ბანიდან პირველამდე.

ეს რა ქნეს, რა ჩაიდინეს, რა უყვეს მასპინძელ მეტოქეებს სტუმარმა გუნდებმა. ვინ არიან ეს მომხვდურები, მთლად არ დამალეს ბურთი? ისევ კარნევალემ და მისმა კატენაჩომ მოწმინდა ნამუსი ტურის კოლეგებს, თორემ... თუმცა, უფრო დაწვრილებით.

წლევანდელი ჩემპიონატის „ყველაფრად ლიდერმა“ — „ტორპედომ“ გორში ჩაატარა საფეხბურთო გაკვეთილი და ისეთ დღეში ჩააგდო აქამდე თავმომწონე „დილა“, მტერსაც ეწყინებოდა. ქუთაისელთა თავდამსხმელებმა კი იმგვარად იხეირეს გორელების დაცვით ბასტიონებში... ასეც ეწყინებოდა თავმოყვარე მტერს. დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ ქუთაისელთა ამ ეტაპზე ლიდერს ზურაბ იონანიძეს, რომელმაც პირდაპირ გულაბი მსხალივით გამოხრა „დილას“ დაცვის ხაზი, თავადაც გაიტანა, სხვებსაც დაეხმარა და ხუთ გოლს სხვა რა უნდა.

ბოლნისში „სიონმა“ ვეტერინარები იწვია. კოტრიკაძის სოლიდური გუნდი საპრიზო ადგილებისთვის კი „კაჩაობს“, მაგრამ არც „სიონია“ ის ჩიტი, თავი ადვილად გააპუტინოს ვინმე. ისე მოხდა, როგორც აქამდე ხდებოდა ქვემო ქართლში. აშკარა ავტორიტეტად ჩასულმა „ვიტ ჯორჯიამ“ ქულასღა გამოჰკრა ხელი. ის კი არა, ერთი ორჯერ ძელსაც გაუცაცუნეს ბოლნისელებმა ბურთი და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ... თუმც იღბალსა და ყისმათზე თუ მიდგება საქმე, გიორგი ქორიძეს არ გაუმართლა ყველაზე მეტად, მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთის ხეირიანად დარტყმა ვერ მოახერხა.

„ბათუმს“ ამ ბოლოს გოლების გატანაც შემოესწავლა. ძველი, კარგი დრო გაიხსენა პაატა მაჭუტაძემაც და ერთი გოლიც შემატა თავის საგოლეადორო კოლექციას. ამას პაატამ ერთი საგოლე გადაცემაც დაუმატა და „თბილისთან“ 2:0-ც ამგვარად შედგა. ისე, „სკანდალე“ კინაღამ ამ მატჩიც შედგა, იყოჩაღა ტოგონიძემ და ასკაროღლის მიერ დანიშნული „ტკბილ-მწარე“ პენალტი მოიგერია, თორემ იტალიელი ისევ დააწიოკებდა სამსაჯოს და მართალიც იქნებოდა. პენალტი ხელით თამაშისთვის ინიშნება და არა ხელზე მოხვედრისთვის. მართალია, საქართველოს სამსაჯო-საინსპექტორო კომისია მსაჯების წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ კრიტიკას აპროტესტებს, მაგრამ ვფიქრობთ, ნამდვილად დადგა დრო, ქართველი მსაჯების შეცდომებს „ასტონ ვილას“ მენეჯერის ჯონ გრეგორისეული მეთოდით ვებრძოლოთ (მისტერ ჯონი მსაჯებისთვის მავან ადგილას ელექტრომაბვით დატენილი მავთულების მიერთებას ითხოვს — შეცდება მსაჯი ჩავრთოთ ძაბვის ქსელიო). ამ მეთოდის დანერგვის შემთხვევაში მართლა აღარ „შეეშლებათ“ ამდენი მსაჯებს.

„დინამოს“ წლეულს გული შეუწუხა და ხუთი ქულაც დააკარგვინა „არსენალმა“. რატი ალექსიძის მიერ შეხვედრის დასაწყისშივე გატანილი გოლით თითქოს შავმა ღრუბლებმა მოიყარეს თავი არმიელთა ზემოთ, მაგრამ არმია რის არმიაა, ღრუბლებისთვის სეტყვისსაწინააღმდეგო ქვემეხები არ დაეშინა და მეორმოცე წუთზე კაკაშვილის გასროლილმაც საბოლოოდ მიმოფანტა ისინი. ერთხელაც შეეძლო „დინამოს“ დაწინაურება, მაგრამ ალექსიძის პენალტი ჩლაიძემ მოიგერია და ფრეც გაგორდა ეროვნულზე.

მსაჯებზე და მსაჯობაზე გაბრაზებულმა „მერანმა“ „ხობს“ ვერ მოუხერხა ვერაფერი და ერთხელაც დაადასტურა შტატიანი ფრეების დიდოსტატის რეპუტაცია. ეს „მერანის“ მეექვსე ფრეა. კი ეცადნენ ტრანსპორტელები მოგებას, მაგრამ ხობელთა მეკარე ბაბუაძის გარჯამ ნაყოფი გამოიღო, მრავალი შეტევისა და დარტყმის მიუხედავად, ბაბუაძე მედგრად იდგა, ყველა დარტყმული უკუაგდო და ავჭალის „სინათლეც“ ვინ იცის, მერამდენედ შეეგება უგოლო ფრეს. აშკარად მოსაგებიო — ასე ეძახდა ამ შეხვედრას „სინათლეზე“ შეკრებილი „მერანის“ სამასამდე ქომაგი, მაგრამ არ მოხდა ასე, ვერ მოუგო „მერანმა“ და შესაბამისად მეტად და მეტად გაირთულა ოთხეულში მოხვედრის საქმე.

ახლა კი იმათზეც, ვინც „დილას“ ბედი იწვნია და შინ დამარცხდა. ასეთი სამია — „იბერია“, „გორდა“, „სამგურალი“. ამათგან ყველაზე მეტი გოლი „სამგურალმა“ გაუშვა. ბევრს ეცადა იმერელთა მრავალტანჯული დაცვა, მაგრამ ამბიციამომსკდარ რკინიგზელებთან ვერაფერი გააწყო და რუხის ციხესავით სამჯერ დაეცა. გოლები ქებაძემ (ორჯერ) და ბებერმა კაპიტანმა ჩიხრაძემ გაიტანეს ბობოხიძის კარში. დიდი ხანია, ასე გაუჭირვებლად არ მოუგია „ლოკომოტივს“ და ეს უმალ თემურ მახარაძის აქტივში უნდა ჩავწეროთ. „თემური და მისი რაზმი“ უკვე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და სხვათა შორის, ყველასთვის.

„გორდა“ — „კოლხეთი“. კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც ალბათ ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ზაველ ლალანიძეს სხვანაირად უფიქრია და ამიტომაც დაუქუხა ორმოციოდე მეტრიდან მამუკა ქორიძეს. ყველა საფეხბურთო კანონით მეკარეს უნდა აეღო ეს ბურთი, მაგრამ ფეხბურთი იმითაა კარგი, რომ კანონებს ძნელად ემორჩილება და ალბათ ლალანიძეს ის გოლიც უფრო „კანონგარეშეებს“ უნდა მივაკუთვნოთ. ასეა თუ ისე, „კოლხეთმა“ ოთხეული გაინაღდა და „გორდა“ კი... ბებერი კეთილი „გორდა“ თითქმის საუკეთესოთა მიღმა დარჩა. ვნახოთ, ამის შემდეგ რას იზამენ რუსთაველები.

დაბოლოს, „იბერია“ და მისი უნიათობა. თსუ ნაღდად არ გახლავთ ის გუნდი, ვისაც სამტრედიელთა შინ და გარეთ დამარცხება უპრობლემოდ ხელეწიფება, მაგრამ ამჯერად ასე მოხდა. ადამიას მიერ მატჩის მიწურულს გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა თამაშში და თსუ-მ და „იბერიამ“ ადგილებიც ამ ბურთის გამო გაცვალეს.

ეს იყო „ყირამალა ტური“, ასე დავარქვით. ისე „მწირი ტურიც“ უპრიანი იქნებოდა. რვა მატჩში თოთხმეტი გოლი. ჯაყო ასე იტყოდა — აპრუწუწუნ ევროპაო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 7 - | ალექსიძე | დინამო |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| 6 - | გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| | იონანიძე | ტორპედო |
| 5 - | აშვეთია | დინამო |
| | გ. მიქაძე | თბილისი |
| 4 - | რ. გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| | ლ. მელქაძე | თბილისი |
| | რუსია | ლოკომოტივი |
| | ქებაძე | ლოკომოტივი |

### სიმბოლური ნაკრები

ლევან ქებაძე — ლოკომოტივი
გიორგი მეგრელაძე — ტორპედო
ზაზა ვაჩიბერაძე — ტორპედო
ზურაბ იონანიძე — ტორპედო
გენადი კაციაშვილი — არსენალი
დავით სოლოღაშვილი — სიონი
გიორგი ჩიხრაძე — ლოკომოტივი
ვახტანგ ხვადაგიანი — ტორპედო
გიორგი ჭანკოტაძე — ვიტ ჯორჯია
ედიკ საჯაია — ვიტ ჯორჯია
თემურ ჩლაიძე — არსენალი

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: მამუკა გოგიჭაიძე არსენალი

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 16:8 | 8 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 9 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 8 |
| 3 ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 3 | 14 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 |
| 4 ბათუმი | 9 | 3 | 5 | 1 | 6:3 | 3 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 4 | 11 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 5 სიონი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:12 | -4 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 3 |
| 6 თბილისი | 9 | 2 | 3 | 4 | 17:18 | -1 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 2 |
| 7 სამგურალი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:16 | -10 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 1 |
| 8 არსენალი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:13 | -6 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 2 |

| «ბ» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 9 | 8 | 1 | 0 | 24:5 | 19 | 25 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 10 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 15 |
| 2 კოლხეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:11 | 2 | 18 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:8 | -1 | 9 |
| 3 დილა | 9 | 4 | 2 | 3 | 11:13 | -2 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 |
| 4 თსუ | 9 | 2 | 4 | 3 | 5:7 | -2 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 |
| 5 იბერია | 9 | 2 | 3 | 4 | 5:10 | -5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 |
| 6 მერანი | 9 | 1 | 6 | 2 | 8:9 | -1 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 7 გორდა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:9 | -3 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:5 | -5 | 0 |
| 8 ხობი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:15 | -8 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |

## «ა» ზონა

ბოლნისი
23 ოქტომბერი
16 საათი
თემურ სტეფანია
1000 (ტევადობა 3 000)

### სიონი 0:0 ვიტ ჯორჯია

სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 71), მ. გოგოლაძე (დ. სვანიძე 44), სოლოღაშვილი, თ. სამხარაძე, მოსეშვილი (ლ. გაგუა 82), დ. გოდერძიშვილი, დათუაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, კაპანაძე, ტარულაშვილი
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ბარქაია, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ლ. ნოზაძე, ზ. გვაზავა, ჯ. მუჯირი, ყიფიანი, რ. გოცირიძე (კოტორაშვილი 64), გიორგი ქორიძე (ა. ბოკერია 78)
*სათადარიგონი:* ქურაძე; დ. დოლიძე, მაზიაშვილი, დილმელაშვილი, ვ. გოჩაშვილი
გაფრთხილება: მუჯირი (32), კ. გოდერძიშვილი (32), გვაზავა (54), ქორიძე (62), მოსეშვილი (70)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი);
სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

ცხალტუბო
23 ოქტომბერი
16 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 0:3 ლოკომოტივი

0:1, 0:2 ქებაძე (29, 38), ჩიხრაძე (56)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ლ. ქობულაძე (ზურაბიანი 46), სადილიანი, ვოსკანოვი, ქყონია, სუხიაშვილი (ძაგნიძე 71), ი. ხაჭაპურიძე, ძოძუაშვილი, კოხრეიძე (ფხაკაძე 62), ლონდაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; კოპალიანი, ნებიერიძე, გაბელაია
ლოკომოტივი: ჯანელიძე, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, კ. მელქაძე (ბარნოვი 69), გ. ჩიხრაძე, მ. ქობულაძე, შ. ჩომახიძე (ბაქრაძე 57), კაციაშვილი, ქებაძე, რუსია (შავგულიძე 76), ამაშუკელი
*სათადარიგონი:* ასლანაძე, დოლაბერიძე; იაგორაშვილი, გველესიანი
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: რ. ჩილაჩავა

თბილისი
24 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

### დინამო 1:1 არსენალი

1:0 ალექსიძე (22), 1:1 კაკაშვილი (40)
ალექსიძემ ვერ გაიტანა პენალტი (61, მეკარე)
დინამო: დონდტი, დიდავა, კობიაშვილი (ნიტაიშვილი 58), ა. სახვაძე, ალექსიძე, ვაშაკიძე, გუჩუა, სიქინავა, გ. შენგელია (ჯინჭარაძე 76), ანჩაბაძე, აშვეთია
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე, შაშიაშვილი
არსენალი: ჩლაიძე, ყუფარაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, არქანია (ცოტაძე 69), ვახტანგ გაგუა, ხოსროშვილი, თარგამაძე (ჩალაძე 70), გონჩაროვი (სულაძე 75), კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; კვირკველია, წონკოლაური, რობაქიძე
გაფრთხილება: ანჩაბაძე (90)
გაძევება: ტარიელაშვილი (61)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ბათუმი
24 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
1 000 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 2:0 თბილისი

1:0 აფხაზავა (65), 2:0 მაჭუტაძე (76)
მელქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (69, მეკარე)
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, მინდაძე (რომანაძე 46), ხუჯაძე, კობიძე, გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტულუში (თედორაძე 84), გადელია (აფხაზავა 46)
*სათადარიგონი:* ვარშანიძე; სიხარულიძე, ი. მახარაძე, ქაცარავა
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, მაჭავარიანი, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, კვარაცხელია, ლ. ბურდული, ქემოკლიძე, ვ. გაგუა, ლ. მელქაძე (გ. მიქაძე 71)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ტყებუჩავა, კანდელაკი, ი. შენგელია, ნორაკიძე, ისიანი
გაფრთხილება: გაგუა (3), ზამთარაძე (48), მ. მახარაძე (68), მიქაძე (72), რუხაძე (78), პაპიძე (83), არჩვაძე (89)
გაძევება: მიქაძე (78)
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

## «ბ» ზონა

თბილისი
23 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
300 (ტევადობა 3 000)

### მერანი 0:0 ხობი

მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე (ჭინჭარაული 83), პ. ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, ხარებავა, ბაჯელიძე (როსტიაშვილი 72), დავითაშვილი, ქ. ალადაშვილი, ზ. ამბიძე, დევიძე, კარიაული
*სათადარიგონი:* კორომშინაძე; ცქიფურიშვილი, ივანიშვილი, კოშკაძე, ჩანადირი
ხობი: ბაბუაძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე (დანელია 72), ლ. გვაზავა, ბუკია, ჭიჭინაძე, თორია
*სათადარიგონი:* ნიქაბერიძე, ჯამბურია, გედენიძე, ვ. ჩიტაია
გაძევება: თორია (81)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი), ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა), ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

რუსთავი
23 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

### გორდა 0:1 კოლხეთი

0:1 ლალანიძე (82)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, მიშველიძე, თელიაშვილი, მ. სახვაძე, ა. ბუკია (ბერიძე 73), კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიტაური, ბაჩილავა
კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, დავითნიძე, ანჯაფარიძე (ე. გვასალია 57), შალამბერიძე, ლალანიძე, კიკლიაშვილი (ბულუხია 62), ტრაპაიძე, ხუჭუა (კედელაშვილი 65)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ბურკვაძე, ქოხონელიძე, ჯღარკავა
გაფრთხილება: ლალანიძე (40), ბუკია (43), შალამბერიძე (77), ბექაური (77), ბერიძე (84)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. მარლიშვილი (ქარელი); ო. ხეცაძე (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

გორი
24 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:5 ტორპედო

0:1 იონანიძე (43), 0:2, 0:3 მეგრელაძე (44, 45), 0:4 კვეტენაძე (47), 0:5 ვაჩიბერაძე (67)
დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (ვ. სამხარაძე 50), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 46), ფეზუაშვილი, მარლიშვილი, აკოფიანი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; არუთინიანი, დ. მაისურაძე, ოლგესაშვილი, საყვარელიძე
ტორპედო: ჭანტურია, მაღლაკელიძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე, ჩხეტიანი, იონანიძე (ამისულაშვილი 78), დ. ჯანაშია (იმედაძე 73), მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 78)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; ვ. მაისურაძე, მახვილაძე
გაფრთხილება: აკოფიანი (14), იონანიძე (34)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); გ. მარლიშვილი (ქარელი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩიგაშვილი

სამტრედია
24 ოქტომბერი
16.06 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 14 000)

### იბერია 0:1 თსუ

0:1 ადამია (89)
იბერია: გ. დოლიძე, კ. მეტრეველი, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე (დარსაძე 85), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ბიწაძე, ხურციძე, ნ. გიორგაძე, ჟვანია, ცომაია
თსუ: მერლანი, ნინუა, ჯობაძე (ადამია 33), სვანაძე, ფარქოსაძე (ბ. ნოზაძე 69), წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, ბოკერია, დ. არჩვაძე, ერაძე (ინწკირველი 74)
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. გოცირიძე, გ. მიქაძე, გ. გვაზავა
გაფრთხილება: ნინუა (45), წუწუნავა (87), მუმლაძე (90)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

# ჩარლტონს საფიქრალი მიეძალა



სერ ბობი ჩარლტონი

საფეხბურთო სამყაროში ჟოაო ავლანჟის 24-წლიანი მეფობის ხანაში იმდენი ახალი იდეა არ გაჩენილა, რაც ზეპ ბლატერის პრეზიდენტობის პირველსავე წელს. კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატების გამართვის იდეამ უკვე ხორციც შეისხა. პირველი ჩემპიონატი ორი თვის შემდეგ, იანვარში ბრაზილიაში ჩატარდება.

ბევრი ამ ტურნირს ეჭვის თვალით უყურებს. თვლიან, რომ კონფედერაციის თასის მსგავსად, კლუბების მსოფლიოს ჩემპიონატიც ნაკლებად პრესტიჟული გათამაშება იქნება.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" გასულ სეზონში ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. კლუბს კი ახალი მიზნები, ახალი სიმაღლეების დალაშქვრა სჭირდება. თან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მაინც განსაკუთრებულად ჟღერს.

ორგანიზატორთა მიწვევა რომ მიიღეს, მანჩესტერელებმა თავიანთ კალენდარს გადახედეს. აღმოჩნდა, რომ ლამის ყოველ მესამე დღეს თამაში უწევდათ. ამდენი ფეხბურთით რობოტებიც გადაიწვებიან და ჩვენ ადამიანებმა რაღა ვთქვათო, ჩაფიქრდნენ კლუბის თავკაცები. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე თქვეს უარი. საფეხბურთო ინგლისი აღშფოთდა. ტრადიციების დიდ მოყვარულ ქვეყანაში მსგავსი რამ არ მომხდარა. „მანჩესტერს" სასწრაფოდ მადრიდის „რეალზე" მიუთითეს, რომელიც ასევე ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. მადრიდელებს თქვენზე ნაკლებ დატვირთული კალენდარი არა აქვთ და ისინი თუ ყველგან თამაშს აპირებენ, თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „მანჩესტერს" შესთავაზა, ოღონდ ჩვენი სახელობის თასზე ითამაშეთ და სამაგიეროდ საშინაო კალენდრის თქვენს ნებაზე გადაკეთების უფლებას მოგცემთო.

ჩაფიქრდა ბობი ჩარლტონი. ძველი თაობის გულშემატკივრები ამბობენ, ეს კაცი თავის დროზე დიდ ფეხბურთს თამაშობდაო. სწორედ ამიტომ ინგლისის დედოფალს მისთვის რაინდობა უბოძებია. ეს კი გვაიძულებს, ჩარლტონს სერ ბობი ჩარლტონი ვუწოდოთ. სერ ბობი ამჟამად „მანჩესტერის" დირექტორია. ამიტომაც ზემოთ აღწერილი საკითხის გადაწყვეტაც მას ევალება. ჰოდა, დასაფიქრებლად მიზეზი სწორედ რომ ჰქონდა. ესენი მაინც არ მომასვენებენო და განაცხადა: „რამდენიმე დღე მაცალეთ, ჩვენებს მოველაპარაკები და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მოგახსენებთ. ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას საფეხბურთო ისტორიის წინაშე. დიდი სურვილი მაქვს, არც ერთი ტურნირი არ გამოვტოვოთ". სერ ბობიმ იქვე დაუმატა, ეჭვი მაქვს, წინა სეზონში მოპოვებული ჯილდოების დაცვა გაგვიჭირდებაო.

**გიორგი დარჯანია**

# რა კარგია, რა მშვენიერია, რა დიდებულია, რა ბრწყინვალეა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ინგლისური პროექტი, ფიფას დელეგაციის აზრით, ბრწყინვალეა.

2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის გერმანული პროექტი, იმავე დელეგაციის აზრით, ბრწყინვალეა.

დელეგაცია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ალან როზენბერგი ხელმძღვანელობდა, ხუთი დღის განმავლობაში ჯერ გერმანიაში გახლდათ, მერე კი ინგლისში. როგორც როზენბერგი ამბობს, დელეგაციას ორივეგან ჩინებული სარბიელები, ინფრასტრუქტურა, გეგმები და მასპინძლობა დახვდა.

კითხვაზე, რომელი პროექტი სჯობს, ინგლისური თუ გერმანული, ამერიკელმა ჩინოსანმა ვერაფერი უპასუხა.

„ორივე დიდებულია, პირველ-მეორეობით ვერ დავაყენებ" — თქვა მან.

არადა, ინგლისელები კმაყოფილებას ვერ მალავენ. მათ პროექტს, თუ გნებავთ კამპანიას, ელის მაკგივანი ხელმძღვანელობს, რომელიც ამბობს, რომ მისი აზრით, დელეგაციის უფრო წარმატებული ვიზიტის წარმოდგენა შეუძლებელია.

როზენბერგის რაზმში ჩანაფიქრით ექვსი კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩინელ ჟანგ ჯილონგს მეუღლე ავად გაუხდა და მის საავადმყოფოში დასაწვენად სამშობლოს გაეშურა. ამრიგად, ინგლისში ხუთნი დადიოდნენ, თუმცა ჯილონგი დანარჩენი სამი ქვეყნის, ბრაზილიის, მაროკოსა და სამხრეთ აფრიკის შემოწმებაში აუცილებლად ითამაშებს როლს.

რატომ დაიწყეს გერმანია — ინგლისის დათვალიერებით? როზენბერგი ბრძანებს, რომ მიზეზი კლიმატია ანუ ამ ორ ქვეყანაში მალე დაზამთრდება და ინსპექციას აზრი დაეკარგება.

„ინგლისელთა პროექტი უპირველეს ყოვლისა ჩინებულად არის დაწერილი" — თქვა როზენბერგმა პრესკონფერენციაზე, სადაც დასძინა, რომ კომისიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ადგილობრივი ხალხის ფეხბურთისადმი დამოკიდებულების შესწავლა და აქაც მოხიბლული დარჩა.

როზენბერგმა თავად ვიზიტის ორგანიზაციასაც დიდებული უწოდა, უფრო ზუსტად თითქმის სრულყოფილი, ხოლო უსაფრთხოების საკითხებით უბრალოდ აღფრთოვანებული დარჩა.

„რაც შეეხება სტადიონებს, ისინი უმაღლესი დონისაა. ახალი „უემბლი" კი ჯადოსნური იქნება" — თქვა მან — „განსაკუთრებით იმ გარემოებამ მოგვხიბლა, რომ „ენფილდი" და „ვილა პარკი" ძველი, ტრადიციული ღირებულებების დაუზიანებლად ალუდგენიათ".

ამერიკელ კაცს ინგლისელებმა თავიანთ სატკივარზეც ჰკითხეს — „უემბლის" ახალ ვარიანტში ცნობილი „ტყუპი კოშკი" აღარ იქნება და განა ეს ნაკლად არ უნდა ჩაგვეთვალოსო. ამერიკელმა წესებში ჩაიხედა.

„ფიფას მოთხოვნათა ჩამონათვალში ასეთს ვერაფერს ვხედავ" — გასცა პასუხი.

ინსპექტორები პრემიერ-მინისტრს, ტონი ბლერსაც შეახვედრეს, მერე კი შვეულმფრენში ჩასვეს და ზედ „უემბლის" მოედნის ცენტრში ჩამოაბრძანეს, გარდა ამისა, ისინი გახლდნენ „ვილა პარკზე", დერბის „პრაიდ პარკზე", სანდერლენდის „სინათლეზე", ეწვიენ „ლივერპულსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს", შეხვდნენ ფეხბურთელებს, მათ შორის ჭაბუკ და საყოველთაოდ საჩვენებელ მაიკლ ოუენს.

ვახშამი „ჰემპტონ კორტ პალასში" ორშაბათ საღამოს გაიმართა, სადაც კევინ კიგანი, გარი ლინეკერი და ჰოლივუდის ვარსკვლავი ჰიუ გრანტი კაშკაშებდნენ.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება გრანტმა დატოვა, რომელიც ისეთი თავანკარა და მხატვრული ინგლისურით მეტყველებდა, რომ რას ამბობდა, მაინცდამაინც მნიშვნელოვანი აღარ იყო და, როგორც ჩანს, არც არავინ ჩაკვირვებია.

სხვათა შორის, პრემიერმა ბლერმა აურია, როზენბერგს გრანტი „ფულემის" ქომაგად წარუდგინა, არადა თავგადაკლული ნიუკასლისტია.

როზენბერგს კი ყველაზე მეტად დერბის მაცხოვრებელი 10 წლის ბიჭი დაამახსოვრდა, რომელმაც უთხრა: „შემხედეთ, 2006 წელს მე ვიქნები მოედანზე".

**ბაკუნა კედია**



ფიფას დელეგაცია „უემბლიზე"




**მოსკოვის „სპარტაკიდან" ახლახან დათხოვნილ სერგეი იურანსა და ილია ციმბალარს, მართალია, რომანცევმა ღამის კლუბებში ხშირად სიარული დასწამა, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. დროსტარებასა და უქმად ყოფნას ორივემ ისევ ფეხბურთის თამაში ამჯობინა და მოსკოვისავე გუნდს, რუსეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ტორპედო ზილს" მიაკითხა. ამ კლუბს რუსეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბორის იგნატიევი ავარჯიშებს. „ტორპედო ზილში" სხვა ცნობილი ფეხბურთელებიც თამაშობენ — ალექსანდრ ბოროდიუკი, ალექსანდრ სმირნოვი და მცველი სერგეი გორლუკოვიჩი. იურანი და ციმბალარი ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშობენ. მათი გუნდში აყვანა იგნატიევს ძალიან სდომებია: „თუ ისინი საზღვარგარეთ შესაფერის კლუბს ვერ მონახავენ და ეს, ალბათ, ძალიან გაუჭირდებათ სათამაშო ფორმისა და სკანდალური ისტორიის გამო, ყოველმხრივ მზად ვართ, დახმარება აღვუთქვათ ექსსპარტაკელებს და კონტრაქტიც შევთავაზოთ" — განაცხადა ბორის იგნატიევმა.**

ესპანური „რეალ სოსიედადის" გერმანელი თავკაცი ბერნდ კრაუსი გუნდის წარუმატებლობის გამო სამშაბათს გაათავისუფლეს. კრაუსი ბასკურ კლუბში 1997 წელს გერმანული მიონხენგლადბახის „ბორუსიადან" გადავიდა და მას შემდეგ სამი სეზონი მოღვაწეობდა ამ გუნდში. შარშან მისმა კლუბმა ვერც ერთი ევროსაგზური ვერ მოიპოვა და საბოლოოდ ჩემპიონატი მე-10 ადგილზე დაასრულა. წლეულს კი გუნდი 9 ტურის შემდეგ მე-17 პოზიციაზეა. ესპანური პრესის ცნობით, კლუბის ახალ თავკაცად ესპანეთის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს, ხავიერ კლემენტეს დანიშვნას აპირებენ, რომელიც, სხვათა შორის, წარმოშობით ბასკია. უკანასკნელი ინფორმაციით კანდიდატებად „ტენერიფეს" ყოფილი თავკაცი ხუან მანუელ ლილოს და ბოლივიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ხავიერ ასკარგორტას მოიხსენიებენ.

**ესპანური მადრიდის „რეალის" ბრაზილიელ ფორვარდს, სავიოს შაბათს ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში „სევილიის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში, კუნთი დაეჭიმა და სავარაუდოდ თავის გუნდს სამ კვირას დააკლდება. სავიო ამ მატჩის მეორე ნახევარში შეცვლაზე შევიდა და რამდენიმე წუთში ტრავმა მიიღო.**

ბოსნიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ამავე ქვეყნის 21-წლამდელთა გუნდის ყოფილი თავკაცი მიშო სმაილოვიჩი დაინიშნა. თუმც ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, სმაილოვიჩი ამ პოსტზე დროებით იმუშავებს, მას უახლოეს მომავალში ახალი თავკაცი შეცვლის, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია. სადებიუტო ამხანაგური მატჩი სმაილოვიჩს 11 ნოემბერს ელის გერმანიის ნაკრებთან.

**ინგლისის ნაკრების ყოფილი ფორვარდი დევიდ ჰირსტი, რომელიც ახლა „საუთჰემპტონის" რიგებში ირიცხება, იმედოვნებს, რომ 16-თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ განაგრძობს ვარჯიშს. 32 წლის ჰირსტის ასეთი ხანგრძლივი პაუზა უმძიმესი ტრავმით იყო გამოწვეული, რომელიც ფეხბურთელმა გასული წლის მაისში გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო. შეგახსენებთ, რომ ჰირსტი „საუთჰემპტონში" 1997 წელს გუნდისთვის სარეკორდო თანხად, 2 მილიონ გირვანქად „შეფილდ უენსდიდან" გადავიდა. „საუთჰემპტონის" მწვრთნელი დეივ ჯოუნსი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი მალე ჩადგება სათამაშო ფორმაში და გუნდს დიდად დაეხმარება.**

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის" ნახევარმცველმა ტიმ შერვუდმა ექიმების გადაწყვეტილებით სასწრაფოდ საზარდულის ოპერაცია უნდა გაიკეთოს. ამის გამო იგი ნაკრების მორიგ შეხვედრას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში შოტლანდიელთა წინააღმდეგ გამოტოვებს. ოპერაციის სარეაბილიტაციო ვადად ექიმები ექვს კვირას ასახელებენ, თუმც არ არის გამორიცხული, მეტი დროც დასჭირდეს. „ტოტენჰემის" მწვრთნელის, ჯორჯ გრემის განცხადებით, შერვუდი დიდი დანაკლისი იქნება გუნდისთვის. იგი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი მალე გამოჯანმრთელდება.

**შვეიცარიული „სერვეტის" მთავარი მწვრთნელი ჟერარ კასტელა სამშაბათს გაათავისუფლეს. მიზეზი გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობაა. კასტელას კლუბთან კონტრაქტი 2001 წლამდე ჰქონდა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატის წინა ტურში „ციურიხთან" 2:0 მარცხის შემდეგ ვადაზე ადრე დაატოვებინეს თანამდებობა. ახლა „სერვეტი" სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა, ხოლო ევროსარბიელზე ასპარეზობას რა ხანია, გამოეთიშა.**

საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ნახევარმცველ კრისტიან კარამბუს განცხადებით, იგი მადრიდული კლუბის დატოვებას აპირებს, რადგან მთავარი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი მას სასტარტო შემადგენლობაში არ აყენებს. შეგახსენებთ, რომ კარამბუ „რეალში" 1998 წელს იტალიური „სამპდორიადან" გადავიდა და იმავე წელს მასთან ერთად ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. კარამბუს თქმით, იგი „რეალის" პრეზიდენტ ლორენცო სანსს უახლოეს დღეებში დაელაპარაკება გუნდიდან წასვლის თაობაზე. არ არის გამორიცხული, კარამბუ მალე ინგლისში ან გერმანიაში ვიხილოთ, მით უმეტეს, რომ მისდამი ინტერესს სეზონის დასაწყისში მიუნხენის „ბაიერნი" და პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი იჩენდა.

**შოტლანდიური „რეინჯერსის" ნახევარმცველმა ბარი ფერგიუსონმა კიდევ 6 წლით გააგრძელა კონტრაქტი თავის კლუბთან. მთავარი მწვრთნელის, დიკ ადვოკაატის თქმით, ფერგიუსონს, რომელიც ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, უდიდესი პოტენცია გააჩნია და დიდი მომავალი ელის. თავად ფეხბურთელი კმაყოფილია ახალი კონტრაქტით და იმედოვნებს, რომ პროფესიულ კარიერაში გლაზგოური გამოცდილება დიდად წაადგება.**

ინგლისურმა „ბირმინგემმა" ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ როგორც იქნა, გადაიბირა „შეფილდ იუნაიტედის" 30 წლის ბრაზილიელი ფორვარდი მარსელო. ბირმინგემულ კლუბს ეს ტრანსფერი 450 000 ინგლისური გირვანქა დაუჯდა. როგორც მათმა თავკაცმა, ტრევორ ფრენსისმა განაცხადა, იგი მოხარულია ახალი ფეხბურთელის შეძენით და იმედოვნებს, რომ მარსელო „ბირმინგემს" ძალიან გამოადგება.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20



პატრიკ ვიეირა

# მერე დადგება ვით მთვარეული და...

— მთელი თამაში ველოდებოდი კოკუს ახლა შეაფურთხებს, ახლა შეაფურთხებს-მეთქი. ისე დამთავრდა არ შეაფურთხა — ეწერა შაბათის „სარბიელში" გამოქვეყნებულ საჭირბოროტო კითხვა-პასუხში.

ვინ? ვინ და პატრიკ ვიეირა, „არსენალის" ფრანგი ნახევარმცველი, რომელიც ხვალ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის წინაშე უნდა წარსდგეს, რადგან ამასწინათ, „ვესტ ჰემთან" თამაშის დროს ნილ რადოკს შეაფურთხა და კითხვა-პასუხის პერსონაჟობაც დაიმსახურა.

ვიეირა 23 წლის გახლავთ, „ჰაიბერიზე" სამი წელიწადია მოღვაწეობს და ამ ხნის მანძილზე 39-ჯერ უნახავს, როგორ იღებს მის დასასჯელად არბიტრი ჯიბიდან ყვითელ ბარათს.

„ძალიან ვწუხვარ ასე რომ მოვიქეცი" — უთხრა გაზეთ „დეილი სტარის" კორესპონდენტს „არსენალის" ყველაზე სამარცხვინო კაცად შერაცხულმა ფეხბურთელმა — „იმდენად მრცხვენია, რომ იმ ეპიზოდის კიდევ ერთხელ ნახვას ნამდვილად ვერ შევძლებ. ის კაცი მე არ ვიყავი. მთვარეულივით ვიქცეოდი. საერთოდ, აგრესიული და მოძალადე კაცი არ გახლავართ, პირიქით, ერთობ დადებითი პიროვნება ვარ და ჩემმა საქციელმა შემაშინა კიდეც. ყველაფერი ძალიან ჩქარა მოხდა, თუმცა, აბა, ეს რა გამართლებაა. მზად ვარ ნებისმიერი სასჯელისთვის, არიან გამოუსწორებელი მოთამაშეები, მაგრამ მე მათ რიცხვს ნამდვილად არ მივეკუთვნები. არ მგონია, რომ პრემიერლიგის ყველაზე მოძალადე ფეხბურთელთა შორის სახსენებელი კაცი ვიყო".

მიმომხილველები კი ამტკიცებენ, რომ პატრიკ ვიეირა ფეხბურთის ასოციაციიდან ერთობ ხანგრძლივ დისკვალიფიკაციასა და ჯარიმას მიიღებს.

# ნიკოლაევიჩის ორდენები



ბორის ელცინი



ლენარტ იუჰანსონი

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი დააჯილდოვა. კრემლში განაცხადეს, რომ ფეხბურთის განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილისა და ერებს შორის მშვიდობის დასამყარებლად გაწეული მუშაობისთვის პრეზიდენტმა ელცინმა ბატონი იუჰანსონი მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

მკითხველი იფიქრებს, რუსეთში ყველაფერი ყირამალა დგას და ამ არეულ დროში იუჰანსონი რამ გაახსენათო?

საქმე ისაა, რომ რუსებს 2008 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა განუზრახავთ. რუსეთში როგორი საფეხბურთო ინფრასტრუქტურაა, ვიცით. მის მოსაწესრიგებლად ფული რომ არა აქვთ, ესეც ცნობილია. უსაფრთხოების გარანტიებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ერთადერთი, რაც რუსეთში კარგად მუშაობს, ფულისა და მედლების საბეჭდი დაზგაა. ჰოდა, ბორის ნიკოლაევიჩმაც ეშმაკობას მიმართა, ერთი ზედმეტი ორდენის უეფას შტაბბინაში გაგზავნა ქვეყანას არ დააქცევს. ვინ იცის, იქნებ იუჰანსონს გული აუჩუყდეს და კენჭისყრაზე რუსეთის კანდიდატურამ გაიმარჯვოს.

**გიორგი დარჯანია**

# ხულიგნებო, გეშინოდეთ კამერების!

ბელგია-ჰოლანდიაში გაისად ევროპის ჩემპიონატი რომ გაიმართება, მოგეხსენებათ. ამ ორ ქვეყანას დაახლოებით 3 კვირით მასპინძელთა გარდა კიდევ 14 მონაწილე ეროვნული გუნდი და, რაღა თქმა უნდა, მათი ერთგული გულშემატკივარი ესტუმრება. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ევრო 2000-ის ორგანიზატორები ტურნირის უსაფრთხოდ ჩასატარებლად საგანგებო სიფრთხილეს იჩენენ. სწორედ ამიტომ შემოიტანეს მათ ახალი იდეა, ქალაქის ქუჩებში სატელევიზიო კამერების დამონტაჟების შესახებ. ამ სიახლის განხორციელება ჰოლანდიის ქალაქ არნემშია დაგეგმილი, სადაც სატურნირო კალენდრით 3 მატჩი უნდა გაიმართოს. უკვე გამოიყო 500 000 დოლარი, რათა ირმოცდათმა კამერამ ქალაქის ქუჩებში შეკრებილი გულშემატკივარი და მათი საქციელი გააკონტროლოს. პოლიციასაც გაუადვილდება საჭიროების შემთხვევაში მათი დაშოშმინება.

ორგანიზატორები ამიტომაც აფრთხილებენ ექსტრავაგანტულ და ხულიგან ფანებს, რომ თუ მათ ზედმეტი ემოციების დაოკება არ ძალუძთ, შინ დარჩნენ და საერთოდ ნუ ეწვევიან ჩემპიონატს.

**ნიკა შუბლაძე**

## პორტუგალია

VIII ტური

**ბელენენსეში 2:1 რიუ ავე**

1:0 გუვეია (28), 2:0 რუი პატაკა (57), 2:1 უგო ენრიკე (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 8 | 6 | 2 | 0 | 14:2 | 20 |
| პორტუ | 8 | 4 | 4 | 0 | 13:5 | 16 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:7 | 15 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| მარიტიმუ | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 12 |
| ბოავიშტა | 8 | 3 | 3 | 2 | 6:6 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 11 |
| ალვერკა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:11 | 11 |
| სანტა კლარა | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | 10 |
| სალგეირუში | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| რიუ ავე | 8 | 2 | 3 | 3 | 10:15 | 9 |
| ამადორა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:11 | 8 |
| კამპომაიორენსე | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| ლეირია | 8 | 1 | 3 | 4 | 8:11 | 6 |
| სეტუბალი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:14 | 6 |
| ფარენსე | 8 | 1 | 3 | 4 | 5:14 | 6 |
| ბრაგა | 8 | 1 | 1 | 6 | 8:16 | 4 |

## პოლონეთი

მე-13 ტური. გროცლინი — ვიძევი 1:0; პოლონია — ლეგია 1:1; ვისლა — ზაგლებე 4:0; რუხი — ამიცა 1:1; პოგონი — პლოცკი 2:1; სტომილი — ოდრა 2:1; რუხი — ლეხი 4:1; ლკს — გურნიკი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 14 | 8 | 6 | 0 | 28:11 | 30 |
| პოლონია | 13 | 7 | 4 | 2 | 20:14 | 25 |
| ვისლა | 13 | 7 | 3 | 3 | 25:16 | 24 |
| ლეგია | 13 | 5 | 7 | 1 | 26:15 | 22 |
| ამიცა | 13 | 5 | 6 | 2 | 24:16 | 21 |
| ზაგლებე | 13 | 5 | 4 | 4 | 13:14 | 19 |
| სტომილი | 13 | 5 | 4 | 4 | 14:19 | 19 |
| პლოცკი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:18 | 18 |
| პოგონი | 13 | 4 | 6 | 3 | 17:18 | 18 |
| გურნიკი | 13 | 4 | 5 | 4 | 25:18 | 17 |
| ოდრა | 13 | 3 | 4 | 6 | 13:16 | 13 |
| ლკს | 12 | 2 | 6 | 4 | 8:11 | 12 |
| რაძიონწკოვი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:19 | 12 |
| ვიძევი | 12 | 2 | 5 | 5 | 15:20 | 11 |
| ლეხი | 13 | 1 | 4 | 8 | 15:26 | 7 |
| გროცლინი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:26 | 5 |

## ლატვია

27-ე ტური. ვენტსპილსი — რიგა 2:0; რეზეკნე — დინაბურგი 0:1; სკონტო — ვალმიერა 3:0; მეტალურგსი — პოლიცია 7:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 26 | 21 | 0 | 5 | 86:15 | 63 |
| მეტალურგსი | 27 | 19 | 3 | 5 | 72:21 | |
| ვენტსპილსი | 26 | 17 | 2 | 7 | 61:25 | 53 |
| დინაბურგი | 27 | 13 | 5 | 9 | 34:31 | 44 |
| ვალმიერა | 27 | 9 | 5 | 13 | 30:43 | 32 |
| რიგა | 27 | 9 | 4 | 14 | 29:41 | 31 |
| პოლიცია | 27 | 5 | 5 | 17 | 26:85 | 20 |
| რეზეკნე | 27 | 1 | 2 | 24 | 12:89 | 5 |

## დანია

მე-14 ტური. აკადემისკი — ლიუნგბიუ 2:2; კოპენჰაგენი — ჰერფიოლგე 2:0; ოდენსე — ვაილე 1:1; ვიბორგი — ორჰუსი 1:1; ოლბორგი — ბრონდბიუ 3:1; სილკებორგი — ესბიერგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემისკი | 14 | 7 | 5 | 2 | 24:13 | 26 |
| ბრონდბიუ | 14 | 8 | 1 | 5 | 26:17 | 25 |
| ოლბორგი | 14 | 7 | 4 | 3 | 26:17 | 25 |
| ჰერფიოლგე | 14 | 7 | 4 | 3 | 21:19 | 25 |
| ლიუნგბიუ | 14 | 7 | 2 | 5 | 25:18 | 23 |
| სილკებორგი | 14 | 6 | 4 | 4 | 26:12 | 22 |
| ვიბორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:21 | 19 |
| კოპენჰაგენი | 14 | 5 | 2 | 7 | 12:14 | 17 |
| ოდენსე | 14 | 2 | 7 | 5 | 12:21 | 13 |
| ორჰუსი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:22 | 11 |
| ვაილე | 14 | 1 | 8 | 5 | 14:27 | 11 |
| ესბიერგი | 14 | 3 | 2 | 9 | 11:26 | 11 |

## ავსტრია

მე-17 ტური. გრაცერი — ტიროლი 1:1; ლინცერი — ბრეგენცი 3:0; ზალცბურგი — რიდი 2:2; ლუსტენაუ — რაპიდი 0:1; აუსტრია — შტურმი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 17 | 12 | 1 | 4 | 31:16 | 37 |
| რაპიდი | 17 | 10 | 3 | 4 | 27:15 | 33 |
| შტურმი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:14 | 28 |
| რიდი | 17 | 8 | 3 | 6 | 28:18 | 27 |
| აუსტრია | 17 | 8 | 3 | 6 | 24:21 | 27 |
| ზალცბურგი | 17 | 6 | 5 | 6 | 15:16 | 23 |
| გრაცერი | 17 | 6 | 3 | 8 | 21:24 | 21 |
| ლინცერი | 17 | 5 | 3 | 9 | 20:25 | 18 |
| ლუსტენაუ | 17 | 4 | 2 | 11 | 13:28 | 14 |
| ბრეგენცი | 17 | 3 | 3 | 11 | 11:39 | 12 |

## ალბანეთი

მე-5 ტური. ლუშნია — აპოლონია 2:0; შკუმბინი — ელბასანი 1:0; პარტიზანი — შკიპონია 1:2; ტომორი — დინამო 2:1; ტეუტა — ტირანა 1:0; შკენდერბო — ფლამურტარი 2:1; ბილიში — ვლაჟნია 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეუტა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 |
| ტომორი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ტირანა | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 10 |
| ბილიში | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | 9 |
| ლუშნია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| შკიპონია | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| შკუმბინი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| შკენდერბო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| პარტიზანი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ვლაჟნია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ფლამურტარი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| ელბასანი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| დინამო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| აპოლონია | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | 2 |

## სლოვენია

მე-11 ტური. ბელტინჩი — მურსკა სობოტა 0:3; ნოვა გორიცა — რუსე 5:0; ოლიმპია — პრევალიე 1:5; დრაგოვგრადი — დომჟალე 2:4; მარიბორი — აიდოვშინა 2:2; ცელიე — ველენიე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 11 | 9 | 2 | 0 | 36:12 | 29 |
| ველენიე | 11 | 6 | 2 | 3 | 16:11 | 20 |
| ნოვა გორიცა | 11 | 5 | 3 | 3 | 19:12 | 18 |
| მურსკა სობოტა | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 18 |
| ოლიმპია | 11 | 6 | 0 | 5 | 22:20 | 18 |
| აიდოვშინა | 11 | 4 | 4 | 3 | 21:17 | 16 |
| პრევალიე | 11 | 3 | 5 | 3 | 23:17 | 14 |
| დომჟალე | 11 | 4 | 2 | 5 | 17:22 | 14 |
| ცელიე | 11 | 2 | 6 | 3 | 12:17 | 12 |
| დრაგოვგრადი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:19 | 12 |
| რუსე | 11 | 1 | 2 | 8 | 6:28 | 5 |
| ბელტინჩი | 11 | 0 | 4 | 7 | 5:21 | 4 |

## ნორვეგია

26-ე ტური. ბოდიო გლიმტი — სკეიდი 4:2; ბრანი — მოსი 1:0; მოლდე — ლილესტრიომი 2:0; სტრიომსგოდსეტი — ტრომსიო 3:6; ვოლერენგა — კონგსვინგერი 2:1; რუსენბორგი — ოდ გრენლანდი 3:5; ვიკინგი — სტაბეკი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 26 | 18 | 2 | 6 | 75:33 | 56 |
| მოლდე | 26 | 16 | 2 | 8 | 49:37 | 50 |
| ბრანი | 26 | 16 | 1 | 9 | 45:40 | 49 |
| ლილესტრიომი | 26 | 15 | 3 | 8 | 60:41 | 48 |
| სტაბეკი | 26 | 14 | 4 | 8 | 58:49 | 46 |
| ტრომსიო | 26 | 13 | 5 | 8 | 70:46 | 44 |
| ოდ გრენლანდი | 26 | 12 | 3 | 11 | 42:48 | 39 |
| ვიკინგი | 26 | 11 | 3 | 12 | 51:48 | 36 |
| ბოდიო გლიმტი | 26 | 10 | 4 | 12 | 52:54 | 34 |
| მოსი | 26 | 9 | 2 | 15 | 39:46 | 29 |
| ვოლერენგა | 26 | 8 | 4 | 14 | 40:53 | 28 |
| სტრიომსგოდ. | 26 | 7 | 3 | 16 | 46:68 | 24 |
| სკეიდი | 26 | 7 | 2 | 17 | 36:75 | 23 |
| კონგსვინგერი | 26 | 6 | 2 | 18 | 34:59 | 20 |

## საბერძნეთი

მე-5 ტური. ოლიმპიაკოსი — ტრიკალა 3:1; ირაკლისი — პაოკ [illegible]; აპოლონი — არისი 3:3; პანიონიოსი — ოფი [illegible]; კალამატა — პანაჰაიკი 1:1; პრუდეფტიკი — ქსანტი 0:0; კავალა — იონიკოსი 0:0; ეთნიკოსი — პანათინაიკოსი 1:2; პანილიაკოსი — აეკ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 17:1 | 15 |
| პანათინაიკოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:3 | 13 |
| არისი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| აეკ | 5 | 3 | 1 | 1 | 12:9 | 10 |
| ოფი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 10 |
| ირაკლისი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:8 | 9 |
| პაოკ | 5 | 2 | 2 | 1 | 12:10 | 8 |
| პანილიაკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| იონიკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ქსანტი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| ეთნიკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:8 | 6 |
| პანაჰაიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| კავალა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| კალამატა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:10 | 3 |
| პანიონიოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:16 | 3 |
| აპოლონი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |
| პრუდეფტიკი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |
| ტრიკალა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

## შვედეთი

25-ე ტური. იორგრიტე — ნორჩიოპინგი 3:1; ფრიოლუნდა — ჰალმსტადი 0:0; ელფსბორგი — იორებრო 3:1; ტრელებორგი — კალმარი 1:0; იურგარდენი — გიოტებორგი 2:0; ჰელსინგბორგი — ჰამარბი 2:0; აიკ — მალმიო 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 25 | 16 | 3 | 6 | 43:24 | 51 |
| აიკ | 25 | 15 | 5 | 5 | 40:14 | 50 |
| ჰალმსტადი | 25 | 14 | 5 | 6 | 43:22 | 47 |
| იორგრიტე | 25 | 11 | 9 | 5 | 41:23 | 42 |
| ნორჩიოპინგი | 25 | 11 | 5 | 9 | 40:35 | 38 |
| გიოტებორგი | 25 | 11 | 5 | 9 | 27:32 | 38 |
| ფრიოლუნდა | 25 | 9 | 7 | 9 | 29:31 | 34 |
| ტრელებორგი | 25 | 9 | 6 | 10 | 39:43 | 33 |
| ელფსბორგი | 25 | 8 | 5 | 12 | 40:48 | 29 |
| კალმარი | 25 | 8 | 4 | 13 | 27:40 | 28 |
| იორებრო | 25 | 8 | 3 | 14 | 24:34 | 27 |
| ჰამარბი | 25 | 7 | 5 | 13 | 28:42 | 26 |
| იურგარდენი | 25 | 5 | 8 | 12 | 26:40 | 23 |
| მალმიო | 25 | 6 | 4 | 15 | 28:47 | 22 |

## უკრაინა

მე-12 ტური. ცსკა — მარიუპოლი 1:1; კარპატი — შახტარი 1:0; ზირკა — კრივბასი 0:3; მეტალისტი — პრიკარპატია 2:0; ჩორნომორეცი — ზაპოროჟიე 1:0; მეტალურგი — ვორსკლა 2:3; ტავრია — დნიპრო 1:1; ნივა — დინამო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 22:6 | 28 |
| კრივბასი | 11 | 8 | 3 | 0 | 23:9 | 27 |
| ვორსკლა | 12 | 7 | 2 | 3 | 26:14 | 23 |
| შახტარი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:5 | 22 |
| ზაპოროჟიე | 12 | 6 | 3 | 3 | 17:12 | 21 |
| მეტალისტი | 12 | 6 | 2 | 4 | 14:13 | 20 |
| მეტალურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:14 | 19 |
| კარპატი | 12 | 6 | 0 | 6 | 20:16 | 18 |
| მარიუპოლი | 13 | 5 | 1 | 7 | 22:20 | 16 |
| ტავრია | 13 | 4 | 4 | 5 | 18:19 | 16 |
| ცსკა | 12 | 3 | 5 | 4 | 14:11 | 14 |
| დნიპრო | 13 | 3 | 4 | 6 | 12:25 | 13 |
| ნივა | 13 | 2 | 4 | 7 | 16:25 | 10 |
| პრიკარპატია | 12 | 1 | 5 | 6 | 8:16 | 8 |
| ჩორნომორეცი | 12 | 2 | 2 | 8 | 5:26 | 8 |
| ზირკა | 13 | 0 | 5 | 8 | 6:26 | 5 |

## ჩეხეთი

მე-11 ტური. ბანიკი — ბრნო 1:0; ლიბერეცი — სპარტა 1:2; ბოჰემიანსი — დუკლა 2:0; ჰ. კრალოვე — ბუდეიოვიცე 1:0; სიგმა — ოპავა 2:1; დრნოვიცე — ვიკტორია 1:0; ბლშანი — ტეპლიცე 0:2; სლავია — იაბლონეცი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 11 | 8 | 3 | 0 | 18:4 | 27 |
| სპარტა | 11 | 6 | 4 | 1 | 25:10 | 22 |
| დრნოვიცე | 11 | 6 | 2 | 3 | 13:9 | 20 |
| ბუდეიოვიცე | 11 | 6 | 2 | 3 | 17:14 | 20 |
| ბოჰემიანსი | 11 | 4 | 5 | 2 | 11:7 | 17 |
| ტეპლიცე | 11 | 5 | 2 | 4 | 14:14 | 17 |
| ბანიკი | 11 | 4 | 4 | 3 | 18:15 | 16 |
| ლიბერეცი | 11 | 2 | 6 | 3 | 9:10 | 12 |
| ბრნო | 11 | 3 | 3 | 5 | 11:14 | 12 |
| იაბლონეცი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:18 | 12 |
| სიგმა | 11 | 2 | 5 | 4 | 12:14 | 11 |
| ბლშანი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:20 | 11 |
| ოპავა | 11 | 2 | 4 | 5 | 14:14 | 10 |
| დუკლა | 11 | 2 | 4 | 5 | 7:16 | 10 |
| ვიკტორია | 11 | 1 | 6 | 4 | 14:19 | 9 |
| ჰ. კრალოვე | 11 | 2 | 3 | 6 | 10:16 | 9 |

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ფერგიუსონის ტყავის ამბავი და ზოგი სხვა რამ

## ჩემპიონთა ლიგა. მეხუთე ტური



ვითომ ალექს ფერგიუსონს ჭორების სჯერა?

„ლაციოს“ ვეტერანი თავდამსხმელი, რობერტო მარჩინი წესით უნდა გამოჯანმრთელებულიყო და სავარაუდოა, რომ „ლევერკუზენთან“ შეხვედრაში ცოტა ხნით მაინც გავა მოედანზე — რომაელებს აქამდე თამაში არ წაუგიათ, ახლა კი შეუძლიათ შემდეგ ეტაპზე უეჭველ გასვლას ოფიციალური ბეჭედი დაასვან.

„ლაციოს“ დაცვაში აქვს გარკვეული პრობლემები. კერძოდ, კაპიტანი ალესანდრო ნესტა მარცხენა მუხლს მკურნალობს, მარცხენა მცველი პაოლო ნეგრო კი მართალია წვრთნას შეუდგა, მაგრამ სვენ გორან ერიკსონი მას აშკარად საკვირაოდ, სერია A-ში „ინტერთან“ სათამაშოდ შემოინახავს.

„ლევერკუზენმა“ შაბათს „ფრაიბურგთან“ 0:0 ითამაშა და ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში ვერ მოექცა. ამ უსიამოვნო ნიუანსს ისიც ემატება, რომ ბრაზილიელი ფორვარდის, ემერსონის მომავალზე ამ ბოლო დროს გაცილებით მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაზე, „ლაციოსთან“ შეხვედრაზე და ასე შემდეგ, რაც გუნდის გუნება-განწყობილებაზე აშკარად ცუდად მოქმედებს.

ამ კვირაში მწვრთნელმა, კრისტოფ დაუმმა თავის ფეხბურთელებს ინტერვიუების მიცემაც კი აუკრძალა. ამით დაუმი იმედოვნებს, რომ ემერსონის ირგვლივ მოტრიალე ჭორებს, თითქოს იგი რომელიღაც იტალიურ გუნდში გადადის, ბოლოს მოუღებს.

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ გერმანელებმა შესაძლოა ხორვატი მცველი რობერტ კოვაჩიც ათამაშონ. იგი გამოჯანმრთელებულა — ორი კვირის წინ თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში იუგოსლავიელების წინააღმდეგ თამაშის დროს მუხლი იტკინა.

A ჯგუფში კიდევ ერთი თამაშია: „მარიბორი“ — „დინამო“. კიეველები ყველაზე მტკივნეულად მწვრთნელის, ვალერი ლობანოვსკის ავადმყოფობას განიცდიან. ლობანოვსკი, მათი თამაშის შემოქმედი და განმსაზღვრელი, გულის შეტევის შემდეგ კვლავ საავადმყოფოში წევს.

მარიბორელთა გუნდში სამი ყვითელი ბარათის შემდეგ მცველი მარინკო გალიჩი გახლავთ დისკვალიფიცირებული. მის ადგილს დისკვალიფიკაციამოხდილი ალბანელი გერი ჩიპი დაიკავებს.

B ჯგუფის მთავარი თამაში ლონდონში გაიმართება. „უემბლიზე“ „არსენალი“ „ფიორენტინას“ მასპინძლობს. ამ შეხვედრაში გამარჯვებული შემდგომ ეტაპზე გადის — ყველაფერი ცხადია.

„ფიორენტინაში“, მოგეხსენებათ დიდი ამბავია: მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ სერია A-ში მორიგი თამაშის წაგების შემდეგ განცხადება დაწერა გადადგომის შესახებ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ უარი უთხრა, აი, როგორც განმარტა დონ ტრაპმა თავისი გადაწყვეტილება:

„დამდგარი წყალი ყროლდება. მასში ხანდახან ქვის ჩაგდებაა საჭირო. ფეხბურთელები ძალიან კარგად მიცნობენ და იციან, რომ თუ თავიანთ შესაძლებლობებზე მეტის გამოვლენას მოინდომებენ, დაუფასდებათ:.

ამბობენ, რომ ტრაპატონი „უემბლიზე“ არ ათამაშებს იუგოსლავიელ პრედრაგ მიატოვიჩს, ამიტომაც თავდასხმაში გაბრიელ ბატისტუტასა და ენრიკო კიეზას წყვილს უნდა ველოდეთ.

სხვათა შორის, ბატისტუტამ მწვრთნელს მხარი დაუჭირა:

„ორ დღეში ვერავინ ვერაფერს შეცვლის. ამის გარანტიას დედამიწაზე ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მოგცემს. ჩვენ მხოლოდ გამოფხიზლება გვჭირდება“.

„არსენალის“ თავკაცის, არსენ ვენგერის განკარგულებაში ბრუნდება ფრანგი ნახევარმცველი, ემ[illegible]ელ პ[illegible]ტი. რაც შეეხება ამავე ჯგუფის შეხვედრას „ბარსელონასა“ და სტოკჰოლმის აიკს შორის, აქ მასპინძელთა მწვრთნელი ლუის ვან გაალი ამბობს, რომ იგი თავის რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დაასვენებს. ამ რამდენიმეში შედიან ფიგუ, რივალდო, სერხი, გვარდიოლა და ლუის ენრიკე. ძმებ დე ბურებზე ისედაც ყველამ იცის, რომ ტრავმირებულები არიან. ბარსელონელთა კარში კვლავ ფრანსესკ არნაუს დგომაა მოსალოდნელი.

აიკს კი გაცილებით მძიმე კვირა უდგას. ესპანეთიდან შინ დაბრუნებულს შვედეთის პირველობაზე წლის მთავარი თამაში ელის „ერებრუს“ წინააღმდეგ.

„ამწუთას ჩვენთვის ეროვნული პირველობის მატჩი გაცილებით მნიშვნელოვანია, მაგრამ ლიგაში ცუდად თამაშიც არ შეიძლება. სხვა თუ არაფერი რეპუტაციის ამბავია“ — განაცხადა სტოკჰოლმელთა მწვრთნელმა სტიუარტ ბაქსტერმა.

C ჯგუფში „რუსენბორგი“ „ბოავიშტას“ მასპინძლობს და თუ მოუგებს შემდეგ ეტაპზეა, მაგრამ მწვრთნელი, ნილს არნე ეგენი უკმაყოფილოა, რადგან ეროვნული პირველობის ბოლო ტურში „ოდ გრენლანდთან“ 3:5 წააგო. ეგენმა ორშაბათის ვარჯიში განტვირთვისა ჩაატარა.

მოსალოდნელია, რომ დაშავებული მცველი კრისტერ ბასმა სათადარიგოთა სკამზე დაჯდება, ხოლო როარ სტრანდი და ფრედერიკ ვინსენსი მოედანზე იქნებიან.

„ბოავიშტას“ თავკაცმა ჟაიმე პაშეკუმ კი გადაწყვიტა ჟოაკიმ სილვა მარტელინიო ნორვეგიაში სულაც არ იახლოს. ამ მოთამაშემ „ბენფიკასთან“ შაბათის მატჩის შემდეგ (1:1) კუნთის ტკივილი იგრძნო.

C ჯგუფშივე „დორტმუნდი“ „ფეიენოორდს“ უმასპინძლებს, ოღონდ ლარს რიკენის გარეშე. რიკენი წინა ტურში, „რუსენბორგთან“ სენსაციური მარცხის დროს მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიცირებულია.

გერმანულ გუნდს დასვენებული კრისტიან ნერლინგერი დაბრუნებია და კარგი თამაშის იმედი აქვს, ხოლო ჰაიკო ჰერლიხი კვლავ ავად არის და ანტიბიოტიკებით მკურნალობს.

„ფეიენოორდში“ ვერ ითამაშებენ დაშავებულები ჟან პოლ ვან გასტელი და კეეს ვან ვონდერენი. ამ ჰოლანდიურ გუნდს ლიგაში ჯერ თამაში არ მოუგია, მაგრამ თუ ახლა გაიმარჯვებს, მეორე ადგილზე გადასკუპდება.

დაბოლოს D ჯგუფი თავისი „მანჩესტერ იუნაიტედით“, რომელიც დღეს ზაგრებშია და „კროაციას“ ეთამაშება. აქაური ინტრიგა ასეთი გახლავთ: „იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი აღშფოთებულა „კროაციას“ ერთ-ერთი დირექტორის, გორან ბრადიჩის თითქოსდა ნათქვამზე, რომ თუ ამ მატჩში „კროაცია“ მოიგებს, იგი შემდგომ ტურში „მარსელს“ ისეთ შედეგზე გაურიგდება, რომელიც ამ ორ გუნდს შემდგომ ეტაპზე გაიყვანს, „იუნაიტედს“ კი ჩატოვებს.

ბრადიჩმა ფერგისუონის აღშფოთების ამბავი რომ გაიგო თავად გახდა დასაწყნარებელი: „ფერგიუსონმა მარტო ჩვენს კლუბს კი არა, „მარსელსა“ და მთელს ჩემპიონთა ლიგასაც კი მიაყენა შეურაცხყოფა. ეტყობა მას მანია შეეყარა და დამარცხების შემთხვევაში ტყავის გადარჩენის ვარიანტებს ეძებს“.

„კროაციას“ მწვრთნელი ოსვალდო არდილესი: „ამ შეხვედრაში გადამწყვეტი ნახევარდაცვა იქნება. ზუსტად იმ ტიპის თამაშს ველი, „ოლდ ტრეფორდზე“ რომ გვქონდა. ჩვენ ოდნავ გარისკვა და შემტევი ფეხბურთის თამაში მოგვიწევს“.

„კროაციას“ ნახევარმცველი რობერტ პროსინეჩკი: „თუ ფერგიუსონის გუნდი „ტოტენჰემმა“ დაამარცხა, ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ იგივე? მხოლოდ ფეხბურთში შეუძლია დავითს გოლიათის ძლევა“.

D ჯგუფშივე „შტურმი“ დისკვალიფიკაციამოხდილი კრისტოფ დიუგარით გაძლიერებულ „მარსელს“ მასპინძლობს.

**მიხეილ სურგულაძე**

# როგორი იყო პირველი 20 წუთი?

*თქვენ უკვე იცით, როგორ დამთავრდა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა „მილანსა“ და „ჩელსის“ შორის. იცით, როგორ ითამაშა ლონდონელ სტუმართა იტალიელმა ვარსკვლავმა ჯანფრანკო ძოლამ, მაგრამ, ვგონებთ, საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობდა იგი თამაშამდე ერთი დღით ადრე. ქვემოთ წაიკითხავთ, რომ ძოლას წუხანდელ შეხვედრაში მნიშვნელოვნად პირველი 20 წუთი მიაჩნდა...*



**— ალბათ, იტალიაში ჩასვლის წინ ძალიან ღელავთ.**

— ძალიან, ბავშვივით ვარ. „ჩელსის“ ასეთი მნიშვნელოვანი თამაში, მგონი, ბევრი წელიწადია, არ ჰქონია, თუმცა, შაბათს „არსენალთან“ რომ არ წაგვეგო, უკეთესი იქნებოდა. „არსენალთან“ მძიმე შეხვედრა გადაგვხვდა, მაგრამ „მილანთან“ უარესი იქნება. მილანელები შინ ფაქტობრივად, დაუმარცხებლები არიან. ყრუ დაცვას არასდროს მიმართავენ. ისინი ყელში გვწვდებიან და შეეცდებიან, ჩვენს თამაშს გული ამოგლიჯონ. გარემოც განსაკუთრებული გველის, იქაური ქომაგები თავიანთ გუნდს ფრთებს შეასხამენ. ისინი, ალბათ, ვარაუდობენ, რომ ჩვენ ზეწოლას ვერ გავუძლებთ, მაგრამ ეს ქულის მოპოვების შესაძლებლობას ჩვენც მოგვცემს. სტამბოლში, „გალათასარაის“ დაუჯერებელი ანგარიშით, 5:0 მოვუგეთ, თუმცა „მილანი“ არ შეცდება. მან კარგად იცის, რომ ჩვენ ძლიერი გუნდი ვართ. „სტემფორდ ბრიჯზე“ რომ შევხვდით, დიდხანს ვჯობდით და ვგონებ, მოგებაც შეგვეძლო. მაშინ იღბალმა მათ გაუღიმა, ახლა ვნახოთ, იქნებ ჩვენი მხარე დაიჭიროს.

**— მილანში გულთბილ დახვედრას ელით?**

— რატომ მეკითხებით, იტალიელი რომ ვარ? იმედი მაქვს, რომ არა. დიდი ხანია იტალიაში აღარ ვთამაშობ და არ არის გამორიცხული, რომ ხალხმა მისტვინოს. ჩემს თანაგუნდელებსაც არ ელით თბილი საღამო. მარსელ დესაი სულაც „მილანში“ გამოდიოდა და ამ გუნდთან ერთად უამრავი ჯილდო აქვს მოგებული, მაგრამ ამას არავინ გაიხსენებს, ვინაიდან დღეს იგი მათი მოწინააღმდეგეა. ჯანლუკა ვიალის კი ყველაზე მეტი სირთულე ელის.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ტრიბუნები თამაშის შედეგზე იქონიებს გავლენას?**

— ტრიბუნებს შეუძლია ფეხბურთელების მსგავსად შეხვედრის მონაწილე გახდეს. ცხადია, ხალხი როლს ითამაშებს, მაგრამ თუ „მილანი“ შეხვედრის დასაწყისში ვერ იყოჩაღებს, იგი შეიძლება ჩვენს მხარეზე გადმოვიდეს. მაყურებელი „მილანისგან“ გამარჯვებას ელის, ოღონდ თუ საქმე თავიდანვე კარგად არ აეწყო, იგი იყოყმანებს და იქნებ ბოლომდე არც უქომაგოს თავის გუნდს. ინგლისში ასეთი რამ წარმოუდგენელია, იტალიაში კი ხდება ხოლმე, რაც ხშირად ზოგ ფეხბურთელზე დამთრგუნველად მოქმედებს.

**— როგორ ფიქრობთ, იტალიიდან ინგლისში გადაბარგებამ თქვენს სანაკრებო კარიერას წერტილი ხომ არ დაუსვა?**

— იცით, ბოლო წლის განმავლობაში იტალიის ნაკრებს რომ ვაკვირდები, არ გამოვრიცხავ, რომ მასში სწორედ ინგლისში თამაშის გამო ვერ ვხვდები. ვიცი და სხვებსაც კარგად მოეხსენებათ, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იტალიელები სხვა ფეხბურთელების მსგავსად, ყოველ კვირას ვერ მხედავენ და ფაქტობრივად ერთადერთი ვარ, ვისი საქმეში ხილვაც საგანგებოდ არის საჭირო. რა ვილონო? ჩემს ხელთ მხოლოდ კარგი თამაშია, ხოლო თუ ეს საკმარისი არ არის, ვერაფერს გავაწყობ.

**— იტალიაში დაბრუნებაზე თუ გიფიქრიათ?**

— „ჩელსიში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და კარიერის ბოლომდე ანუ კიდევ ორ-სამ წელიწადს აქ ვაპირებ დარჩენას. დღეს იტალიაში დაბრუნება არ მჭირდება. ოცნებად „ჩელსის“ შემადგენლობაში პრემიერლიგის ტიტულის მოპოვება მაქვს და მხოლოდ ესაა, რაზეც ვფიქრობ. როგორც იტალიელს, ჯანლუკასი არ იყოს, სამშობლო მენატრება. მაგრამ ინგლისში ფეხბურთის თამაში ძალიან მომწონს. იცით, ვალდებული ვარ ბედნიერ გარემოში ვიცხოვრო, რადგან ჩემი ოჯახი მოწყობილი უნდა იყოს. თავიდან დაწყების უფლება არ მაქვს. „ჩელსი“ ჩემი გუნდია.

**— ნაკრებში რომ არ გიწვევენ, ეს თქვენთვის დამატებითი სტიმულია?**

— იტალიელებმა ისედაც კარგად იციან ჩემი ოსტატობის ამბავი, მაგრამ „მილანის“ წინააღმდეგ მაინც მინდა ყველაფერი განსაკუთრებით კარგად გამომივიდეს. იტალიური პრესა ჩემდამი ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო. ნაკრებს ჟურნალისტები რომ ასახელებდნენ, ეჭვი არ მეპარება, მისი წევრი ვიქნებოდი. მართალია, ახლა შემიძლია ხალხს ვაჩვენო, რას იკლებს მათი ეროვნული გუნდი, მაგრამ თავისთავად მატჩი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვათაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი მოტივაცია არ მჭირდება.

**— დაბოლოს, ჯანფრანკო, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: „მილანის“ დამარცხება შეგიძლიათ?**

— იმედი მაქვს. ჩვენ იქნებ შევძლოთ ხალხის გაკვირვება. ფრე კარგი შედეგი იქნება, ხოლო გამარჯვება „ჩელსის“ საგანგებო, დაუვიწყარ საღამოს დაუყენებს. ვიმეორებ, დიდი ზეწოლის გაძლება მოგვიხდება, მაგრამ თუ პირველი 20 წუთის შემდეგ 0:0 იქნა, გამარჯვების მეტი შანსი ჩვენთან იგულეთ. რაც უფრო მეტი დრო გავა უგოლოდ, მით უფრო გამირღმავდება იმედი, რომ ერთს მაინც გავიტან. დამარცხებაზე ჩვენში არავინ ფიქრობს და ამასთან ყველამ ვიცით, რომ „ჩელსი“ ის გუნდია, რომელსაც მოგება ხელეწიფება.

**365-დან თარგმნა ბაბუნა ბედიამ**

# სამხრეთ ამერიკა

## ბრაზილია

აქამდე ყველაზე აგრესიული ბრიტანელი გულშემატკივარი გვეგონა. მაგრამ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, ტური ისე არ ჩაივლის, ერთი-ორი სკანდალი არ მოხდეს. სანამ ჩვენ იმაზე ვდაობთ, „არსენალი“ — „ბარსას“ მატჩში კოკუ თავისით წაიქცა თუ ამაში ადამსი დაეხმარა, ბრაზილიის ჩემპიონატზე ანალოგიურ სიტუაციაში პოლიციის დახმარება გახდა საჭირო.

„ვასკუ და გამა“ — „კურიტიბას“ შეხვედრაში მე-80 წუთისთვის მასპინძლები 1:0 იგებდნენ. ამ დროს „კურიტიბას“ თავდამსხმელი ბაზილიო მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მეკარემ მოცელა. მაგრამ გულშემატკივარს და ტელეკამერას რას გამოაპარებ. გამეორებისას ნათლად ჩანდა, რომ მეკარე უდანაშაულო იყო, ბაზილიო საკუთარი ინიციატივით გაგორდა. მსაჯმა კი ან სხვანაირად განსაჯა, ან საერთოდ არაფერი დაუნახავს. ასეა თუ ისე, მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა. სინვალმაც შეაგდო და მატჩი 1:1 დამთავრდა. შემდეგ გარჯა პოლიციასაც მოუხდა. მსაჯი განრისხებულ მაყურებლებს განარიდეს.

„ფლამენგო“ შინ 0:2 დამარცხდა „კრუზეიროსთან“. წაგებას ვინ ჩივის, „ფლამენგოს“ ფეხბურთელებმა გვარიანი შიში ჭამეს. უკმაყოფილო გულშემატკივრები მათ ავტობუსს თავს დაესხნენ, გუნდსაც არცთუ საპატიო პოლიციის ესკორტის თანხლებით მოუხდა სტადიონის დატოვება. ამ შეხვედრაში მასპინძელთაგან რომარიომაც ვერ გაიტანა. მანამდე ამ ფეხბურთელს ზედიზედ ექვს თამაშში ექვსი გოლი ჰქონდა შეგდებული.

„ვიტორიამ“ შინ 2:0 მოუგო „პარანას“. მეორე გოლი მასპინძლებმა აქაც მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანით გაიტანეს. კამერამ დააფიქსირა, რომ ვიტორიელი არტური ეფექტურად წაიქცა მინდორზე, რითაც მსაჯის მოტყუება შეძლო. ბრაზილიელები შეშფოთებულები არიან. პენალტის დარტყმის უფლების მოპოვების მიზნით სიმულაციები გახშირდა. არბიტრები კი თავდამსხმელების მაგივრად უდანაშაულო მცველებს სჯიან.

მე-17 ტური. პონტო პრეტა — პორტუგეზა 2:1; ფლამენგო — კრუზეირო 0:2; ვიტორია — პარანა 2:0; გამა — კურიტიბა 1:1; ბოტაფოგო რიბეირაო — ინტერნასიონალი 2:1; ატლეტიკო პარანანსე — კორინთიანსი 2:2; ჟუვენტუდე — ვასკუ და გამა 2:1; გრემიო — სპორტ რესიფე 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 17 | 12 | 2 | 3 | 42:23 | 38 |
| ვასკუ და გამა | 18 | 9 | 5 | 4 | 29:19 | 32 |
| კრუზეირო | 17 | 9 | 5 | 3 | 34:25 | 32 |
| პონტო პრეტა | 17 | 9 | 4 | 4 | 21:13 | 31 |
| ვიტორია | 18 | 9 | 3 | 6 | 28:28 | 30 |
| გუარანი | 17 | 9 | 2 | 6 | 26:19 | 29 |
| პარანანსე | 18 | 8 | 4 | 6 | 31:26 | 28 |
| მინეირო | 17 | 8 | 3 | 6 | 32:22 | 27 |
| პალმეირასი | 17 | 7 | 6 | 4 | 29:20 | 27 |
| სან პაულო | 18 | 8 | 2 | 8 | 31:24 | 26 |
| ფლამენგო | 18 | 8 | 2 | 8 | 26:27 | 26 |
| კურიტიბა | 18 | 6 | 7 | 5 | 26:24 | 25 |
| სანტოსი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:22 | 23 |
| გამა | 17 | 6 | 4 | 7 | 21:25 | 22 |
| გრემიო | 18 | 6 | 4 | 8 | 23:36 | 22 |
| ბოტაფოგო | 18 | 6 | 2 | 10 | 19:30 | 20 |
| პორტუგეზა | 18 | 4 | 5 | 9 | 22:24 | 17 |
| პარანა | 16 | 4 | 5 | 7 | 13:19 | 17 |
| ბოტ. რიბეირაო | 18 | 4 | 5 | 9 | 23:34 | 17 |
| სპორტ რესიფე | 18 | 3 | 7 | 8 | 12:20 | 16 |
| ინტერნასიონალი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:27 | 16 |
| ჟუვენტუდე | 18 | 3 | 6 | 9 | 13:30 | 15 |

რვა საუკეთესო გადის პლეი ოფში.

* * *

არგენტინის ჩემპიონატში ამ უქმეებზე გასამართი მატჩები გადაიდო. ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ფეხბურთის მოყვარულებმაც სტადიონის ნაცვლად საარჩევნო უბნებისკენ გასწიეს.

ჩემპიონატს კი „რივერ პლეიტი“ და „სან ლორენსო“ ლიდერობენ. ორივე გუნდს 11 ტურის შემდეგ 24 ქულა აქვს. ბურთების უკეთესი შეფარდებით წინ „რივერ პლეიტია“.



REUTERS

არგენტინელთა ახალარჩეული პრეზიდენტი ერნანდო დუალდე

* * *

ურუგვაიში საშემოდგომო ჩემპიონატი „კლაუსურა“ დამთავრდა. ბოლო ტურში „პენიაროლმა“ 0:0 ითამაშა „სეროსთან“. თუმცა ამ შეხვედრის შედეგს „პენიაროლისთვის“ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მან ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გაინაღდა ჩემპიონობა. გუნდმა ბრწყინვალე შედეგი აჩვენა: მონტევიდეოელებმა 14 თამაშიდნა 12 მოიგეს და ორიც ფრედ დაამთავრეს.

ნოემბერში „პენიაროლი“ გადამწყვეტ მატჩში საგაზაფხულო პირველობის გამარჯვებულს, „ნასიონალს“ შეხვდება. ურუგვაის წლევანდელი ჩემპიონიც მაშინ გახდება ცნობილი.

* * *

მექსიკურ „ნეცაში“ მოთამაშე ბრაზილიელმა ბებეტომ სეზონში თავისი მეორე გოლი გაიტანა, თუმცა გუნდი დამარცხებისგან ვერ იხსნა. „ნეცა“ სტუმრად „უაგს“ ხვდებოდა. მასპინძლებმა 3:2 მოიგეს. გამარჯვებულთაგან ორი გოლი ურუგვაელმა სებასტიან აბრეუმ შეაგდო. ბებეტოს გუნდმა 12 ტურში მხოლოდ სამჯერ მოიგო და თავის ჯგუფში მეოთხე ადგილზეა.

„ტოლუკამ“ 1:0 „გვადალახარას“ მოუგო. გოლი პარაგვაელმა კარდოსომ გაიტანა, რომელიც მისთვის სეზონში მეცხრეა. ბომბარდირთა სისას 10 ბურთით ხესუს ოლალდე უძღვება. მისი „უნამო“ „პუებლასთან“ დამარცხდა, თუმცა ბომბარდირმა გოლის გატანა მაინც შეძლო.

ამ ტურის შემდეგ თავინათ ქვეჯგუფებს „ტოლუკა“, „კრუს ასული“, „ატლასი“ და „ნეკაქსა“ ლიდერობენ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. V ტური

27 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 509 | ლაციო (იტალია) — ლევერკუზენი (გერმანია) | | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 510 | მარიბორი (სლოვენია) — დინამო (უკრაინა) | | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 511 | ბარსელონა (ესპანეთი) — აიკ (შვედეთი) | | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 512 | არსენალი (ინგლისი) — ფიორენტინა (იტალია) | | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 513 | რუსენბორგი (ნორვეგია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 514 | დორტმუნდი (გერმანია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 515 | კროაცია (ხორვატია) — მანჩესტერი (ინგლისი) | | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 516 | შტურმი (ავსტრია) — მარსელი (საფრანგეთი) | | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### უეფას თასი. II ეტაპი. I წრე

28 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 517 | ტოტენჰემი (ინგლისი) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | (1,45-2,1) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 518 | ლანსი (საფრანგეთი) — ვიტესი (ჰოლანდია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIV ტური

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | ნოტინგემი — ბოლტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 012 | ქუინზ პარკი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 013 | მანჩესტერ სიტი — იფსვიჩი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### საფრანგეთი. XII ტური

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 016 | მონაკო — ოსერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ჰოლანდია. გადადებული მატჩები

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 017 | ტვენტე — სპარტა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 018 | ჰერენვენი — გრააფსხაპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 019 | ვალვაიკი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ბელგია. გადადებული მატჩი

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ანდერლეხტი — ჰარელბეკე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### შოტლანდია. გადადებული მატჩები

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | სელტიკი — მოზერუელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 022 | ჰართსი — კილმარნოკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 023 | სენტ ჯონსტონი — დანდი იუნიტედი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალია. თასის I ეტაპი. საპასუხო მატჩები

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | ტორინო — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 026 | პიაჩენცა — რეჯინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 027 | პერუჯა — ტერნანა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 028 | ვენეცია — პესკარა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 029 | ვერონა — რავენა | 1,5 | 3,2 | 6,5 |

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | ჯენოა — კალიარი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 031 | ბარი — ნაპოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. V ტური

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ციბონა (ხორვატია) — ეფესი (თურქეთი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 802 | ალბა (გერმანია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 803 | ფორტიტუდო (იტალია) — პო ორტეზი (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 804 | ულქერი (თურქეთი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 805 | ცსკა (რუსეთი) — ბენეტონი (იტალია) | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 806 | შოლე (საფრანგეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 807 | ჟალგირისი (ლიტვა) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 808 | კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 809 | ბარსელონა (ესპანეთი) — პაოკ (საბერძნეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 810 | თოფაში (თურქეთი) — რეალი (ესპანეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 811 | მაკაბი (ისრაელი) — ვილერბანი (საფრანგეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 812 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ვარეზე (იტალია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 817 | ბუფალო — ტამპა ბეი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 818 | ტორონტო — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 819 | მონრეალი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 820 | ნიუ ჯერსი — სენტ ლუისი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 821 | ფლორიდა — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 822 | დეტროიტი — კოლორადო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 823 | ანაჰაიმი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# აზოტმა ნაკრები გამოსცადა

— უქმად ყოფნა არ ივარგებს, დროა, ვიმოქმედოთ, ახლა მთავარია, მკვდარი წერტილიდან დავიძრათ. რაჰან ლეგიონერების ჩამოყვანა და მომავალი ბატალიებისთვის სრულფასოვანი მომზადება თითქმის შეუძლებელია, გადავწყვიტეთ, შევქმნათ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბთა ნაკრები, რაც საშუალებას მოგვცემს მწვრთნელებს, უშუალოდ ვადევნოთ თვალი იმ კანდიდატთა მზადყოფნას, რომლებიც მომავლის ეროვნულ გუნდში მოიაზრებიან — განუცხადა ამას წინათ „სარბიელს" საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ.

გუშინდლიდან კი ტომარაძე და კომპანია დასახული გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ. საქართველოს კლუბთა ნაკრების ექსპერიმენტული შემადგენლობა პირველი ამხანაგური მატჩის გასამართად გუშინ რუსთავს ეწვია და ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ „აზოტს" დაუპირისპირდა. შეხვედრას მეტი ინტრიგა და სანახაობრივი ხიბლი რომ ჰქონოდა, ნაკრების აზოტელი წევრები მშობლიური გუნდის ღირსებას იცავდნენ. გარკვეული მოსაზრებით ტომარაძეს არც ეროვნული გუნდის ბათუმის „ბასკოში" მოთამაშე კანდიდატები გამოუძახებია. რამდენიმე კალათბურთელი და ოჯახური პრობლემების თუ წვრილ-წვრილი ტრავმების გამო მოისაკლისა კლუბთა ნაკრებმა.

რუსთაველთა კოპწია, ახალგარემონტებულ საკალათბურთო დარბაზში მოსალოდნელზე მეტი გულშემატკივარი შეიკრიბა. მთლიანობაში საზეიმო განწყობა სუფევდა, თუმცა თავად თამაში „არაამხანაგური" გამოდგა. ორივე გუნდის კალათბურთელები საბრძოლველად იყვნენ შემართულნი და მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მატჩი „აზოტმა" 110:97 მოიგო, რუსთაველი ქომაგების სიხარული უფრო გასაგები გახდება.

ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ნაკრების მესვეურთა უმთავრესი საფიქრალი დაცვითი თამაშის ორგანიზებაა. „აზოტისგან" მიღებული 110 ქულა თუნდაც კლუბთა ექსპერიმენტული ნაკრებისთვის, დაგვერწმუნებით, ძალიან ბევრია. უეჭველია, რომ ამის შემდეგ მწვრთნელები უფრო მკაფიოდ დაინახავენ აღმოსაფხვრელ ნაკლოვანებებს და გუნდში გასატარებელ სამუშაოს სწორ მიმართულებას მისცემენ.

და მაინც, გუშინდელი თამაშიდან რაიმე დასკვნების გამოტანა არასწორი იქნება. მწვრთნელებზეც ნაკლებად დაგვცება ძვირი, რადგან ისინი ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამენ. ისიც ხომ ფაქტია, რომ ტომარაძეს და მის ასისტენტებს საქმის ნულიდან დაწყება უხდებათ.

ერთი ხელის დაკვრით არაფერი გამოვა, ნელ-ნელა, მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყვეთ საკეთებელს. გუშინდელმა დღემ კი დაგვარწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს ნაკრების სათავეში ჯაფას მოწყურებული ხალხი მოექცა, რომელთაც საქართველოს ინტერესებისთვის შიშველი ხელებით მუშაობაც კი ძალუძთ.

დაბოლოს, ნამატჩევს ზურაბ ტომარაძეს მცირე კომენტარი ვთხოვეთ:

— მოხარული ვარ, რომ რუსთავში ამ თამაშმა ასეთი რეზონანსი გამოიწვია. ეს იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ჩვენმა იდეამ გაამართლა. გადაჭედილი ტრიბუნების წინაშე თამაში ნაკრების კანდიდატებს დიდ პრაქტიკას შესძენს.

ამ შეხვედრაში გუნდის ტაქტიკური მონახაზი, შეიძლება ითქვას, ზედაპირული იყო. ჩვენ სულ სამი ვარჯიში გავმართეთ, რაც ისეთი გუნდის დასამარცხებლად, როგორიც „აზოტია", საკმარისი არ აღმოჩნდა.

ნელ-ნელა გადახალისდება შემადგენლობა, გამოიცვლება ნაკრების სპარინგპარტნიორიც. მსგავსი თამაშები კი საშუალებას მოგვცემს, გუნდში არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ.

მოთამაშეთა ფუნქციონალური მომზადება სადღეისოდ არადამაკმაყოფილებელია, თუმცაღა სათამაშო პროცესმა გარკვეული რეზერვებიც დაგვანახვა. შევეცდებით იმ დადებითმა თვისებებმა, რომელსაც გუნდი ეპიზოდურად ავლენდა, სტაბილური ხასიათი მიიღოს.

**გიორგი გიჰაშვილი**

## ესპანეთი

IX ტური

კასერესი — უნიკახა 70:76, ლეონი — პამესა 55:66, ხიხონი — ხირონა 62:75, კანტაბრია — რეალი 72:69, ბრეოგანი — ფუენლაბრადა 80:82, ესტუდიანტესი — ბადალონა 90:67, ტდკ — კახა სან ფერნანდო 66:74, ფორუმი — ტაუ 57:92, კანარიასი — ბარსელონა 67:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 9 | 9 | 0 | 713:603 | 18 |
| ტაუ | 9 | 6 | 3 | 737:674 | 15 |
| ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 663:601 | 15 |
| სან ფერნანდო | 9 | 6 | 3 | 657:603 | 15 |
| კანარიასი | 9 | 6 | 3 | 646:638 | 15 |
| რეალი | 9 | 5 | 4 | 664:628 | 14 |
| ბადალონა | 9 | 5 | 4 | 711:693 | 14 |
| უნიკახა | 9 | 5 | 4 | 609:593 | 14 |
| ესტუდიანტესი | 9 | 5 | 4 | 664:653 | 14 |
| ხირონა | 9 | 5 | 4 | 644:634 | 14 |
| ფუენლაბრადა | 9 | 5 | 4 | 662:658 | 14 |
| კასერესი | 9 | 5 | 4 | 647:656 | 14 |
| ფორუმი | 9 | 3 | 6 | 606:613 | 12 |
| ტდკ | 9 | 3 | 6 | 638:648 | 12 |
| ხიხონი | 9 | 3 | 6 | 601:669 | 12 |
| კანტაბრია | 9 | 2 | 7 | 637:728 | 11 |
| ბრეოგანი | 9 | 1 | 8 | 650:743 | 10 |
| ლეონი | 9 | 1 | 8 | 554:668 | 10 |

## იტალია

VII ტური

ვარეზე — კინდერი 80:81, ფორტიტუდო — ბენეტონი 77:72, პეპსი — ადეკო 71:67, რეჯანა — ვიოლა 84:90, სიენა — აეროპორტი 61:50, მიულერი — ძუკეტი 67:75, სკავოლინი — კანტუ 67:71, ტრიესტი — იმოლა 81:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 7 | 7 | 0 | 532:468 | 14 |
| კინდერი | 7 | 6 | 1 | 541:448 | 13 |
| ვიოლა | 7 | 5 | 2 | 508:507 | 12 |
| სიენა | 7 | 4 | 3 | 467:440 | 11 |
| სკავოლინი | 7 | 4 | 3 | 545:535 | 11 |
| ძუკეტი | 7 | 4 | 3 | 491:488 | 11 |
| ვარეზე | 7 | 3 | 4 | 511:510 | 10 |
| ბენეტონი | 7 | 3 | 4 | 482:501 | 10 |
| აეროპორტი | 7 | 3 | 4 | 481:500 | 10 |
| ადეკო | 7 | 3 | 4 | 500:520 | 10 |
| იმოლა | 7 | 3 | 4 | 517:539 | 10 |
| კანტუ | 7 | 3 | 4 | 504:532 | 10 |
| ტრიესტი | 7 | 2 | 5 | 501:501 | 9 |
| მიულერი | 7 | 2 | 5 | 474:497 | 9 |
| პეპსი | 7 | 2 | 5 | 470:497 | 9 |
| რეჯანა | 7 | 2 | 5 | 527:568 | 9 |

## საბერძნეთი

V ტური

ირაკლიონი — აეკ 66:83, ირაკლისი — პანიონიოსი 63:67, პანათინაიკოსი — დაფნი 81:74, ესპეროსი — მარუსი 69:75, სპორტინგი — პაოკ 74:75, ოლიმპიაკოსი — ნიარ ისტი 82:51, არისი — პერისტერი 63:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 5 | 5 | 0 | 355:303 | 10 |
| აეკ | 5 | 4 | 1 | 378:327 | 9 |
| პაოკ | 5 | 4 | 1 | 382:337 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 2 | 326:303 | 8 |
| დაფნი | 5 | 3 | 2 | 358:347 | 8 |
| მარუსი | 5 | 3 | 2 | 353:315 | 8 |
| ნიარ ისტი | 5 | 3 | 2 | 325:367 | 8 |
| პანიონიოსი | 5 | 3 | 2 | 360:341 | 8 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 3 | 335:343 | 7 |
| პერისტერი | 5 | 2 | 3 | 336:346 | 7 |
| არისი | 5 | 2 | 3 | 342:342 | 7 |
| ირაკლიონი | 5 | 1 | 4 | 337:364 | 6 |
| ესპეროსი | 5 | 0 | 5 | 342:390 | 5 |
| სპორტინგი | 5 | 0 | 5 | 330:407 | 5 |

## თურქეთი

VI ტური

ბეშიქთაში — ტროი 70:56, ითუ — ეფესი 55:75, მიდონოსე — დარუშაფაკა 85:87, ოიაქი — ქომბასანი 59:69, ქარშიაქა — ულქერი 79:64, თოფაში — გალათასარაი 68:65, ფენერბაჰჩე — ტელეკომი დღეს გაიმართება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქარშიაქა | 6 | 6 | 0 | 441:367 | 12 |
| ეფესი | 6 | 5 | 1 | 439:401 | 11 |
| თოფაში | 6 | 4 | 2 | 429:412 | 10 |
| დარუშაფაკა | 6 | 4 | 2 | 438:429 | 10 |
| ულქერი | 6 | 3 | 3 | 424:440 | 9 |
| ითუ | 6 | 3 | 3 | 386:429 | 9 |
| ბეშიქთაში | 6 | 3 | 3 | 427:441 | 9 |
| გალათასარაი | 6 | 3 | 3 | 450:418 | 9 |
| ქომბასანი | 6 | 3 | 3 | 409:385 | 9 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 3 | 2 | 388:350 | 8 |
| ტელეკომი | 5 | 2 | 3 | 358:342 | 7 |
| მიდონოსე | 6 | 1 | 5 | 468:496 | 7 |
| ტროი | 6 | 1 | 5 | 416:477 | 7 |
| ოიაქი | 6 | 0 | 6 | 359:445 | 6 |

## საფრანგეთი

VII ტური

სტრასბური — ლე მანი 68:77, საონი — ანტიბი 80:68, შოლე — ევრე 75:60, მონპელიე — შამპანი 80:70, ნანსი — დიჟონი 57:61, პარი სენ ჟერმენი — ბეზანსონი 73:69, ლიმოჟი — პო ორტეზი 83:68, გრაველინი — ვილერბანი 68:94

IX ტური

გადმოტანილი მატჩი

სტრასბური — ბეზანსონი 70:62

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ ლიმოჟი — პო-ორტეზი იყო. მასპინძლებმა შეხვედრა მეტოქეზე გაცილებით უკეთ ჩაატარეს და მას პირველი მარცხიც აგემეს.

„ლიმოჟი" უფრო აგრესიული და მონდომებული იყო. მან გამარჯვება დაიმსახურა" — თქვა მატჩის შემდეგ „პო-ორტეზის" მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ბერჟომ. დასაწყისში ლიმოჟელები ძალიან აქტიურობდნენ და სწრაფად თამაშობდნენ. მათგან ყველაზე უკეთ უილიამსი (21 ქულა) ირჯებოდა, მაგრამ პოელი რიზაშეც (15 ქულა) მშვენიერ ფორმაში იყო და მასპინძლებს წინ გაჭრა გაუჭირდათ. მეოთხე წუთზე ანგარიში 12:12 იყო, მეცამეტეზე კი — 25:24. ამ დროს სტუმრებს ნერვებმა უმტყუნათ, მსაჯს შეეკამათნენ და ტექნიკური ჯარიმაც მიიღეს. ასე რომ, ერთი წუთის შემდეგ ანგარიშში სხვაობა უკვე 7 ქულა გახდა „ლიმოჟის" სასარგებლოდ 32:25.

ტაიმის დარჩენილ ნაწილს ბევრი არაფერი შეუცვლია და როცა გუნდები შესვენებაზე გავიდნენ, ანგარიში 44:36 იყო. გასახდელებიდან მობრუნების შემდეგ კალაბრიამ ზედიზედ ორი სამქულიანი ტყორცნა შეასრულა ზუსტად და „პო-ორტეზსაც" მატჩის ბედის შემობრუნების იმედი გაუჩნდა. თუმცა ლიმოჟელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და 30-ე წუთზე კვლავ რვაქულიან უპირატესობას მიაღწიეს — [illegible].

„პო-ორტეზმა" ერთი კიდევ გაიბრძოლა და 34-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა, მაგრამ მაშინვე ისევ ტექნიკური ჯარიმა მიიღო და მოწინააღმდეგეს ერთბაშად ხუთი ქულის მოპოვების საშუალება მისცა. ამის მერე კი სტუმრებმა ფაქტობრივად შეწყვიტეს წინააღმდეგობა და საბოლოოდ თხუთმეტი ქულით დამარცხდნენ.

პოელების მარცხით კარგად ისარგებლა „ვილერბანმა", რომელმაც „გრაველინს" მოუგო სტუმრად და გათამაშების ცხრილში პირველ ადგილამდე აღზევდა. ამდენივე ქულა აქვს „სტრასბურსაც", რომელმაც მე-9 ტურის ნაადრევად გამართული შეხვედრა 70:62 მოუგო „ბეზანსონს" და ამ ტურში რომ არ დამარცხებულიყო, ერთპიროვნული ლიდერი იქნებოდა.

გრაველინში სტუმრებს გამარჯვება ნამდვილად არ გასჭირვებიათ. მათგან ყველაზე შედეგიანი სელსი იყო (20 ქულა). მასზე ორი ქულით ნაკლები მიითვალა მასპინძელმა მაშოვსკიმ, მაგრამ მას თანაგუნდელებმა კარგად ვერ აუბეს მხარი და „გრაველინმაც" მეექვსე სეზონური მარცხი იწვნია.

მესამე გასვლითი მატჩი მოიგო დედაქალაქურმა „პარი სენ ჟერმენმა". იგი ამას სკიარას (17 ქულა) ძალიან კარგ თამაშს უნდა უმადლოდეს. პარიზელები შინაც ასევე კარგად რომ ირჯებოდნენ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 7 | 6 | 1 | 549:510 | 13 |
| სტრასბური | 8 | 5 | 3 | 579:545 | 13 |
| ვილერბანი | 7 | 6 | 1 | 550:534 | 13 |
| ბეზანსონი | 8 | 4 | 4 | 591:561 | 12 |
| ლიმოჟი | 7 | 5 | 2 | 496:468 | 12 |
| ლე მანი | 7 | 5 | 2 | 492:467 | 12 |
| დიჟონი | 7 | 4 | 3 | 492:454 | 11 |
| პსჟ | 7 | 4 | 3 | 501:476 | 11 |
| საონი | 7 | 3 | 4 | 497:492 | 10 |
| შამპანი | 7 | 3 | 4 | 485:498 | 10 |
| ევრე | 7 | 3 | 4 | 473:488 | 10 |
| შოლე | 7 | 3 | 4 | 485:501 | 10 |
| მონპელიე | 7 | 3 | 4 | 513:537 | 10 |
| გრაველინი | 7 | 1 | 6 | 518:555 | 8 |
| ნანსი | 7 | 1 | 6 | 440:483 | 8 |
| ანტიბი | 7 | 1 | 6 | 416:508 | 8 |

## სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი", მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს" ერგო. ამრიგად, „სარბიელის" მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში" მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში" მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრანგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჯიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაჟ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიუელენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის" რედაქციაში მისამართზე:

**თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,**

ან საფოსტო მისამართზე:

**თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208**

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

______________________

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მსოფლიოს თასი

# დე ბეერის ოქროს ფეხი

სამხრეთაფრიკელმა დამრტყმელმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ეს ჯანი დე ბეერმა მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში ინგლისის წინაალმდეგ შეძლო. მან ხუთი არეკნი გაიტანა, რაც მანამდე საერთაშორისო მატჩებში ვერავის მოეხერხებია. არადა, ტურნირის დაწყებამდე დე ბეერს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ემუქრებოდა. იგი ნაკრებში ჰენრი ჰონიბალის შემცვლელად შეიყვანეს, მაგრამ ტრავმამ შეაწუხა და დე ბეერიც ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. ახლა ჰონიბალი უკვე გამოჯანმრთელებულია, მაგრამ „ოქროსფეხას“ ვინლა შეცვლის?

„მეოთხედფინალამდე ინგლისელების დაცვა კარგად შევისწავლეთ და დავრწმუნდით, რომ მისი ჯობნა არეკნების გამოყენებით შეიძლებოდა. სწორედ ამას ვამუშავებდით ერთი კვირის განმავლობაში და შედეგიც სახეზეა“ — თქვა ახალმა რეკორდსმენმა.

მართლაც, ძლიერი ინგლისური დაცვის გასარღვევად ხელით ბურთის დიდხანს გათამაშება და დაცვაში ბზარების ძებნა არაა საჭირო, არც ფრთის მოთამაშეებზე აქცენტის გაკეთება. უბრალოდ, საკმარისია, მორკინლების ხარჯზე დამრტყმელისთვის მცირედი ადგილი გამოათავისუფლოთ და ორი-სამი პასის შემდეგ მას ბურთი მიაწოდოთ. ჰოდა, თუ დამრტყმელად დე ბეერივით კაცი გყავთ, ქულებსაც შედარებით იოლად მოიხვეჭთ.

„ვარჯიშებზე სწორედ ამ ტაქტიკას ვხვეწდით“ — განაცხადა „ქურციკების“ კაპიტანმა იოსტ ვან დერ ვესტჰოიზენმა.

ნაკრებში 1997 წელს მოხვედრილი დე ბეერიც ამიტომ ამჯობინეს ჰონიბალს. სამხრეთ აფრიკის მთავარი მწვრთნელის ნიკ მალეტის გადაწყვეტილებაში ამინდის პროგნოზმაც ითამაშა გარკვეული როლი. სენ დენიში, „სტად დე ფრანსზე“ მეოთხედფინალისთვის წვიმას ელოდნენ, ამ დროს კი ბურთის ხელით გათამაშება ძნელდება და ჯობს ქულები არეკნებითა და საჯარიმოებით მოიპოვო. „ჰონიბალს უფრო ხელით თამაში ეადვილება, დე ბეერი კი ფეხით შეუდარებელია. იგი მშვენივრად წარმართავს ჩვენს იერიშებს, ისევე როგორც მერთენსი ახალი ზელანდიისას“ — ეს ნიკ მალეტის სიტყვებია.

28 წლის დე ბეერის შედეგიანმა თამაშმა მალეტის სტრატეგიული ჩანაფიქრი გაამართლა. „ქურციკებმა“ შეხვედრის უმეტესი ნაწილი ინგლისის ნახევარზე გაატარეს. მოწინაალმდეგეს არც ერთი ლელო არ გაატანინეს, თვითონ ორჯერ დადეს ბურთი მის ჩათვლის მოედანზე, დე ბეერმა კი თორმეტი ცდიდან თორმეტჯერ (!) გაატარა ბურთი ინგლისელთა ძელებს შორის (ხუთი არეკნი, ხუთი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

„ეს მარტოს არ გამიკეთებია — ღმერთი დემეხმარა. იესო ქრისტესი თუ არ გწამს, შეიძლება მსოფლიოს თასიც გქონდეს და ბევრი ფულიც, მაგრამ სინამდვილეში არაფერი გექნება“ — მშვიდად საუბრობდა ღრმადმორწმუნე ქრისტიანი ჯანი დე ბეერი მსოფლიოს რეკორდის დამყარების შემდეგ.


AFP სენ დენიდან

არეკნით დარტყმაში სამხრეთაფრიკელი ჯანი დე ბეერი (№10) უბადლოა


AFP მარიფილდიდან

უმერთენსოდ (ბურთით) ახალზელანდიელებს საკმაოდ გაუჭირდებათ

# მთავარი შავი დაშავდა

ახალი ზელანდიის ნაკრებმა კვირას შოტლანდიელებთან 30:18 მოგებულ შეხვედრაში ნახევარფინალის საგზური მოიპოვა, მაგრამ თავისი ერთ-ერთი ლიდერი დაკარგა — დამრტყმელმა ენდრიუ მერთენსმა პირველი ტაიმის ბოლოს ტრავმა მიიღო და თამაში ვეღარ გააგრძელა.

„შავების“ მწვრთნელმა ჯონ ჰარტმა თავი და გულშემატკივრები მოგვიანებით კი დაამშვიდა, მერთენსს უბრალოდ ფეხი მოარტყეს მუხლში და სერიოზული არაფერიაო, მაგრამ მთლად ასეც არ გამოდგა საქმე.

სამშაბათს „კენტერბერის“ მოთამაშემ ნაკრებთან ერთად ვერ ივარჯიშა და რაკი ტკივილი ისევ აწუხებს, გუშინ სალამოს საავადმყოფოში დამატებით გამოკვლევას ჩაუტარებდნენ.

„ჯერჯერობით თავადაც არაფერი ვიცით იმის შესახებ, მძიმეა თუ არა ტრავმა. ყველაფერს მოგვიანებით შეგატყობინებთ, როდესაც გამოკვლევის შედეგებს გავიგებთ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ახალი ზელანდიის ნაკრების პრესატაშე ჯეინ დენტმა.

„ოლ ბლექსმა“ თავისი შემადგენლობა საფრანგეთთან ნახევარფინალური შეხვედრისთვის ხუთშაბათს უნდა გამოაცხადოს და თუ მერთენსმა მანამდე ვერ მოახერხა ბოლომდე გამოჯანმრთელება, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე მოუხდება ჯდომა.

მერთენსი ახალზელანდიელთათვის დიდი ძალაა — 37 საერთაშორისო შეხვედრაში ნაკრების შემადგენლობაში 560 ქულა დაუგროვებია. მის სავარაუდო შემცვლელ ტონი ბრაუნს კი აქამდე შავი მაისურა სულ რვაჯერ მოურგია და შოტლანდიელებთანაც მეორე ტაიმში თავი ვერაფრით გამოიჩინია.

# აცრემლებულან სკოტები

შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობაში გატარებული 10 წელზე მეტი ხნის შემდეგ გარი არმსტრონგმა საერთაშორისო კარიერა დაასრულა. მან 51-ჯერ დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება, წასვლა კი მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში ახალ ზელანდიასთან წაგების შემდეგ გადაწყვიტა.

„გარი ყველაზე გაბედული და მამაცი მორაგბეა, ვინც კი შოტლანდიის ნაკრებში მინახავს. ათი წლის მანძილზე მან უდიდესი, შეუფასებელი სამსახური გაუწია შოტლანდიურ რაგბს, რომლის სიმბოლოდაც მოიხსენიებდნენ. მძიმე ტრავმების მიუხედავად, იგი მაინც ბრუნდებოდა ნაკრებში და უძლიერესადაც თამაშობდა. გარი არმსტრონგი შოტლანდიელის ყველა ღირსებით შემკული ადამიანია“ — თქვა სკოტთა მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ ტელფერმა.

მარიფილდში „ოლ ბლექსთან“ მარცხის შემდეგ არმსტრონგმა მოედანს საპატიო წრე დაარტყა და მერე ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა: „ამდენი ხალხი ამ სტადიონზე არასოდეს მინახავს 1990 წელს ხუთი ერის პირველობაზე მოპოვებული დიდი სლემის შემდეგ. მათ გულიანად გვიქომაგეს, მაგრამ მაინც წავაგეთ. მორაგბეებმა ყველაფერი გაილეს გამარჯვებისთვის. ყველა ამბობდა, რომ ჩვენ დავმარცხდებოდით, გარდა მეტოქე გუნდის 30 მორაგბისა. იქნებ საკვირველია, რომ მათი შეშფოთება მოვახერხეთ, მაგრამ ჩვენთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. შოტლანდიას ყველას დამარცხება ძალუძს, ოღონდ დღეს არ გაგვიმართლა“.

არმსტრონგის გარდა სკოტთა ნაკრები ჯიმ ტელფერმა და კიდევ ორმა ვეტერანმა მორაგბემ — ალენ ტეიტმა (35წ, 27თ) და პოლ ბარნელმა (34წ, 51თ) დატოვეს. თუმცა მათი წასვლა, კაპიტნისგან განსხვავებით, უკვე საკმაოდ ხნით ადრე გამოცხადდა. არმსტრონგი კი მეოთხედფინალურ მატჩს ელოდა.

„თამაშის მერე გასახდელში გარის გუნდთან ლაპარაკი უნდოდა, რათა ბიჭები გაემხნევებინა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. როცა საპატიო წრის გასაკეთებლად მინდორზე დავბრუნდით, ცრემლები ვერ შევიკავე. მაინტერესებს, რა იფიქრა ჩემმა ვაჟმა მაიკლმა, რომელიც იმ დროს ჩვენთან ერთად იყო და ასე გულაჩუყებული არასოდეს ვუნახივარ“ — თქვა ალენ ტეიტმა. მას შოტლანდიის ნაკრებში მხოლოდ 27-ჯერ უთამაშია (17 ლელო), რაც იმითაა გამოწვეული, რომ კარგა ხანი ცამეტკაცა რაგბში იყო. ახლა ტეიტს „ედინბურგთან“ რამდენიმეთვიანი კონტრაქტი კიდევ დარჩა, რომლის გასრულების შემდეგაც, ალბათ, ისევ ნაკრებში დაბრუნდება, ოღონდ ამჯერად როგორც მწვრთნელი. ტელფერისა და მისი შემცვლელის იან მაკგიჩენის თხოვნით, ტეიტი სკოტების დაცვითი ჯებირების სრულყოფაზე იმუშავებს.

**გაიოზ თალაქვაძე**


AFP მარიფილდიდან

ახალზელანდიელებთან მარცხის მიუხედავად ჯიმ ტელფერი თავისი მოთამაშეებისა და გულშემატკივრების მადლიერი დარჩა

## მსოფლიოს თასის სტატისტიკა

**ლელოები**

| | |
|---|---|
| ჯონა ლომუ (ახალი ზელანდია) | 6 |
| ჯეფ უილსონი (ახალი ზელანდია) | 5 |
| კეიტ ვუდი (ირლანდია), დან ლაჯერი (ინგლისი), ვილიამ სატალა (ფიჯი) | 4 |
| ტოუტაი კეფუ (ავსტრალია), უგო მოლა (საფრანგეთი), მარკ ტეილორი (უელსი), მორგან უილიამსი (კანადა), ფილ გრინინგი (ინგლისი), მარტინ ლესლი (შოტლანდია), იოსტ ვან დერ ვესტჰოიზენი (სამხრეთ აფრიკა), ფილიპ ბერნა-სალი (საფრანგეთი), ემილ ნტამაკი (საფრანგეთი), კამერონ მიურეი (შოტლანდია) | 3 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| გონსალო კესადა (არგენტინა) | 102 |
| ჯანი დე ბეერი (სამხრეთ აფრიკა) | 76 |
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 66 |
| სილაო ლეაგა (სამოა) | 62 |
| ნილ ჯენკინსი (უელსი) | 57 |
| მეტ ბარკი (ავსტრალია) | 52 |
| კენი ლოგენი (შოტლანდია) | 51 |
| გარეტ რიისი (კანადა) | 49 |
| ენდრიუ მერთენსი (ახალი ზელანდია) | 45 |
| დევიდ ჰამფრიზი (ირლანდია) | 41 |
| რიშარ დურთი (საფრანგეთი) | 40 |

**ლელოები ერთ თამაშში**

| | |
|---|---|
| კეიტ ვუდი (ირლანდია, აშშ-სთან) | 4 |
| ტოიტაი კეფუ (ავსტრალია, რუმინეთთან), უგო მოლა (საფრანგეთი, ნამიბიასთან), ჯეფ უილსონი (ახალი ზელანდია, იტალიასთან) | 3 |

**ქულები ერთ თამაშში**

| | |
|---|---|
| პოლ გრეისონი (ინგლისი, ტონგასთან) | 36 |
| ტონი ბრაუნი (ახალი ზელანდია, იტალიასთან) | 36 |
| ჯანი დე ბეერი (სამხრეთ აფრიკა, ინგლისთან) | 34 |
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი, იტალიასთან) | 32 |
| გონსალო კესადა (არგენტინა, სამოასთან) | 27 |
| გარეტ რიისი (კანადა, ნამიბიასთან) | 27 |
| დევიდ ჰამფრიზი (ირლანდია, არგენტინასთან) | 24 |
| სილაო ლეაგა (სამოა, იაპონიასთან) | 23 |
| გონსალო კესადა (არგენტინა, ირლანდიასთან) | 23 |
| ვაისალე სერევი (ფიჯი, ნამიბიასთან) | 22 |
| კრისტოფ ლამეზონი (საფრანგეთი, არგენტინასთან) | 22 |
| გონსალო კესადა (არგენტინა, იაპონიასთან) | 21 |

**გუნდური ლელოები ერთ თამაშში**

| | |
|---|---|
| ახალი ზელანდია (იტალიასთან) | 14 |
| ინგლისი (ტონგასთან) | 13 |
| ფიჯი (ნამიბიასთან), ავსტრალია (რუმინეთთან), უელსი (იაპონიასთან), კანადა (ნამიბიასთან), ავსტრალია (აშშ-სთან) | 9 |
| ინგლისი (იტალიასთან) | 8 |
| ირლანდია (აშშ-სთან), სამხრეთ აფრიკა (ესპანეთთან), შოტლანდია (ესპანეთთან) | 7 |
| სამხრეთ აფრიკა (შოტლანდიასთან), შოტლანდია (ურუგვაისთან), საფრანგეთი (ნამიბიასთან) | 6 |
| ახალი ზელანდია (ტონგასთან), სამოა (იაპონიასთან), სამოა (უელსთან), სამხრეთ აფრიკა (ურუგვაისთან), ირლანდია (რუმინეთთან) | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

# ლოკომოტივს ძვრა ვერ უყვეს

თბილისი
26 ოქტომბერი

**ასკ 11:22 (3:12) ლოკომოტივი 1**

ასკ: ზ. მაისურაძე, გ. მაისურაძე, შენგელია, უჩავა, ვალიშვილი (საკანდელიძე), გაფრინდაშვილი (მათიაშვილი), მინაშვილი, აბუსერიძე, მაღრაძე, კაპანაძე (სვანიძე), იაშვილი, კოდუა, ანთაძე, კილაურიძე
ლ — იაშვილი
2ს — უჩავა
ლოკომოტივი: კვანტალიანი, აფაქიძე, მაჭუტაძე, კახიანი, უდესიანი, კობახიძე, ხინჩაგაშვილი (კერესელიძე), წეველაძე, სარიშვილი, ძნელაძე (ბეჟელია), ჩხენკელი, ბუგიანიშვილი, გუგავა, მხეიძე
2ლ — ბუგიანიშვილი, ლ — ძნელაძე, კობახიძე
გ — მხეიძე
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

როდესაც კლასით და ოსტატობით ესოდენ განსხვავებული გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, სიურპრიზები ნაკლებად მოსალოდნელია. ასე მოხდა ამ მატჩშიც. თამაშის სანახავად მისული მცირერიცხოვანი მაყურებელი არც მოელოდა, არმიელები თუ დაჯაბნიდნენ მეტოქეს, ხოლო ბრძოლა რომ საინტერესო იქნებოდა, პირველი წუთებიდანვე გახდა ნათელი.

„ლოკომოტივს" შერკინებები უყვარს და კარგადაც გამოსდის. არმიელები რკინიგზელთა ძალას ვერაფერს უპირისპირებდნენ. „ლოკომოტივმა" ყველა ძალისმიერი ორთაბრძოლა მოიგო, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კიდეც მათი წარმატება. საერთოდ, მოედნის ყოველ მონაკვეთზე თავდაუზოგავი ბრძოლა მიმდინარეობდა. არმიელები ყოველ მოწინააღმდეგეს თითქმის თანაბარ მეტოქეობას უწევენ, რისთვისაც ნამდვილად ქების ღირსნი არიან. მართალია, II ფინალურ ეტაპზე გამართული 3 შეხვედრიდან ასკ-მა ყველა წააგო, მაგრამ მეტოქეებს მოგებისთვის იოლად ერთ მატჩშიც არ მიუღწევიათ.

ეს შეხვედრა რკინიგზელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ლელო საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში გავიდა. ძნელაძემ საჯარიმო დარტყმა ვერ გაიტანა. ამის შემდეგ არმიელები საკუთარ 22-მეტრიან ხაზთან გამწკრივდნენ და აბუსერიძემ ბურთი აუტში გაგზავნა. უეცრად წინ გამოჭრილმა იგივე ძნელაძემ ოვალი ხელთ იგდო, გაოგნებულ მეტოქეებს შორის გაიქროლა და ბურთი სალელოე მოედანზე დადო. აბუსერიძემ თავზე იტაცა ხელები, მაგრამ რაღა დროს... მხეიძემ გარდასახა და ანგარიში 0:7 გახდა.

არმიელებსაც რაღა ჰქონდათ დასაკარგი და თავგამოდებით მიაწყდნენ ლოკომოტივის მჭიდრო რიგებს. იმათაც, მიწოლა ეგრე არ უნდაო და თავადაც გამოიღეს ხელი. ამას ის მოჰყვა, რომ რკინიგზელებმა ისევ დაიჭირეს მეტოქე შეცდომაზე და ახლა ბუგიანიშვილმა გაიტანა ლელო.

ბუგიანიშვილმა მთელი თამაში დიდი ალმაცერობით ჩაატარა, მეტოქის უკანა ხაზელებს თავსატეხი გაუჩინა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მეორე ლელო, თუმცა ამაზე ქვემოთ...

პირველ ნახევარში მეტი ლელო აღარ გასულა. მხოლოდ უჩავამ შეძლო ერთი საჯარიმოს გატანა და ცოტათი შეამცირა ანგარიშში სხვაობა. მანამდე კი პატარა შეხლა-შემოხლა მოხდა მორაგბეებს შორის და მხცოვანმა არბიტრმა გოჩა აბაშიძემ მაისურაძე 10 წუთით გააძევა მინდვრიდან. ისე, უნდა ითქვას, რომ ამ თამაშში, სხვებისგან განსხვავებით, მსაჯის არც ერთი გადაწყვეტილება არ გაპროტესტებულა მოთამაშეების თუ მწვრთნელების მხრიდან, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა არავის გამოუხატავს უკმაყოფილება.

მეორე ტაიმი პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა. რკინიგზელები კარგად სარგებლობდნენ თავიანთი ფიზიკური მომზადებით და მართლაც ლოკომოტივივით აწვებოდნენ. კარგად იყენებდნენ მოლს და რამდენჯერმე მისი საშუალებით მოედნის დიდი ფართობი მოიგეს. ერთ სათამაშო ეპიზოდში კი მოლით შეიტანეს ბურთი სალელოე მოედანზე და კობახიძემ ლელოც გაიტანა.

არმიელებმა კვლავ არ დაიშალეს და მოედნის შუაგულში გამართეს ბურთაობა. რკინიგზელები უმეტესად ხელით თამაშობდნენ და მეტოქის რიგებში ღია ადგილებს ეძებდნენ. ერთ მომენტში ძალიან დააგვიანეს შეტევა. იაშვილმა მოწინააღმდეგის გადაცემა ჩაჭრა, რამდენიმე მორაგბეს დაუძვრა ხელიდან და თავისი გუნდისთვის პირველი ლელო დადო. აი, უჩავამ კი ვერ ივარგა. ამჯერად ვერ გარდასახა. ბურთი ძელებს ასცდა. სამაგიეროდ, მორიგი საჯარიმო დარტყმა შეასრულა რიგიანად და კვლავ შეამცირა ქულათა სხვაობა.

თავმოყვარეობაშელახული რკინიგზელები იერიშზე გადავიდნენ და ძალისმიერი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს. ჭიდილი უმთავრესად მოედნის შუაგულში მიმდინარეობდა და შერკინება შერკინებაზე ინიშნებოდა. ერთხელაც მოახერხეს და ლოკომოტივის მორაგბეებმა მარცხენა კუთხეში ჩაჰკიდეს ბურთი. მას ბუგიანიშვილი გაეკიდა. დაახლოებით 20 მეტრი ირბინა, მეტოქესაც გაუსწრო და ბურთიც სალელოე მოედანზე დადო. არმიელებმა ხელები გაშალეს. მართლაც თავს ზევით ძალა არაა...

მსაჯის სასტვენმა მორაგბეებს მორიგ შეჭიდებაში მოუსწრო.

**ზაზა ბენიძე**

რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**მირიან ცალქალამანიძე**

**თავისუფალი ჭიდაობა**

*დაიბადა 1927 წლის 9 მარტს თელავის რაიონის სოფელ კონდოლში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1954, 56), მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა (1957) და ბრინჯაოს (1954) პრიზიორი, 1956 წელს მსოფლიოს თასზე მეორე ადგილი დაიკავა. სტუდენტთა XII მსოფლიოს თამაშებისა (1954) და ახალგაზრდობის II საერთაშორისო სპორტული თამაშების ჩემპიონი. მელბურნის (1956) ოლიმპიადის ჩემპიონი*



1. ყველაზე სასიხარულო მელბურნის ოლიმპიური თამაშების მოგება იყო 1956 წელს, ყველაზე გულდასაწყვეტი მოგონება კი 1957 წლის მსოფლიოს ჩემპიონატია. ის თურქეთში ჩატარდა. მე მასპინძელს ვხვდებოდი და მოვუგე კიდეც, რამაც ჩემპიონის ტიტული მომაპოვებინა. შეხვედრაც დამთავრდა, ფორმაც გამოვიცვალე და პირველობასაც ვზეიმობდი, მაგრამ მსაჯებმა ანგარიში შეცვალეს და მოგების ნაცვლად ფრე აღნიშნეს. ამან კი მეორე ადგილზე დამხია. ასე დავკარგე მსოფლიოს ჩემპიონობა.
2. პირობები უნდა გაუმჯობესდეს, სპორტს მატერიალური დახმარება სჭირდება. მხოლოდ ამით გადავლახავთ კრიზისს. ჩვენი სახელმწიფო კი ღარიბია. სპორტსმენი ტექნიკურადაც უნდა ემზადებოდეს და ფსიქოლოგიურადაც. საამისოდ ვარჯიში და განსაკუთრებული კვებაა საჭირო. ორგანიზმმა სრულყოფილი ვარჯიში რომ შეძლოს, დახარჯული ენერგია უნდა აღიდგინოს. სხვანაირად ვერც მეტოქეებს დავძლევთ და ვერც კრიზისს.
3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე



ძალოსნობა

# ქართველები ათენში ხუთი ლიცენზიის აწევას აპირებენ

ქართველი ძალოსნები გულმოდგინედ ემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. მათთვის ესაა სეზონის უმთავრესი ტურნირი, რადგან იქ ოლიმპიური ლიცენზიები გაიცემა. პირველობა 20-28 ნოემბერს ათენში გაიმართება. ჩვენებურებმა სამსოფლიოჩემპიონატოდ ადრიდანვე დაიჭირეს თადარიგი. ისინი ინდივიდუალური გეგმით ემზადებიან და ამის გამო წლევანდელი ევროპის ჩემპიონატიც კი გამოტოვეს. ძირითადი აქცენტი შეკრებებზე გაკეთდა. მესამე დასკვნითი შეკრება ამ დღეებში მიმდინარეობს დაბა ფასანაურში, ძალოსანთა კეთილმოწყობილ ბაზაზე, იქაურ პირობებს კი მწვრთნელ-სპორტსმენები ნამდვილად არ ემდურიან. ძალოსნები ფასანაურში 22 ოქტომბერს შეიკრიბნენ და იქ 6 ნოემბრამდე დაჰყოფენ. მანამდე მათ მაისსა და აგვისტოში მოახერხეს შეკრებების მოწყობა ისევ ფასანაურში, შუალედებში კი თბილისში, ძალოსანთა დარბაზში ვარჯიშობდნენ.

ფასანაურში ნახევარი გუნდი წავიდა, რაც ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა — გიორგი ასანიძე (77) და მუხრან გოგია (105) ოქტომბრის დამდეგიდან პოლონეთში, ვანო გრიქუროვთან ემზადებიან, ალეკო ნოზაძეს კი (მძიმე) წელი ასტკივდა და სამკურნალოდ თბილისში დარჩა. როგორც მისმა მწვრთნელმა ზურაბ ანთაურმა გვითხრა, თუ ექიმები ნებას დართავენ, ის ამ დღეებში გაემგზავრება ფასანაურში. იქ კი ნაკრების თავკაცთა განკარგულებაში ამჟამად მხოლოდ ეს სამეულია — დავით პავლიაშვილი (62), ვალერი სარავა (105) და გიორგი კობალაძე (მძიმე). მწვრთნელები ათენში ამ ექვსეულის წაყვანას აპირებენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ასანიძემ და გოგიამ წლეულს უკვე გაიარეს რამდენიმე შეკრება პოლონეთში.

როგორც გითხარით, გუნდი ათენში არასრული შემადგენლობით გაემგზავრება — რვა წონითი კატეგორიის ნაცვლად ჩვენები ოთხში გამოვლენ, თუმცა მხოლოდ ექვსი კაცით, რადგან ყველაზე მძიმე წონებში ორ-ორი მონაწილე გვეყოლება (მეტის უფლებას საერთაშორისო ფედერაცია არ იძლევა). სამაგიეროდ, მიზანია მაღალი — ხუთი ლიცენზიის მოპოვება. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუ გუნდი 17 საუკეთესოში მოხვდება. აქ კი ლიცენზიების განაწილების პრინციპსაც მივადექით.

ისინი გუნდური შედეგების მიხედვით გაიცემა, თავად გუნდური კი პირად პირველობაში ნაჩვენები ყველა მონაწილის შედეგების შეჯამებით გამოითვლება. ჩასათვლელ ქულებს მოწინავე 24 ადგილზე გასულები მიიღებენ. 17 საუკეთესო გუნდს ხუთი ლიცენზია ერგება, მომდევნო შვიდეულს — სამი, მაგრამ, როგორც გითხარით, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას ხუთი ლიცენზიის მოპოვება განუზრახავს. მართალია, ისინი დასახული გეგმის მიხედვით ემზადებიან და უკმაყოფილონიც არ არიან, მაგრამ გუნდი ძირითადად ახალგაზრდულია და ზოგიერთ მათგანს გამოცდილება (თანაც, უფროსებში ასპარეზობისა) აკლია, რაც ასეთი დონის ტურნირზე მეტად მნიშვნელოვანია. გუნდი თბილისში 7 ნოემბერს დაბრუნდება. მაშინ ელოდებიან ასანიძისა და გოგიას ჩამოსვლასაც. მერე ყველა ერთად ძალოსნობის დარბაზში გააგრძელებს ვარჯიშს. ეს დარბაზი დღეს გაცილებით კეთილმოწყობილია. თუნდაც იმიტომ, რომ ახლა თბება და იქაურებს შეშის ძებნა მაინც არ უხდებათ.

**ირაკლი თავაძე**


**ვაქირავებ ან ვყიდი**
გარემონტებულ 1-ოთახიან
იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23

**რეკლამა**
**სარბიელ-ში**
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08


საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, სტუმრებს, ვეტერან და მოქმედ სპორტსმენებს, სპონსორებს, ხელისუფლების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს, ყველას, ვინც მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო სესიის მუშაობაში, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**

ავტორბოლა

# აი, მიზეზი!

## ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაფურთხებული იმიტომ ალოკა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი ხელით გამოიჭრიდა ყელს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

პარასკევს პარიზში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს ანუ „ფერარისა“ და ფერარელების გამართლებას უფრო მეტი ვნებათაღელვა და აღშფოთებაც კი მოჰყვა, ვიდრე თვით მალაიზიაში „ფერარების“ დისკვალიფიკაციას.

„სამეფო რბოლების“ ჭეშმარიტი გულშემატკივარი სხვა შედეგს, ცხადია, არც ისურვებდა. აბა, ვის მოგვრიდა სიამოვნებას, ჩემპიონატის ბედი პარიზის ერთ-ერთი სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში გადაწყვეტილიყო და არა უშუალოდ ტრასაზე, „სუძუკაზე“ ბოლო რბოლაში.

მართალია, თუ წეს-კანონებს მივყვებით, ერთი კვირის წინ „სეპანგზე“ ჩამორთმეული ქულები „ფერარისთვის“ უკან აღარ უნდა დაებრუნებინათ, რადგან იტალიურ ბედაურებს დეფლექტორები სტანდარტულზე ათი მილიმეტრით ვიწრო აღმოაჩნდათ. ეს დათმობა ფორმულის ბოსებისთვის საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვის ტოლფასია და მათთვის ამას სპეციალისტთაგან და ჟურნალისტთაგან გამახსრების მეტი არაფერი მოუტანია.

ვინც „სეპანგზე“ რბოლას ადევნებდა თვალყურს, შენიშნავდა, რომ „ფერარებს“ ამ სანტიმეტრიანმა თაღლითობამ კი არ მოაგებინა, არამედ იმან, რომ მიკა ჰაკინენმა ერთხელაც ვერ მოახერხა კონკურენტების გასწრება, თუმცა ლამის მთელი რბოლა კუდში ევდა მათ. აქ დეფლექტორი არაფერ შუაშია.

როგორც მავანნი ამტკიცებენ, FIA-მ საკუთარი პრესტიჟის შემლახველი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მისი ოპონენტი ფორმულის უმდიდრესი გუნდია. და იმიტომაც, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე ათასწლეულის ბოლო იაპონური ეტაპი ყოველგვარ აზრსა და ინტერესს დაკარგავდა და იქნებ სულაც უმაყურებლოდ ჩაევლო. ეს კი ავტოსპორტის მამებისთვის კატასტროფული მორალურ-ფინანსური დარტყმა იქნებოდა.





ედი ირვინი (მარცხნივ) და მიკა ჰაკინენი საკვირაო, გადამწყვეტი რბოლისთვის მზად არიან

FIA-ს ყველაზე მეტად, ცხადია, ბრიტანული მედია ლანძღავს — ამ ვერდიქტით ხომ მათი ეროვნული სიამაყე „მაკლარენი“ დაზარალდა. ფარისევლები, არაკომპეტენტურები, მილიონ დოლარებზე გაყიდულები — ეპითეტებს არ იშურებენ ავტოშეფების შესამკობად.

„ჭეშმარიტება ისაა, რომ ამ სამწუხარო ეპიზოდში გამარჯვებული არავინაა და სპორტის უმდიდრესმა საზეობამ საკუთარი თავი მყრალ ჭაობში ჩამარხა“ — ასკვნის „ობსერვერი“.

„უილიამსის“ ყოფილი მენეჯერი პიტერ უინძორი „სანდი ტაიმსში“ აღნიშნავს, რომ „ფერარიმ“ აპელაცია მოიგო იმიტომ, რომ „ფერარი“ — ფორმულის ინდუსტრიაში ძალითაც და გავლენითაც მეორე ფიგურაა. ხოლო ამ ინდუსტრიის ყველაზე ძლიერმა პიროვნებამ ბერნი ეკლსტოუნმა მშვენივრად უწყის, რომ უფერაროდ, ამგვარი დრამისა და სპექტაკლის გარეშე მთელი იმპერია დაილუპება. ამასთან, პარიზული გადაწყვეტილება ხელსაყრელია სრულიად ფორმულისთვის, რადგან უფრო მეტი მაყურებელი ეყოლება „სუძუკაზე“ რბოლას, უფრო მეტი მიადევნებს თვალს ტელევიზიით და კიდევ უფრო მეტი ხალხი გახდება ედი ირვინისა და „ფერარის“ გულშემატკივარი.

რაც შეეხება ამ შეხლა-შემოხლის მთავარ მოქმედ პირებს — ორივენი, ირვინიცა და ჰაკინენიც უკვე იაპონიაში იმყოფებიან და საკვირაო, ყველაფრის გადამწყვეტი რბოლისთვის ემზადებიან.

ირივინი, რომლიც მიკას ოთხი ქულით უსწრებს, შიშობს, რომ შესაძლოა ჰაკინენმა და დევიდ კულჰარდმა რბოლისას ჭუჭყიანი თამაში მოუწყონ და სადღაც პელოტონის სიღრმეში გაჭედონ. ამიტომ დამშვიდება არ შეიძლება და იმედი მაქვს, მაინც მივაღწევ იმ შედეგს, რომელზეც ვოცნებობო — ნერვიულობს ედი.

ჰაკინენს თავი ღირსეულად უჭირავს: „მე შეიძლება დავკარგო ტიტული, თუმცა ყველაფერს ვიღონებ მის შესანარჩუნებლად. შარშან სწორედ „სუძუკაზე“ მოვიპოვე გვირგვინი და დარწმუნებული ვარ, შევძლებ ამ წარმატების გამეორებას. მოუთმენლად ველი გადამწყვეტ ბრძოლას, სწორედ კვირას გამოჩნდება, ვინაა მართლაც მსოფლიოში საუკეთესო. რაც შეეხება ირვინის ვარაუდს, შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ჩვენ პატიოსნად ვიბრძოლებთ და საწადელსაც მივაღწევთ.“

ვნახოთ — ყველაფერი იაპონიაში გამოჩნდება.

**ირაკლი ნიკოლაძე**

მძლეოსნობა

# ჩიკაგოს გადაირბინეს




ხალიდ ხანუჩი

ჩიკაგოს მარათონი. კაცებისა და ქალების მიერ ნაჩვენები შედეგები და მოხვეჭილი დოლარების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 1. ხალიდ ხანუჩი | 2:05,42 სთ | 165 000 $ |
| 2. მოზეს ტანუი (კენია) | 2:06,16 | 90 000 |
| 3. ონდორო ოსორო (კენია) | 2:08,00 | 40 000 |
| 4. დევიდ მორისი (აშშ) | 2:09,32 | 53 500 |
| 5. სიმონ ბორი (კენია) | 2:09,35 | 25 000 |
| 6. ედერ ფიალო (ბრაზილია) | 2:09,36 | 17 000 |
| 7. ჯოზეფ კაუგუ (კენია) | 2:09,27 | 15 000 |
| **ქალები** | | |
| 1. ჯოის ჩეპჩუმბა | 2:25,59 | 80 000 |
| 2. მარგარეტ ოკაიო | 2:26,00 | 50 000 |
| 3. ელანა მეიერი (სამხრეთ აფრიკა) | 2:27,17 | 35 000 |
| 4. კოლინ დერუკი (სამხრეთ აფრიკა) | 2:27,30 | 30 000 |
| 5. ირინა ბოგაჩევა (ყირგიზეთი) | 2:27,46 | 25 000 |
| 6. ლიბი ჰიკმენი (აშშ) | 2:28,34 | 22 500 |
| 7. მარიან სატონი (ინგლისი) | 2:28,42 | 10 000 |

კვირას მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩიკაგოს მარათონი ახალი სარეკორდო შედეგით დასრულდა.

მაროკოელმა ხალიდ ხანუჩიმ, რომელიც ამჟამად აშშ-ის მოქალაქეობის მიღებას ესწრაფვის, 42 კილომეტრი 2 საათში, 5 წუთსა და 42 წამში გაირბინა და 23 წამით გააუმჯობესა რონალდო და კოსტას მიერ 1998-ში ბერლინის მარათონზე დამყარებული ძველი რეკორდი.

ქარსა და უჩვეულო სიცივეში 1997 წლის გარბენის გამარჯვებულმა და შარშანდელმა მეორეადგილოსანმა ხანუჩიმ მთავარი კონკურენტი, მოზეს ტანუი ფინიშამდე ხუთიოდ კილომეტრში ჩამოიტოვა. ტანუი, ბოსტონის 1996 და 1998 წლების მარათონების ჩემპიონი, საბოლოოდ მეორე იყო დროით 2:06:16 სთ, რაც ისტორიაში მესამე შედეგი გახლავთ.

„ვიყინებოდი და ქარი ძვალ-რბილში მატანდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ რეკორდს დავამყარებდი“ — განაცხადა მოგვიანებით ნიუ იორკში მცხოვრებმა ხანუჩიმ. მაროკოელმა ორსაათიანი ოფლისღვრისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი თანხა, 165 ათასი დოლარი ჩაიჯიბა (65 მოგებისთვის, 100 სარეკორდო ბონუსი), დამატებით კი პატარა, მაგრამ მუშა და მოდური „ფოლქსვაგენ ბიტლიც“ მიიღო.

მასპინძელთაგან საუკეთესო იაპონიაში დამკვიდრებული და მოვარჯიშე დევიდ მორისი იყო. მისი დრო — 2:09,32 აშშ-ის რეკორდია, მისივე ადრინდელ მიღწევას კი მთელი ექვსი წუთით სჯობს.

ქალებს შორის გამარჯვებულის ბედი ლამის ფოტოფინიშით გასარკვევი გახდა. კენიელები — შარშანდელი ჩემპიონი ჯოის ჩეპჩუმბა და მარგარეტ ოკაიო ბოლო მეტრებამდე მედგრად იბრძოდნენ პირველი ადგილისთვის. საბოლოოდ სულ მცირედით მაინც ჩეპჩუმბამ იმარჯვა, რომელმაც 2:25,59 უჩვენა და 1 წამით ჩამოიტოვა ოკაიო, არადა, მომავალი გამარჯვებული დისტანციის პირველ ნახევარში წაიქცა კიდეც.

ჩიკაგოს მარათონში წლეულს კიდევ ერთი სარეკორდო მაჩვენებელი აღინიშნა. მასში 29 256 კაცი მონაწილეობდა, რომელთაგან ფინიშის ხაზი 24 621-მა გადაკვეთა.

**ბაჩა არჯევანიძე**

ჭადრაკი

# ოთხთვიანი ვირტუალური ბრძოლა — ერთი კაცი მსოფლიოს წინააღმდეგ — დასრულდა

# კასპაროვმა აჯობა სამყაროს

— ეს იყო პარტია ანალიზის დღემდე არნახული მოცულობით, ასეთი ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს — თავიც იქო და 32 ათასი მეტოქეც შეაქო გარი კასპაროვმა.

გავლენიანი ხალხის საკითხავმა ამერიკულმა ჟურნალმა „ოლ სტრიტ ჯორნელმა“, რომელსაც ჭადრაკი ისე აინტერესებს, როგორც, ვთქვათ, ის, არის თუ არა შუქი მუხიანის დასახლებაში, ამ პარტიას ორი დიდი წერილი უძღვნა.

საყოველთაო ინტერესის კიდევ ერთი დასტური: ამ ვირტუალურ ანუ კომპიუტერულ-ინტერნეტულ საჭადრაკო ბრძოლას თვალს ადევნებდა მილიონობით ადამიანი.

როგორც იქნა, მარათონული პარტია — კასპაროვი მსოფლიოს წინააღმდეგ დასრულდა. დასრულდა კასპაროვის გამარჯვებით: 62-ე სვლაზე შავებით მოთამაშე მსოფლიოელებმა დამარცხება აღიარეს.

75 ქვეყანაში მცხოვრებ 30 ათასზე მეტი ჭადრაკის მოყვარულის საპასუხო სვლებიდან, რომელთაც ისინი ინტერნეტის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გზავნიდნენ, შეირჩეოდა საუკეთესონი. მსოფლიოს გუნდს კაპიტნობდა ინგლისელი დიდოსტატი დანიელ კინგი, რომლის მრჩევლები იყვნენ საჭადრაკო ნიჭით გამორჩეული გერმანელი, რუმინელი, ამერიკელი და ფრანგი ყმაწვილები. დიდხანს ისე ჩანდა, პარტია ყაიმით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 58-ე სვლაზე კასპაროვმა შავი დედოფლის უხეირო მანევრით ისარგებლა და... ოთხ სვლაში მსოფლიო დანებდა.

კასპაროვი — მსოფლიო






1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ე×b1 მფ×b1 49. მფ×g6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4 b4 55. ლ×b4 ლf3+ 56. მფg7 d5 57. ლb4+ მფb1 58. g6 ლe4 59. ლg1+ მფb2 60. ლf2+ მფc1 61. მფf6 d4 62. g7 შავები დანებდნენ.

# გეკადრება, ჩემპიონო?!

25 ოქტომბერი

**ტორონტო — დალასი 4:0 (2:0 0:0 2:0)**

1:0 ჯონსონი 2'08 (4), 2:0 ტომასი 13'34 (1); 3:0 ხრისტიჩი 43'26 (1); 4:0 კაბერლე 52'02 (3)

REUTERS ტორონტოდან



კიდევ ერთი შეხლა-შემოხლა დალასელ ედ ბელფორის კართან. მიზეზი ტორონტოელი ალიმ მაკკოლიაა (№18)

ამ შეხვედრამდე მეტოქეებმა სამ-სამჯერ გაიმარჯვეს, ასე რომ, ერთ-ერთი მათგანის მომგებიანი სერია უნდა დასრულებულიყო. თუმცა, ტორონტოსგან განსხვავებით, წინა მატჩებში დალასი არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რაც კანადელებთან დაპირისპირებამ კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა. მართალია, ჩემპიონს ერთბაშად ხუთი წამყვანი მოთამაშე არ ჰყავდა, მათ შორის ჯო ნუინდაიკი და დერილ სიდორი, მაგრამ თავს მაინც ვერაფრით გაიმართლებს. სტუმრებმა სულ 17-ჯერ შეაწუხეს კერტის ჯოზეფი (კარიერაში 24-ე შათაუტი), რომელიც მხოლოდ გი კარბონოს დარტყმამ თუ შეაფუცხუნა. რაც შეეხებათ „ნეკერჩხლის ფოთლებს", მათი შეტევა გუნდში დმიტრი ხრისტიჩის მისვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ბოსტონის ძუნწი მენეჯერის, ჰარი სინდენის კლანჭებიდან თავდაღწეულმა რუსმა უმალ დაამტკიცა, რაოდენ მაღალი კლასის მოთამაშეა. თუ მონრეალთან სადებიუტო შეხვედრაში იგი უქულოდ დარჩა, ჩემპიონთან პაექრობაში პირველი გოლი და პასი მიითვალა ახალ კლუბში. ექსბოსტონელის შემატებით ტორონტოს კიდევ ერთი გამტანი სამეული გაუჩნდა — ხრისტიჩის, მაიკ ჯონსონისა და ნიკოლაი ანტროპოვის (2 პასი) ტრიო პირველივე ცვლაში გამოირჩა, ხოლო თავად ხრისტიჩმა მესამე პერიოდში ყველაფერს ნათელი მოჰფინა.



## კასპერი — ავი აჩრდილი

ლიგაში აჩრდილად მოიხსენიებენ პიტსბურგის ცნობილ მცველ დარიუს კასპარაიტისს, უფრო სწორად, მისი მეტსახელია „კასპერი — ავი აჩრდილი". ლიტველი ჰოკეისტი მთელი ზაფხულის განმავლობაში ახალი კონტრაქტისთვის იბრძოდა და თავისას რომ მიაღწია, კვლავ მუშტი მოიღერა — ჩიკაგოსთან შეხვედრის 45-ე წუთზე ჟან პიერ დიუმონს ისე მოულოდნელად დაესხა თავს, რომ 21 წლის ფორვარდი კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა. მართალია, ტვინის მსუბუქი შერყევა სერიოზული ტრავმა არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ კასპარაიტისს სინდისი ოდნავადაც არ ქენჯნის: „მას უეცრად შევეჯახე. მე მხოლოდ თავი დავიცავი" — ასე ახსნა დარიუსმა თავისი საქციელი და დასძინა, რომ ძალიან გაუკვირდება, თუ დისკვალიფიკაციას მიიღებს. თუმცა, სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე კოლინ კემპბელი სხვა აზრის აღმოჩნდა. მან „აჩრდილის" ქმედებას ორ მატჩიანი სასჯელი შეუფარდა.

## ის აღარა ვარ, რაც ვიყავ...
### ჰაშეკი უშვებს და უშვებს

წარმოუდგენელია, მაგრამ ბუფალოს ესოდენ გაჭიანურებული უხეირობის თავიდათავი დიდებული მეკარე დომინიკ ჰაშეკია. 35 წლის „დომინატორმა", რომელმაც ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა, რომ ამ სეზონით ამთავრებს კარიერას, ვერა და ვერ დაიბრუნა ფორმა და უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებს. მეტიც, როცა იგი თამაშობს, ბუფალო მარცხისთვისაა განწირული. ახლა „ხმლების" მწვრთნელებს ბევრად უჯობთ, სახელგანთქმული გოლკიპერის ნაცვლად ახალგაზრდა მეტიუ ბაირონი შეუშვან ყინულზე, თორემ ჰაშეკის ნდობამ რა შედეგიც მოუტანათ, თავადაც ხედავენ — დღესდღეობ[illegible] ბუფალო ბოლო ადგილზეა.

აი, ფილადელფია კი თავის იღბლიანობას მნიშვნელოვანწილად გოლკიპერ ჯონ ვანბისბრუკს უნდა უმადლოდეს. 34 წლის „ბიზერი", რომელიც პლეიოფში თავისიანებს მაინცდამაინც ვერ შველოდა, ახლა პარტნიორებს ვალს უბრუნებს და ზედიზედ სამი შათაუტის შემდეგ უკვე 214 წუთია, მეტოქეებს არ აზარებს. მან ორჯერ თავისი ყოფილი კლუბი, რეინჯერსიც კი იმსხვერპლა.



მეკარე-საოცრება, ბუფალოელთა მხსნელად და დომინატორად შერაცხული დომინიკ ჰაშეკი გუნდს ხათაბალად [illegible]

### სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 7 | 1 | 0 | 3 | 32:22 | 15 |
| ოტავა | 6 | 1 | 0 | 2 | 27:17 | 13 |
| ბოსტონი | 2 | 4 | 0 | 5 | 20:26 | 8 |
| მონრეალი | 3 | 0 | 0 | 7 | 20:27 | 6 |
| ბუფალო | 1 | 2 | 0 | 6 | 22:30 | 4 |

ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 6 | 1 | 0 | 1 | 27:13 | 13 |
| სენტ ლუისი | 6 | 0 | 0 | 3 | 30:18 | 12 |
| ნეშვილი | 4 | 1 | 0 | 3 | 21:23 | 9 |
| ჩიკაგო | 0 | 4 | 0 | 4 | 20:29 | 4 |

ატლანტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 | 1 | 1 | 3 | 21:18 | 10 |
| ფილადელფია | 4 | 1 | 1 | 5 | 25:21 | 10 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 0 | 7 | 21:28 | 9 |
| პიტსბურგი | 2 | 2 | 0 | 2 | 24:22 | 6 |
| აილენდერსი | 2 | 1 | 0 | 4 | 15:20 | 5 |

ჩრდილო-დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 5 | 2 | 1 | 3 | 32:30 | 13 |
| კოლორადო | 5 | 2 | 0 | 3 | 23:23 | 12 |
| ედმონტონი | 2 | 2 | 2 | 5 | 21:25 | 8 |
| კალგარი | 2 | 2 | 0 | 6 | 22:38 | 6 |

სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 5 | 1 | 1 | 3 | 24:20 | 12 |
| კაროლინა | 4 | 3 | 0 | 2 | 25:23 | 11 |
| ვაშინგტონი | 2 | 2 | 0 | 3 | 18:24 | 6 |
| ტამპა | 2 | 1 | 1 | 4 | 19:22 | 6 |
| ატლანტა | 1 | 2 | 1 | 4 | 16:27 | 5 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 7 | 0 | 0 | 5 | 39:31 | 14 |
| დალასი | 6 | 1 | 0 | 4 | 22:24 | 13 |
| ფინიქსი | 5 | 3 | 0 | 1 | 27:19 | 13 |
| ლოს ანჯელესი | 5 | 2 | 0 | 3 | 31:27 | 12 |
| ანაჰაიმი | 4 | 1 | 1 | 5 | 29:26 | 10 |

*ბომბარდირები: ნოლანი (სან ხოსე) 17(8+9); სავაჟი (მონრეალი) 14 (10+4); რეკი (მონრეალი) 14 (3+11); კაპანენი (კაროლინა) 13 (7+6); იაგრი (პიტსბურგი) 13 (6+7); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 12 (8+4); ფრიზენი (სან ხოსე) 12 (7+5); ტარჯონი (სენტ ლუისი) 12 (6+6); საკიკი (კოლორადო) და სელიანე (ანაჰაიმი) 12 (4+8); ფრენსისი (კაროლინა) 12 (3+9); დამფუსი (სან ხოსე) 12 (2+10)*

*მცველები: ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 9 (4+5); სუტერი (სან ხოსე) და ზუბოვი (დალასი) 9 (2+7); შვეჰლა (ფლორიდა) და სტიუარტი (სან ხოსე) 8 (3+5); ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) და შპაჩეკი (ფლორიდა) 7 (3+4); მერფი (დეტროიტი) 7 (2+5)*

*ახალბედები: შეფერი (ვანკუვერი) 9 (4+5); სტიუარტი (სან ხოსე) 8 (3+5); ჰეხტი (სენტ ლუისი) 8 (2+6); ს. კარია (ვანკუვერი) და ტანგეი (კოლორადო) 7 (3+4); გომესი (ნიუ ჯერსი) 7 (1+6); განი (ფილადელფია) 6 (4+2); ფ. კაბერლე (ლოს ანჯელესი) 6 (0+6)*



# ედერი მუხლში ძალაგამოცლილი და ჯიბეგაფხეკილი გვემშვიდობება

ბიბლიოთეკა



ელფი ედერი

სლალომში 1996 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში გამარჯვებულმა, ავსტრიის ნაკრების ყოფილმა წევრმა 29 წლის ელფი ედერმა, რომელიც შარშან კარიბეთის კუნძულს გრენადის სახელით გამოდიოდა, თავი დაანება სათხილამურო სპორტს.

ედერისთვის მოქალაქეობის შეცვლის მიზეზი მწვრთნელთან უკმაყოფილება, ფინანსური სიდუხჭირე და მისი ფიზიკური მდგომარეობა გახლდათ.

— სამწუხაროდ, ასპარეზობა უნდა შევწყვიტო, რადგან არა მყავს სპონსორები. ამავე დროს მუხლების ტკივილიც მაწუხებს — სინანულით თქვა ედერმა.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეობის შეცვლის შემდეგ მან სარეიტინგო ქულები მთლიანად დაკარგა, რის გამოც ყველაფრის თავიდან დაწყება უწევდა. არადა, ავსტრიის გუნდში მას 1993 წელს მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, 1994 წელს ოლიმპიური ვერცხლი, ხოლო 1995-96 წლების სეზონში მსოფლიოს თასის ტიტული სლალომში.

## ფრენა მუსიკის თანხლებით

ამ ზამთრიდან გერმანელი „მფრინავი მოთხილამურეები" გზის გაკვალვას, შემდგომ კი ჰაერის გაპობას მუსიკის თანხლებით აპირებენ. მელოდიის თანხლებით მათ გაფრენებს გერმანული პოპ-ჯგუფი „პური" უზრუნველყოფს. გარმიშ-პარტენკირხენში რტლ-ის სატელევიზიო არხით პრეზენტაციისას ჯგუფის ლიდერმა ჰარტმუტ ენგლერმა და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ სპორტის ამ სახეობისთვის ჰიმნის შექმნას აპირებენ. მათ სათაურიც მოუფიქრებიათ — „არწივები შორს, მაღლა და ლაღად უნდა ფრენდნენ".

ახალი მუსიკა პირველად გარმიშ-პარტენკირხენში, სათხილამურო ოლიმპიურ სტადიონზე მხტომელთა საახალწლო ასპარეზობისას, 2000 წლის 1 იანვარს გაიჟღერებს.

— სპორტის არცერთი სახეობა არ შთამაგონებს მე და ჩემს კოლეგებსაც ისე, როგორც ტრამპლინიდან ხტომა. ჰიმნის დაკვეთით — ფეხბურთელებმა და ფორმულა I-ის პილოტებმაც მოგვმართეს, მაგრამ მფრინავი მოთხილამურეების თხოვნას წინ ვერ აღვუდექით — თქვა ენგლერმა.

სათხილამურო გაფრენათა პოპულარიზაციაში თავისი წვლილის შეტანა შოკოლადის ცნობილ მწარმოებელ ფირმა „მილკასაც" გადაუწყვეტია, რასაც საქმითაც ადასტურებს. მან გასაყიდად გაიტანა 50 მილიონი შოკოლადის ვაფლი, რომლის შემოსახვევსაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, მარტინ შმიტის პორტრეტი ამშვენებს.

შვარცვალდელი სპორტსმენი შოკოლადის ასეთ რეკლამაში 200 ათასი მარკის ღირებულების სუპერ-აღჭურვილობის კომპლექტს მიიღებს. რტლ-ის სატელევიზიო არხმა კი ტრამპლინიდან მხტომელთა ასპარეზობების ტრანსლირების უფლება მოიპოვა. ამავე არხის ინფორმაციის დირექტორს ჰანს მარს მიაჩნია, რომ „სპორტის ეს სახეობა ყველაზე სანახაობრივია".

## თავგადასავალთა მაძიებელი ქალები

ეტყობა 45 წლის ნორვეგიელ ლივ არნესენს აკმაყოფილებს ის, რომ მან ქალთაგან პირველმა ეულად შესძლო სამხრეთ პოლუსისთვის თხილამურებით მიღწევა. ახლა იგი 2000 წლის ნოემბრიდან 2001 წლის თებერვლამდე თხილამურებით აპირებს ანტარქტიკის გადალახვას, ოღონდ ამჯერად მეწყვილესთან, ამერიკელ ენ ბენკროფტთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ ჯერ ქალს არ გაუბედია.

— სულ უფრო და უფრო ნაკლებად ბუნდოვანი ხდება ის საზღვრები, რომლის მიღწევაც ჩვენ, ქალებს ხელგვეწიფება — თქვა არნესენმა და ამის დასტურად იქვე შეგვახსენა ცნობილი თანამემამულე მორბენალი გრეტა ვაიტცი, რომელმაც პირველმა შესძლო დაემტკიცებინა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ მარათონული დისტანციის სწრაფად გარბენა, თუმცა ისიც თქვა, რომ ჩვენ, ქალები, კაცების ჯობნას ვერასდროს შევძლებთო.

არნესენი და ბენკროფტი სტარტს აიღებენ ნორვეგიის ანტარქტიკის სექტორიდან და უმძიმეს მოგზაურობას ამერიკის სექტორზე დაასრულებენ. ამრიგად, მათ მარშრუტი ბევრად გრძელი იქნება იმაზე, რომელიც ყინულოვან კონტინენტზე არნესენის თანამემამულემ ბერე ოუსლანდმა მარტოდმარტომ თხილამურებით გაიარა.

აღსანიშნავია, რომ თავგადასავალთა მაძიებელ ქალებს 3850 კილომეტრის გავლა მოუწევთ, რისთვისაც საკმაოდ დიდი რაოდენობის სურსათისა და აღჭურვილობის მარხილებით თრევაც გახდება საჭირო.

ნორვეგიელი ჟურნალისტების შეკითხვაზე, ანტარქტიკა ქალებს იმიტომ ხომ არ გიზიდავთ, რომ ამით კაცებზე თქვენი უპირატესობის დამტკიცებას გსურთო, ლივ არნესენმა ფილოსოფიურად უპასუხა: „არა, მე ასე არ ვფიქრობ. ეს ჩემი მოტივაცია არაა. მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ უბრალოდ ასე მსურს".

**გიგა გურასაშვილი**

REUTERS ოვიედოდან





# ოლე, შტეფი!

მსოფლიოს ჩოგბურთის ცოცხალ ლეგენდას შტეფი გრაფს დაფასება და ჯილდოები არასოდეს დაკლებია, მშობლიური გერმანიის გარდა მას პლანეტის ნებისმიერ კუთხეშიც უდიდეს პატივს სცემდნენ და სცემენ. 22 ოქტომბერს ოვიედოში გრძელფეხ-ცხვირა ფროილაინ გრაფი, ეს რამდენიმე თვეა მისის ანდრე აგასის ტიტულს რომ უმიზნებს, ესპანელებმაც გამოარჩიეს და თავიანთი უმაღლესი, „ასტურიას პრინცის“ სპორტული ჯილდო გადასცეს.

## ინგლისი

I დივიზიონი. XIV ტური

ჩარლტონი 3:2 ტრანმერი
ქრიუ 1:1 ფულემი
კრ. პალასი 0:2 ვესტ ბრომვიჩი
გრიმსბი 1:0 პორტსმუთი
ჰადერსფილდი 2:1 ბარნსლი
ნორვიჩი 2:0 სტოკპორტი
სუინდონი 2:1 პორტ ვეილი
უოლსოლი 1:1 ბლექბერნი
ვულვერჰემპტონი 1:0 შეფილდი

II დივიზიონი
გადადებული მატჩები
კოლჩესტერი 2:2 უიგანი
ნოტსი 0:1 ბრენტფორდი

## იტალია

თასის I ეტაპი
საპასუხო მატჩი
ბოლონია 2:0 სამპდორია

# დალუპულის ყვანჯები



REUTERS ორლანდოდან

*„ოლ სტარ კაფეში“, რომელიც ორლანდოს დისნეილენდში ძევს, გამოუფენიათ ახლახან საჰაერო კატასტროფაში დაღუპული განთქმული მეგოლფის პეინ სტიუარტის პირადი ნივთები და ყვანჯები. სტიუარტი 25 ოქტომბერს დაიღუპა ლეირ ჯეტის ახლოს, ოთხ სხვა კაცთან ერთად.*

# რაკეტა მონრეალში

მსოფლიო ჰოკეის ლეგენდა, მორის „რაკეტა“ რიშარი უკვე კარგა ხნის კაცია. კანადის საამაყო შვილია, მაგრამ მშობელ მონრეალში, ძვირფას კვებეკში მაინც სულ სხვაგვარად უყვართ და არ ავიწყდებათ. ეს დიდი გალა-შეხვედრაც მუსიე რიშარის საპატივცემულოდ მოეწყო. რიშარს მისი გუნდის „მონრეალ კანადიენსის“ ძველი და ახალი ვარსკვლავები შემოერტყნენ. თუ კარგად დავაკვირდებით, ამათ შორის, მთლად ზლაპრულ გი ლეფლერს დავლანდავთ. „რაკეტასთან“ წაჭორავების, მასთან სურათის გადაღების მსურველი იმ დღეს ბევრი იყო. თვით ტელევარსკვლავებიც კი მისკენ ინევდნენ. სტენლის თასის თარგზე მოჭრილ კაბაში გამოწყობილმა ყველაზე პოპულარული კვებეკური შოუს წამყვანმა ჯული სნაიდერმა ხომ საერთოდ გასაქანი არ მისცა. ტელევიზიას კი გადაუწყვეტია, მოკლესერიებიანი ფილმი შექმნას რიშარის ცხოვრებაზე.

REUTERS მონრეალიდან





# მთა ვარშავაში

ეს ანცი სნოუბორდელი შუა ვარშავაში, ზედ განთქმული კულტურის სასახლის წინ ჰკრავს კამარას. მაგრამ რასაც ის აკეთებს, მხოლოდ ჟურნალია, კინო კი ხვალიდან დაიწყება. რახან პოლონეთში მოუთოვია და ყინვაც უჭერს, ვარშავის მერიას შუა ქალაქში გაუმართავს ოცდაათმეტრიანი თოვლის მთა. გარეუბნელ სნოუბორდელებს გაუგიათ ეს ამბავი და ასობით მოედინებიან შუა ქალაქში საქროლოდ.

REUTERS ვარშავიდან



REUTERS ბერლინიდან



# იღბალი

*ეს ბერლინის ტრეკია, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და ბედი-იღბალის კვანტის ტრიალიც გადასარევად ჩანს. რახან ავსტრალიელი და ფრანგი მხედრები ერთმანეთს შესკდომიან, წინ ბელგიელი გაჭრილა.*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli